გაზეთი დაარსებულია 1918 წელს,
ოთხშაბათი, 20 ივლისი, 2005 წელი.
№170 (5203)

იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდური სიტყვაა, ცრუობით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

# საქართველოს რესპუბლიკა

ელექტრონული ფოსტა: sakresp@gol.ge ვებ გვერდი: www.open.ge/sakartvelos-respublika ჩვენს გაზეთს კითხულობენ აშშ-ში, გერმანიაში, რუსეთში, ჰოლანდიაში, საფრანგეთში, უკრაინაში, ისრაელსა და სხვა ქვეყნებში. ფასი 50 თეთრი.

## ნორმალური ოპონირებისთვის ეს ხელისუფლება გზას არ გვიტოვებს



დაპირისპირება

სამწუხაროდ, გვყავს ამბიციური ხელისუფლება, რომელიც ნორმალური მოქმედების საშუალებას არ გვიტოვებს. ისინი ფიქრობენ, რომ ახლახან დეპუტატ გელაშვილზე განხორციელებული ძალადობით (მსგავსი ფაქტები ადრეც გვქონდა), სატელევიზიო გადაცემების დახურვით, ობიექტებში ნიღბიანი, შეიარაღებული ადამიანების შევარდნით (არის თუ არა საჭირო ეს) საზოგადოებას დააშინებენ. სწორედ ამიტომ, პირადად მე, თუ ადრე მზად ვიყავი ჩვეულებრივი ოპოზიციური ოპონირებისთვის, დღეს უკვე, ამ ძალადობის ფონზე, შემიძლია ვთქვა, რომ გაათკეცებული ენერგიით მზად ვარ სერიოზული ბრძოლისთვის. ჩვეულებრივი, ნორმალური ოპონირებისთვის ეს ხელისუფლება არანაირ გზას არ გვიტოვებს.

იხ. მე-3 გვ.

## MANIPULATIO

მანიპულირება, როგორც აუდიტორიაზე ზემოქმედების მეთოდი, ერთობ მიმზიდველი რამ გახლავთ ძლიერთათვის ამა ქვეყნისა — პოლიტიკოსებისთვის, ოლიგარქებისთვის, ანუ იმ ხალხისთვის, ვინც დაუოკებლად ელტვის ძალაუფლებას.

მანიპულირების წინააღმდეგ ბრძოლა პრაქტიკულად შეუძლებელია იმ უბრალო მიზეზით, რომ მის (მანიპულირების) საფუძვლად გვევლინება სიტყვა, როგორც კომუნიკაციის საშუალება — შეუძლებელია ვინმეს პასუხისმგებლობა დააკისრო სიტყვის თავისუფლების გამოყენების გამო! მსოფლიო მასშტაბით ჯერაც ვერანაირი შედეგი ვერ მოიტანა ნაირნაირი ეთიკური კოდექსების წერამაც.




იხ. მე-3 გვ.

## ◎ ინფორმაცია

### ვიქტორ იუშჩენკო გვეწვევა



26 ივლისს საქართველოს ოფიციალური ვიზიტით ეწვევა უკრაინის პრეზიდენტი ვიქტორ იუშჩენკო.

ვიზიტის ფარგლებში დაგეგმილია შეხვედრები საქართველოს პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილთან, პრემიერ-მინისტრ ზურაბ ნოღაიდელთან და პარლამენტის თავმჯდომარე ნინო ბურჯანაძესთან.

იუშჩენკოს ვიზიტის გამო ჰოლანდიაში ერთკვირიან შვებულებას წყვეტს საქართველოს პრეზიდენტი. მიხეილ სააკაშვილი სამშობლოში 24 ივლისს დაბრუნდება.

ინტერპრესნიუსი

### საქართველო „აზენერგოს" ვალს გაუსტუმრებს

გრძელდება საქართველოს პრემიერ-მინისტრის ზურაბ ნოღაიდელის ვიზიტი აზერბაიჯანში. ოფიციალური შეხვედრები განჯაში დაიწყო, რადგან ეს ქალაქი აბრეშუმის დიდ გზაზე მდებარეობს და შესაბამისად, ეკონომიკური თვალსაზრისით სტრატეგიული მნიშვნელობა აქვს.

ნოღაიდელმა აზერბაიჯანის ექსპრეზიდენტის ჰეიდარ ალიევის სახლ-მუზეუმი მოინახულა და საქართველოს მთავრობის სახელით მისი ძეგლი გვირგვინით შეამკო.

განჯაში საქართველო-აზერბაიჯანის ეკონომიკური თანამშრომლობის სამთავრობოთაშორისი კომისიის დახურული სხდომა გაიმართა, რომელსაც პრემიერ-მინისტრი ნოღაიდელი და აზერბაიჯანის პირველი ვიცე-პრემიერი აბას აბასოვი ხელმძღვანელობდნენ.

აზერბაიჯანის მინისტრთა კაბინეტის ოფიციალური ინფორმაციის მიხედვით, სხდომაზე გადაწყდა, რომ საქართველო მომდევნო 10 თვის განმავლობაში სს „აზენერგოს" 32 მილიონ კილოვატსაათ ელექტროენერგიას მიაწვდის და ასეთი ფორმით გაისტუმრებს ამ კომპანიის დავალიანებას. ზამთრის პერიოდში კი აზერბაიჯანი გაზრდის საქართველოსთვის გაზის მიწოდებას.



შეხვედრაზე ყაზახეთ-აზერბაიჯან-საქართველოს შორის ტვირთის გადაზიდვების ეფექტურობის გაზრდაზე ისაუბრეს და გადაწყდა, რომ 1 ოქტომბრამდე მოეწყობა საჩვენებელი სარკინიგზო რეისი ფოთი-ბაქო-აქთაუ-ალმაატას მარშრუტით, გადაზიდვების ტარიფები კი 50 პროცენტით შემცირდება.

შეხვედრაზე ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის უსაფრთხოებასთან დაკავშირებულ საკითხებზეც ისაუბრეს. ასევე გადაწყდა, რომ ერთმანეთთან მჭიდროდ ითანამშრომლებენ დაშკესანის სამთო კომბინატი, რუსთავის მეტალურგიული კომბინატი და სუმგაითის „აზერბოროს" ქარხანა.

განჯიდან ზურაბ ნოღაიდელი ბაქოში გაფრინდა, სადაც აზერბაიჯანის პრეზიდენტ ილჰამ ალიევს და პრემიერ-მინისტრ არტურ რასიზადეს შეხვდა.

მედია-ნიუსი

### გია გეწაძემ შს მინისტრის მოადგილის პოსტი დატოვა



გავრცელებული ინფორმაციით, გია გეწაძემ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილის თანამდებობა დატოვა.

თანამდებობის დატოვების მიზეზები ჯერჯერობით უცნობია. არსებული ინფორმაციით, გეწაძე მოღვაწეობას კერძო სექტორში გააგრძელებს. შს სამინისტრო ამასთან დაკავშირებით კომენტარს ჯერჯერობით არ აკეთებს.

ახალი ხელისუფლების პერიოდში გია გეწაძეს სხვადასხვა დროს იუსტიციის მინისტრის მოადგილის, იმერეთის მხარეში პრეზიდენტის რწმუნებულისა და შს მინისტრის მოადგილის თანამდებობები ეკავა.

### სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ახალი თავმჯდომარე ჰყავს

თბილისის ვიცე-პრემიერად გიორგი მელაძის დანიშვნის შემდეგ გამოთავისუფლებული პოსტი საქართველოს პრეზიდენტის გადაწყვეტილებით, სულიკო (სოსო) ვარსიმაშვილმა დაიკავა. სოსო ვარსიმაშვილი 28 წლისაა, იგი განათლებით იურისტი, ბოლო პერიოდში სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოში ადმინისტრაციული და შიდა აუდიტის განყოფილების გამგედ, მანამდე კი თავმჯდომარის თანაშემწედ მუშაობდა. სააგენტოში მუშაობამდე ვარსიმაშვილი სახელმწიფო ანტიმონოპოლიურ სამსახურში საქმიანობდა. აქვს კერძო იურიდიულ ფირმაში მუშაობის გამოცდილება.

ინტერპრესნიუსი

## როგორ მიიწვია მონაკოს მთავარმა ქართველი ჟურნალისტი თამადად...

იხ. მე-5 გვ.



## ეროვნულობა და გლობალიზაცია

„მეცნიერება და გენიოსები გვიხსნიან გზას კოსმოპოლიტიზმისაკენ, მაგრამ მხოლოდ პატრიოტიზმის, ნაციონალიზმის მეოხებით განავითარეთ ყოველი ერი იქამდის, რომ კარგად ესმოდეს თავისი ეკონომიური, პოლიტიკური მდგომარეობა, თავისი სოციალური ყოფის ავ-კარგი".

„ზოგს ჰგონია, რომ ნამდვილი პატრიოტიზმი ეწინააღმდეგება კოსმოპოლიტიზმს, მაგრამ ეს შეცდომაა. ყოველი ნამდვილი პატრიოტი კოსმოპოლიტია ისე, როგორც ყოველი გონიერი კოსმოპოლიტი (და არა ჩვენებური) პატრიოტია".

იხ. მე-4 გვ.

## ეს არის დაპირისპირება მოსახლეობასთან

იხ. მე-2 გვ.

## არ გამოვა — „შენც სუ", „მეც სუ"

იხ. მე-2 გვ.

## ◎ პანორამა

რუსეთის ყოფილი მინისტრი ევგენი ადამოვი შვეიცარიის ციხეში რჩება. სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და მანამ არ გადაისინჯება, ვიდრე რუსეთი პატიმრის ექსტრადიციას არ მოითხოვს. ეს განაჩენი ბერნში რუსეთის საელჩოსაც წარუდგინეს. მოსკოვის პოზიცია, ჯერჯერობით, უცნობია.

* * *

გერმანიაში, ბავარიის მხარის სამხრეთით, მიუნჰენიდან 40 კილომეტრზე, მატარებელი შეეჯახა მსუბუქ ავტომანქანას. მატარებლის გადასარბენ გზაჯვარედინს მხოლოდ შუქნიშანი აკონტროლებდა. სამწუხაროდ, ავტომანქანაში მყოფი ორივე მგზავრი



ადგილზე გარდაიცვალა. თვითმხილველები ირწმუნებიან, რომ საგანგაშო სიგნალზე მანქანის მძღოლმა არ დაამუხრუჭა და... გადასწრებას შეეცადა... ტრაგედია წამში დატრიალდა.

* * *

სტიქია კვლავ ბობოქრობს აზიასა და ევროპაში. ტაიფუნმა „ხაიტანმა" ტაივანში ექვსი, ხოლო ჩინეთში რვა ადამიანის სიცოცხლე შეიწირა... ევროპაში ქარიშხალს ძლიერი სეტყვა და ღვარცოფი მოჰყვა. რამდენიმე ადამიანი დასახიჩრდა. სეტყვამ აუნაზღაურებელი ზარალი მიაყენა შვეიცარიელ მევენახეებს. ლავოს რაიონში ვენახი მთლიანად განადგურდა.



## ცხელი სომხური წერტილი საქართველოში

ВРЕМЯ НОВОСТЕЙ

„ვრემია ნოვოსტეი", 19 ივლისი.

*საქართველოს სამცხე-ჯავახეთის რეგიონში, რომელიც კომპაქტურად არის დასახლებული სომხებით, გასულ უქმე დღეებში მოხდა შეტაკება ეროვნულ ნიადაგზე. ახალქალაქში სომეხი ეროვნების შეზარხოშებულმა 15-მდე ადამიანმა დაარბია ქართული სკოლა. მათ ჩაამსხვრიეს მინები, დალეწეს ინვენტარი. აღძრულია სისხლის სამართლის საქმე, თუმცა, ჯერჯერობით არავინ დაუკავებიათ.*

სოფელ სამსაში კი ადგილობრივ მცხოვრებლებს მოუვიდათ ჩხუბი თბილისელ სტუდენტებთან, რომლებიც ჩამოვიდნენ არქიტექტურის ძეგლების წესრიგში მოსაყვანად. ჩხუბი დაიწყო იმით, თუ ვინ ააგო ეს ტაძარი XII საუკუნეში — ქართველებმა თუ სომხებმა. პოლიციამ ნაცემი სტუდენტები გამოიყვანა სოფლიდან, ზოგიერთი მათგანი საავადმყოფოშიც მოათავსეს. დანარჩენები მონასტრების რესტავრაციას სხვა სოფლებში განაგრძობენ. ახალქალაქში მოქმედი გავლენიანი პოლიტიკური მოძრაობის „ვირქის" თანათავმჯდომარემ მელს ტოროსიანმა „ვრემია ნოვოსტეის" კორესპონდენტთან მიხეილ ვიგნანსკისთან საუბრისას განაცხადა, რომ ამ ინციდენტს „არ ჰქონია პოლიტიკური სარჩული", „მაგრამ იმ პირებს, რომლებმაც სტუდენტები გამოგზავნეს ეკლესიის დასათვალიერებლად, კარგად უნდა სცოდნოდათ, თუ რით დამთავრდებოდა ყოველივე ეს. ადგილობრივი მცხოვრებლები დარწმუნებული არიან, რომ ეკლესია სომხურია".

ეს რეგიონი პოტენციურ ცხელ წერტილად ითვლება — მოსახლეობა ძალზე დიდ შეშფოთებას გამოთქვამს ახალქალაქიდან რუსეთის 62-ე ბაზის გამოტანის გამო. ასეთი შეშფოთების მიზეზია ის, რომ მათი აზრით, რუსების ადგილს დაიკავებენ თურქები, რომლებიც ნატოს ბლოკში შედიან. რუსი სამხედროები ახალქალაქში ხარჯავენ მნიშვნელოვან ფულს სურსათისა და საწვავის შესასყიდად, რაც იქაური მოსახლეობის შემოსავლის თითქმის ერთადერთი წყაროა. ბაზის სამხედრო მოსამსახურეთა თითქმის მესამედს ადგილობრივი სომხები შეადგენენ, რომლებსაც მიღებული აქვთ რუსეთის მოქალაქეობა.

ქართველმა პოლიტოლოგმა პაატა ზაქარეიშვილმა ჩვენთან საუბრისას აღნიშნა, რომ ქვეყნის ხელისუფლებას უფრო ფაქიზი მიდგომა მართებს „სომხური რეგიონის" პრობლემების მოგვარების დროს, რადგან „იქ ახალი ინციდენტების პროვოკაციულად გამოწვევა ძალზე ბევრს სურს". მაგრამ ახალქალაქელი სომხები სკეპტიკურად ეკიდებიან საქართველოს ხელისუფლების დაპირებებს, რომელიც აცხადებს, რომ გადაჭრის მათ სოციალურ პრობლემებს და რეგიონში არ შეიყვანს უცხო ქვეყნების ჯარებს. შუა 1990-იან წლებში ადგილობრივი პოლიტიკოსები ალაპარაკდნენ ჯავახეთის ავტონომიის შესახებ. თუმცა, მალე ეს მოთხოვნები აღარ ისმოდა, რაშიც, მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ერევანმაც, რომელიც მოუწოდებდა საქართველოში მცხოვრებ სომხებს, არ გაემწვავებინათ თბილისთან ურთიერთობა.

## „დღეს საქართველოს ჰყავს თავზეხელაღებული ხელისუფლება"



დავით გამყრელიძემ საერთაშორისო დემოკრატიული კავშირის წევრი პარტიების ლიდერთა შეხვედრაზე ვაშინგტონში საქართველოს ხელისუფლება გააკრიტიკა.

„საქართველოში არ არსებობს დამოუკიდებელი სასამართლო. შესაბამისად, არ არსებობს კანონის უზენაესობა. ქვეყანა იმართება არა სამართალზე დაფუძნებული კონსტიტუციითა და კანონებით, არამედ პრეზიდენტის ნება-სურვილით", — ეს განცხადებები „ახალი მემარჯვენეების" ლიდერმა დავით გამყრელიძემ ვაშინგტონში, საერთაშორისო დემოკრატიული კავშირის წევრი პარტიების ლიდერთა შეხვედრაზე 10-წუთიანი გამოსვლისას გააკეთა.

„დღეს საქართველოს ჰყავს არა ლიმიტირებული მთავრობა, არამედ უკონტროლო, თავზეხელაღებული ხელისუფლება. საქართველოს პარლამენტი უუფლებოა, რომელიც ვერანაირად ვერ აკონტროლებს პრეზიდენტსა და მთავრობას", — განაცხადა გამყრელიძემ.

„ახალი მემარჯვენეების" ლიდერს სხდომაზე მსოფლიოს 44 ქვეყნის 46 მემარჯვენე-ცენტრისტული პარტიის ლიდერი უსმენდა. შეხვედრას კი სდკ-ს თავმჯდომარე, ავსტრალიის პრემიერ-მინისტრი ჯონ ჰოვარდი და მისი მოადგილე, ნორვეგიის საგარეო საქმეთა მინისტრი იან პეტერსენი უძღვებოდნენ.

ინტერპრესნიუსი

## ლანიისკენ ჰური, ჰური




იხ. მე-7 გვ.

◎ თაკარა მზის ქვეშ

# თავად არჩევს და თავადაც ამტკიცებს?

**საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციამ დაიწყო ღონისძიებათა ციკლი სახელწოდებით — „საქართველოს მთავრობა თაკარა მზის ქვეშ“. გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე საუბრის თემა ასეთი იყო: „რეფორმა საქტელერადიომაუწყებლობაში — მითი თუ სინამდვილე“.**

ასოციაციის თავმჯდომარემ ანა დოლიძემ და მონიტორინგის ჯგუფის ხელმძღვანელმა თამარ კორძაიამ წარმოადგინეს ანგარიში ამ მაუწყებლობაში რეორგანიზაციის შემდგომ მიმდინარე მოვლენებთან დაკავშირებით. მათი მიზანია, საზოგადოების სამსჯავროზე გამოიტანონ ყველა ის დადებითი თუ უარყოფითი ცვლილება, რაც ერთი წლის განმავლობაში საზოგადოებრივ ტელევიზიაში განხორციელდა.

მოგეხსენებათ, 23 ივლისამდე სამეურვეო საბჭომ საზოგადოებრივი მაუწყებლობის გენერალური დირექტორი უნდა აირჩიოს. 14 ივლისს კი მაუწყებლობის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელმა ზაზა შენგელიამ გადადგომის შესახებ განცხადება გააკეთა. თქვა, რომ მან დიდი წვლილი შეიტანა რეორგანიზაციის პროექტში და ამ ხნის მანძილზე ღირსეულად იღვაწა. ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციაში კი მიიჩნევენ, რომ რეორგანიზაციის პროცესი სრულყოფილად არ განხორციელდა, მოითხოვენ შეფასდეს, თუ რა მოხდა რეალურად ტელევიზიაში და დამნაშავე პირებზე სისხლის სამართლის საქმე აღიძრას.

ასოციაციაში აცხადებენ, რომ რეორგანიზაცია ძირითადად სამსახურიდან თანამშრომლების გათავისუფლებას მიეძღვნა: — ჩვენ არ ვართ მომხრე, რომ რომელიმე უწყებაში შტატები იყოს გაბერილი, ხალხი უნდა გაენთავისუფლებინათ, მაგრამ საკადრო ოპტიმიზაცია მოიცავს იმას, რომ ახალი თანამშრომლის აყვანა მოხდეს თანასწორობის პრინციპებით, ერთნაირი სასტარტო პირობებით. საზოგადოებრივი ტელევიზიის ხელმძღვანელობას ეს საკითხი მაინც უნდა გადაეწყვიტა სათანადო დონეზე, — აცხადებს მონიტორინგის ჯგუფის ხელმძღვანელი თამარ კორძაია.

დარღვევებს წააწყდნენ არაერთი დოკუმენტის გაცნობისას. მაგალითად, საზოგადოებრივმა ტელევიზიამ ხელშეკრულება დაუდო ადამიანური რესურსების მენეჯმენტის ცენტრს, რომელსაც ვაკანტურ თანამდებობებზე 4-5 კანდიდატი უნდა შეერჩია და ამ ადამიანებიდან ერთი შესარჩევი კომისიის თავმჯდომარე გახდებოდა. მაუწყებლობის თავმჯდომარის ბრძანებით შეიქმნა კომისია და თავმჯდომარედ მარინა კუჭუხიძე დაინიშნა. თუმცა, კომისიის აქტების ნახვისას აღმოჩნდა, რომ ამა თუ იმ თანამდებობაზე ადამიანთა შერჩევის შესახებ კომისიის აქტებს ხელს აწერს ზაზა შენგელია, როგორც კომისიის თავმჯდომარე, მისი მოადგილე კახა ბექაური და რიგითი წევრი მარინა კუჭუხიძე. ეს ცხადყოფს, რომ ყველაფერი თვითნებურადაა გაკეთებული. დებულებაში ისიც წერია, რომ კომისიის თავმჯდომარე შერჩეულ კანდიდატს დასამტკიცებლად წარუდგენს ტელევიზიის თავმჯდომარეს, ანუ კომისიის თავმჯდომარე ზაზა შენგელია შერჩეულ კანდიდატს წარუდგენს ტელევიზიის თავმჯდომარეს ზაზა შენგელიას და თვითონვე დანიშნავს. მნიშვნელოვანია ისიც, რომ რადიომაუწყებლობის საკონკურსო დებულების თანახმად, კომისიის თავმჯდომარეს ორი ხმის უფლება აქვს. ეს სრული აბსურდია, რადგან ადამიანს, კანონით, ერთი ხმის უფლება აქვს.

ასოციაციის თავმჯდომარე ანა დოლიძე აცხადებს, რომ საქტელერადიომაუწყებლობაში თანხები არამიზნობრივად იხარჯება. უკმაყოფილება გამოითქმება კონტროლის პალატის მისამართითაც. ამ უწყებამ ტელევიზიის შემოწმება 2004 წლის მარტში დაასრულა. კონტროლის პალატამ შემოწმებისას სისხლის სამართლის აღძრის საფუძველი ვერ დაინახა და ზედაპირული დასკვნაც დაწერა. იურისტთა ასოციაციამ ფინანსურ პოლიციას საჩივრით მიმართა, თუმცა უთხრეს, რომ კონტროლის პალატამ ვერ აღმოაჩინა სისხლის სამართლებრივი დანაშაული და ჩვენ საქმეს ვერ აღვძრავთო. ამის მიუხედავად, ასოციაციის წევრები დაუყოვნებლივ ითხოვენ დამნაშავე პირების დასჯას, საქტელერადიომაუწყებლობაში რეალური რეფორმის განხორციელებასა და კანონის უზენაესობის დაცვას. მათი აზრით, ეს ტელევიზიის საქმიანობას თავისთავად ეფექტურს გახდის.



**ლელა ცქიტიშვილი**

◎ კონფლიქტის ზონა

# არ გამოვა — „შენც სუ“, „მეც სუ“

**უახლოეს მომავალში საქართველოს ცენტრალურ ხელისუფლებაში აფხაზეთის საკითხთან დაკავშირებით, ერთიანი სამინისტროს შექმნა იგეგმება, რომელიც აფხაზეთის კონფლიქტის მოგვარებაში რეალურ პოლიტიკას გაატარებს. ისმება კითხვა, ეს სიახლე დევნილი ხელისუფლების ლეგიტიმურ სტრუქტურებს უფუნქციოდ ხომ არ დატოვებს? აფხაზეთის ლეგიტიმური ხელისუფლების უზენაესი საბჭოს თავმჯდომარემ თემურ მჟავიამ ჩვენთან საუბარში აღნიშნა, რომ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ხელისუფლებას დევნილობაში საკმაოდ გამოკვეთილი ფუნქცია გააჩნია და ნებისმიერი რეორგანიზაციის შემთხვევაში, ეს რესურსი მაქსიმალურად შენარჩუნდება.**

თემურ მჟავია: — ჩემი მონაწილეობით ამ საკითხთან დაკავშირებით, კონსულტაციები არ ჩატარებულა. ასე რომ, ამ თემის განხილვაში მონაწილეობა ნამდვილად არ მიმიღია. ერთადერთი, რაც ამაზე შემიძლია მოგახსენოთ, ის არის, რომ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს სესიაზე, სადაც მომხსენებელი ბატონი ირაკლი ალასანია გახლდათ, მან ისაუბრა გარკვეულწილად ინიციატივაზე და არა უკვე ჩამოყალიბებულ გადაწყვეტილებაზე, თქვა იმ რეორგანიზაციის შესახებ, რომელიც უნდა განიცადოს, ერთის მხრივ, აფხაზეთის ხელისუფლებამ, ხოლო მეორეს მხრივ, საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების ერთ-ერთმა შტომ. ამაზე მეტს ვერაფერს ვერ გეტყვით. კიდევ ერთხელ ხაზგასმით მინდა აღვნიშნო, რომ არც კონსულტაციებში, არც შეჯერებული პოზიციის გამოკვეთის პროცესში მე მონაწილეობა არ მიმიღია.

**— ბატონო თემურ, საზოგადოება აფხაზეთის ლეგიტიმური ხელისუფლების შესაძლო დაშლის შესახებ ალაპარაკდა. არის აზრი, რომ ცენტრალურ ხელისუფლებაში ფედერალური სტრუქტურის შექმნა აფხაზეთის ლეგიტიმური ხელისუფლების ლიკვიდაციას გამოიწვევს.**

— ღრმად ვარ დარწმუნებული, რეორგანიზაციის დინამიკა იმ მიმართულებით განვითარდება, რომ ყველა ის მაღალი ხარისხის რესურსი, რაც დევნილობაში მყოფ ხელისუფლებას გააჩნია, მაქსიმალურად იქნება გამოყენებული. ამას, უბრალოდ, აუცილებლობა მოითხოვს. თუკი წინა წლებში აფხაზეთის დევნილი ხელისუფლებისთვის მეტ-ნაკლებად მისაღები იყო პრინციპი „შენც სუ, მეც სუ“, დღეს ეს სიტუაცია ჩვენთვის მიუღებელია, მიუღებელია, უპირველესად, აფხაზეთის მთავრობის თავმჯდომარე ბატონ ირაკლი ალასანიასთვის. იგი კონსტიტუციურად დევნილი ხელისუფლების პირველ პირს წარმოადგენს, ამიტომ ბუნებრივია, მაქსიმალურად არის დაინტერესებული, ხელისუფლებამ მაღალი ფუნქციური აღჭურვით იმუშაოს.

**— თქვენ რატომღაც არასოდეს არ ახსენებთ სიტყვა „ლეგიტიმურს“, ყოველთვის ამბობთ, აფხაზეთის დევნილი ხელისუფლება...**

— დიახ, ეს ასეა. მე ნაკლებად ვხმარობ ლეგიტიმურ ხელისუფლებას. სრული ლეგიტიმური ელემენტები ჩვენ არ გაგვაჩნია, რაც თავისთავად არ მიუთითებს იმაზე, რომ მე არ ვაღიარებ სამართლებრივ ლეგიტიმურობას, საიდანაც ჩვენ მოვდივართ, მაგრამ ამ შემთხვევაში უფრო უპრიანი იქნება ვთქვათ, — ხელისუფლება დევნილობაში.

**— სტრუქტურული რეფორმა, ალბათ, უმტკივნეულოდ ვერ ჩაივლის. ინტერესთა კონფლიქტი უკვე გამოიკვეთა კიდეც. ამბობენ, რომ ახალი სტრუქტურა დღის წესრიგში ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს მიზანშეწონილობას დააყენებს.**

— რა თქმა უნდა, ამაზე საუბარი არის და მე ამას ვერ დავმალავ. ნამდვილად მიმდინარეობს საუბარი იმის თაობაზე, რომ ლტოლვილთა და განსახლების სამინისტრო გაუქმდება. თვლიან, რომ იგი არის გარკვეულწილად ანაქრონიზმი და იგი მობილური სტრუქტურით უნდა შეიცვალოს. ევროპის ბევრ ქვეყანაში ასეთი სამინისტროები, უბრალოდ, არ არსებობს. იქ ამ ტიპის სამსახურს სააგენტოები, გარკვეული მცირე ჯგუფები ასრულებენ. ეს გახლავთ ერთ-ერთი არგუმენტი, რომელსაც იშველიებს ხოლმე ესა თუ ის პიროვნება, როდესაც ამ საკითხს აყენებს. მეორე არის ის, რომ გარკვეულწილად პარალელიზმი არსებობს ფუნქციებში, რომელსაც, ერთის მხრივ, ლტოლვილთა და განსახლების სამინისტრო და, მეორეს მხრივ, აფხაზეთის დევნილი ხელისუფლება ახორციელებს. პარალელიზმი კი ნამდვილად არ ქმნის შესაბამის გარემოს იმ სოციალური პრობლემების გადასაჭრელად, რომელიც დევნილთა საკმაოდ დიდ ფენაში ნამდვილად არსებობს. ამიტომ უნდა შეიქმნას ერთი ისეთი სტრუქტურა, რომელიც ამ მიმართებით ყველა პრობლემას ერთ ხელში მოაქცევს. მხოლოდ იმის აუცილებელი გათვალისწინებით, რომ ის ინფრასტრუქტურა, რაც წლების მანძილზე იქმნებოდა, აუცილებლად უნდა შენარჩუნდეს.

**მზია გელენავა**

◎ ინფორმაცია



## სანაპირო დაცვა ზეიმობს

**სანაპირო დაცვის ფოთის დივიზიონში გუშინ საზღვრის დაცვის დეპარტამენტის სანაპირო დაცვის შვიდი წლისთავისადმი მიძღვნილი საზეიმო ღონისძიება გაიმართა.**

1998 წლის 19 ივლისს, ფოთის პორტში სანაპირო დაცვის პირველი მცურავი საშუალება საბრძოლო მორიგეობაზე გავიდა, ამიტომ ეს დღე მიჩნეულია სანაპირო დაცვის დღედ.

ფოთის დივიზიონში საზეიმო აღლუმს დაესწრო საზღვრის დაცვის დეპარტამენტის თავმჯდომარე ბადრი ბიწაძე, საზღვრის დაცვის დეპარტამენტის სანაპირო დაცვის მთავარი სამმართველოს უფროსი, გენერალ-მაიორი დავით გულუა, ასევე ამერიკის, თურქეთის რესპუბლიკის გენშტაბის წარმომადგენლები და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის საზღვრის დაცვის სამსახურის მუშაკები.

აღლუმის დასრულების შემდეგ, ბადრი ბიწაძემ სანაპირო დაცვის შემადგენლობა — კაპრალები და ლეიტენანტები სიგელებით დააჯილდოვა, ხოლო აშშ-ის ელჩს საქართველოში რიჩარდ მაილსს მიენიჭა სანაპირო დაცვის საპატიო წევრის წოდება და მას ჯილდო გადაეცა.

სანაპირო დაცვის შვიდი წლის იუბილისადმი მიძღვნილი საზეიმო ცერემონია ფოთის პორტის აკვატორიაში საპატრულო კატარღების გასეირნებით დასრულდა. მესაზღვრეებმა დაღუპულ მეზღვაურთა ხსოვნის პატივსაცემად ზღვაში გვირგვინი ჩაუშვეს.

## ამერიკელი ექსპერტები ქართველ სამხედროებს ტრეინინგებს ჩაუტარებენ

**საქართველოს ეროვნულ გვარდიას გუშინ ამერიკელი სამხედრო ექსპერტები ეწვივნენ, რომელთა მიზანს ქართული მხარისთვის ტრეინინგების ჩატარება წარმოადგენს.**

როგორც „ინტერპრესნიუსს“ გვარდიის პრესსამსახურში განუცხადეს, ვიზიტის დროს ამერიკელი სპეციალისტები ქართველ კოლეგებს რეზერვის მობილიზაციის საკითხებს, საგანგებო სიტუაციებისა და სამაშველო ოპერაციების მართვას შეასწავლიან.

გათვალისწინებულია ასევე სარიტუალო ასეულის მომზადება. სწავლებაში მონაწილეობას მიიღებს ეროვნული გვარდიის სამობილიზაციო სამმართველო, მმართველობის შტაბი და სარიტუალო ასეული. ამერიკელ სამხედრო ექსპერტთა საქართველოში ვიზიტი 23 ივლისამდე გაგრძელდება.

## სტუმრად — ბიშკეკში

**იუსტიციის სამინისტროს სამოქალაქო რეესტრის დეპარტამენტის ხელმძღვანელი ირაკლი ფორჩხიძე გუშინ ყირგიზეთის რესპუბლიკის დედაქალაქ ბიშკეკში გაემგზავრა. 20-22 ივლისს ფორჩხიძე მონაწილეობას მიიღებს რეგიონულ კონფერენციაში, სახელწოდებით „გამოცდილების გაზიარება რეგისტრაციის სისტემის რეფორმის პროცესში“.**

**როგორც „ინტერპრესნიუსს“ იუსტიციის სამინისტროში განუცხადეს, კონფერენცია ეუთოს ადამიანის უფლებათა და დემოკრატიის ინსტიტუტების ბიუროს მიერ არის ორგანიზებული. მასში მონაწილეობას მიიღებენ დსთ-სა და ბალტიის ქვეყნების მოქალაქეთა სარეგისტრაციო სამსახურის წარმომადგენლები. საბჭოთა პერიოდში ამ ქვეყნებში ერთმანეთის იდენტური „ჩაწერის“ ინსტიტუტი არსებობდა. კონფერენციის მიზანი დსთ-ს ქვეყნების წარმომადგენელთა მიერ ამ სისტემის რეფორმირებასთან დაკავშირებით გამოცდილების გაზიარებაა.**

## დენით დაშავებულთა ნათესავებმა აქცია გამართეს

**ზუგდიდის რესპუბლიკური საავადმყოფოს ეზოში ინდივიდუალური ელექტრომრიცხველების დამონტაჟების დროს დაშავებულ რეზო ჩაჩუასა და ვაჟა აფშილავას ახლობლებმა საპროტესტო აქცია გამართეს. აქციის მონაწილეების განცხადებით, დაზარალებულებს არც ენერგოკომპანიის და არც ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები არ დახმარებიან.**

**ჩაჩუას და აფშილავას ნათესავები აცხადებენ, რომ ავადმყოფების ჯანმრთელობის მდგომარეობით არავინ დაინტერესებულა. სადისტრიბუციო ენერგოკომპანიაში განმარტავენ, რომ უბედური შემთხვევა კომპანიის თანამშრომლების უყურადღებობის გამო კი არა, თავად ელექტრიკოსების შეცდომების გამო მოხდა.**

**ინტერპრესნიუსი**

◎ დავა

# ეს არის დაპირისპირება მოსახლეობასთან

**საქართველოს ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ 15 ივლისის განკარგულებით, უარი უთხრა რეგისტრაციაზე საინიციატივო ჯგუფსა და მის მიერ წარმოდგენილ სარეფერენდუმო საკითხს: „თანახმა ხართ თუ არა, რომ საქართველოს ყველა დასახლებული პუნქტის (ქალაქის, დაბის, თემისა და სოფლის, რომელიც არ შედის თემში) მერი (გამგებელი) აირჩეს პირდაპირი არჩევნებით ამ დასახლებული პუნქტების მოსახლეობის მიერ?“**



განკარგულებაში ნათქვამია, რომ სარეფერენდუმო საკითხი წამოყენებულია „რეფერენდუმების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მოთხოვნების დარღვევით. კერძოდ: „სარეფერენდუმო საკითხი არ არის ჩამოყალიბებული მკაფიოდ და კონკრეტულად, განცხადებაში არ არის მითითებული საინიციატივო ჯგუფის თითოეული წევრის საცხოვრებელი სახლი“.

ამ განკარგულების საპასუხოდ, „სახალხო ფორუმის“ ლიდერმა აკაკი ასათიანმა სასტუმრო „თორში“ პრესკონფერენცია გამართა. ცენტრალური საარჩევნო კომისიის განკარგულებას მან „სულელური“ და „ბუნდოვანი“ უწოდა.

მისი თქმით, „ვითომ უარი თქვეს ტერიტორიული მთლიანობის არარსებობის ან უფულობის გამო. თუმცა, რეფერენდუმი არჩევნებთან შედარებით ძალზე იაფი ჯდება. და თუ ხელისუფლებას 200-300 ათასი ლარი უჭირს, არსებობს რამდენიმე საერთაშორისო ორგანიზაცია, რომელიც ხალისით და სიამოვნებით დააფინანსებს რეფერენდუმს. მაგრამ ეს არგუმენტი არ მოუტანიათ“...

„სახალხო ფორუმის“ ლიდერის განცხადებით, ჯერჯერობით მიმდინარეობს კონსულტაციები იურისტებთან. იგი ფიქრობს, რომ შენიშვნები გასწორდება, თუ რამე ბუნდოვანია, დაზუსტდება და ხელახლა შეიტანენ ცესკოში განცხადებას. მერე ცესკოს ნამუსზე იყოს, რაც მოხდებაო.

აკაკი ასათიანი დარწმუნებულია, რომ ეს სინამდვილეში ცესკოსთან დაპირისპირება კი არ არის, არამედ — პაექრობა ხელისუფლებასთან. „სინამდვილეში უარი ჩვენ კი არ გვითხრეს, არამედ ჩვენს მოსახლეობას, რომ მონაწილეობდეს თავისი ქვეყნისთვის ფუძემდებლური საკითხების გადაწყვეტაში. ამიტომ ჩვენ განვაგრძობთ მოქმედებას. ყველა ინსტანციის ამოწურვის შემდეგ ევროპასაც შევაწუხებთ. მაგრამ გვრჩება საკანონმდებლო ინიციატივის შეტანის საშუალება, რომელსაც 300 ათასი ხელმოწერა სჭირდება. ჩვენ 1 მილიონამდე ხელმოწერას წარვადგენთ“...

ასათიანი ფიქრობს, რომ ამ გზით ისინი ხელისუფლებას შანსს აძლევენ, მშვიდობიანად წავიდეს, ხალხი უნდა ჩაერთოს ქვეყნის მართვის პროცესებში. „ან ხელისუფლება გაიგებს, რომ თუ ხალხმა მოახდინა რევოლუცია, ხალხი უნდა წყვეტდეს თავის ბედს. ანდა, ასეთი ხელისუფლება შეუსაბამო იქნება ამ ქვეყნის და ხალხის ინტერესებთან და ის დატოვებს პოსტს...“

ასე სჯერა „სახალხო ფორუმის“ ლიდერს.

**თამარ შაიშმელაშვილი**

◎ დღის თემა

# თბილისის დაბინძურებულ ჰაერს „დაარეგულირებს“ ბაზარი?

## კიდევ ერთი „უშველი“ პრობლემა

**კარგა ხანია, ლამის მთელი თბილისი გულშეღონებული, გაფითრებული დადის და მტერ-მოყვარეს ეკითხება:**

— რა ამბავია ამდენი მანქანა?

— ამ „მარშრუტკებმა“ რატომ წაგვლეკეს...

— ნახე, როგორ ხრჩოლავს, ასეთ დაფეხვილ ტრანსპორტს ვინ უშვებს ქალაქში?..

— ტროტუარებზე იმდენი კერძო ტაქსი დგას, ფეხით გასავლელი ადგილი აღარ დარჩა...

— თვალები ამომეწვა...

— სუნთქვა მიჭირს...

— ვაი ჩვენს პატრონს, ჩამოწერილი, საჯართედ გამზადებული მანქანები შემოგვყავს ევროპიდან, თანაც გვიხარია: ყოველწლიურად ქვეყნის ავტოპარკი მინიმუმ 10 000 მანქანით იზრდებაო... რას ჰგავს ყოველივე ეს?

**მართალსაც ბრძანებენ. ამ მანქანების 90 პროცენტი თბილისის ეკოსისტემას ანადგურებს, ისედაც მთებში („ქვაბში“) ჩაკეტილი ქალაქის ჟანგბადს სპობს.**

ვითომ, ახლაღა აღმოვაჩინეთ, რომ ბაქოს ბენზინი არ შეესაბამება თანამედროვე სტანდარტებს და მეზობელ ქვეყანას ბენზინგადამმუშავებელი ქარხნების გამართვა ვთხოვეთ.

„ლუკოილისა“ და „ეკოს“ საწვავს მძღოლთა მხოლოდ 7 პროცენტი მოიხმარს, დანარჩენი აზერბაიჯანის შედარებით იაფ (ხუთიოდე თეთრით იაფ!) ბენზინზეა დამოკიდებული.

სინამდვილეში კი, „სუპერი“, „პრემიუმი“, „რეგულარი“, — როგორც ამას წინათ მაკონტროლებელმა ორგანოებმა შეამოწმეს და ჩვენც ხაზგასმით დავწერეთ, ძირითადად, ერთი მთხლე ყოფილა!..

გულის წუხილს და გაფითრებულ სახეებს ვინღა ჩივის, **თბილისის ჰაერი, დასაშვებ ნორმასთან შედარებით, 22-ჯერ უფრო მეტად არის დაბინძურებული.** ჟანგბადის ნაცვლად ვსუნთქავთ ტყვიას, თუთიას, ათასი ჯურის ტოქსინებს...

და ეს ყველაფერი, ძირითადად, მოზღვავებული, გაუმართავი ტრანსპორტის და უხარისხო საწვავის გამო.

ხუთი წელიწადია მერიასა და საკრებულოში, დედაქალაქის მთავრობასა და საპატრულო (საგზაო) პოლიციაში ერთმნიშვნელოვნად „ვამტკიცებთ“, რომ თბილისს არ სჭირდება ამდენი „მარშრუტკა“, რომ დედაქალაქის ცენტრალური ქუჩები გაუვალი გახდა, იმათა ავარიებმა, ქაოსმა მოიცვა სატრანსპორტო ქსელი... და ბოლოს, განადგურდა ჩვენი ჯანმრთელობა!

შეიქმნა კომისიები, დაიგეგმა კონკრეტული ღონისძიებები, დათვალეს მიკროავტობუსები, აუცილებელი სამარშრუტო ხაზები, დაჩაგრული, უმუშევრად დარჩენის კანდიდატი მძღოლები და მათ უკან მდგარი „კრიშები“, უფრო ზუსტად, ჩვენი ჯანმრთელობის ხელყოფის ხარჯზე გამდიდრების მოსურნე „დიდი კაცები“...

ყველაფერს მოევლება, მაგრამ იმ პარლამენტარებს, სახელმწიფო კანცელარიის, მთავრობის, მერიის ჩინოვნიკებს, რომლებიც ამ „მარშრუტკებს“ პატრონობენ, — ვინ აკადრებს რასმეს...

ყველა მათგანი იმ „კალატოზას“ მსგავსია (ან მასზე უარესი), რომელიც ციხიდან მართავდა ქურდულ მაფიას და „მარშრუტკის“ მძღოლებს ფულს აწერდა.

„კალატოზას“, ასე თუ ისე, მოუვლიან, მაგრამ ამ გასაცოდავებულ ქვეყანაში ვინ არჩენს ამდენ გაუმაძღარ, არაფრის მაქნის ჩინოვნიკს?



ან, ასეთი ჩინოვნიკების გადამკიდე ქვეყანას ოდესმე ექნება მორალურ-ზნეობრივი სამართალი?

**...ამ დღეებში ტელევიზიით გამოდის ტრანსპორტის რეგულირებისა და მართვის საქალაქო სამსახურის ხელმძღვანელი ზურაბ ჩიკვილაძე და (ეტყობა, „დიდ ხალხთან“ მოლაპარაკების შემდეგ) თბილისელებს გულს გვიხარებს:**

**— არც ერთი „მარშრუტკა“ არ შემცირდება, ამას თვითონ ბაზარი დაარეგულირებს. ჰოლანდიური და უკრაინული ავტობუსების შემოყვანის შემდეგ, ბევრი ხაზი გაკოტრდა... ახლა თბილისში 3200-ზე მეტი მიკროავტობუსი არც იქნება...**

კი მაგრამ, ბატონო ზურაბ, თბილისის დაბინძურებულ ჰაერს, ჩვენს განადგურებულ ჯანმრთელობას ბაზარი დაარეგულირებს? მთელ სატრანსპორტო სისტემაში, თბილისის ვიწრო გზებსა და გზაჯვარედინებზე რომ სწორედ ბაზარი, განუკითხაობა და პროვინციული გნიასია, ეს უნდა დაარეგულიროს (ყოველ შემთხვევაში, დღემდე იმედი გვქონდა!) მერიამ და მისმა დარგობრივმა საქალაქო სამსახურმა, თორემ... საბაზრო ეკონომიკამ და „ქართულმა“ კორუფციამ როგორ აგვირია გზაკვალი, ყველა კარგად ვხედავთ.

ბაზარმა შეიძლება დაარეგულიროს ფასი, მგზავრობის ტარიფი, შექმნას კონკურენტული გარემო, თორემ... 5000 და კიდევ უფრო მეტი მიკროავტობუსი (რისი 3000 და 3200!) ქალაქის ქუჩებში რომ ვერ ეტევა და ჰაერს წამლავს, — ამას ბაზარი უშველის?

ასე როგორ უნდა გავწიროთ საკუთარი თავი, საკუთარი შვილების ჯანმრთელობა, საკუთარი ქალაქის ღირსება?

საკვირველია, ღმერთმანი...

**სპარტაკ ქოზულია**

◎ მაინც ძმობა სჯობს...

# რა გვაქვს საჩხუბარი

**ახალქალაქის რაიონის სოფელ სამსარში მომხდარ ინციდენტთან დაკავშირებით, საქართველოს საპატრიარქომ და სომხურმა სამოციქულო ეკლესიამ საქართველოში შესაძლოა ქართველ და სომხურ მოსახლეობას ერთობლივი განცხადებით მიმართოს.**

ეს ინიციატივა სახალხო დამცველს სოზარ სუბარს ეკუთვნის, რომელიც ამ საკითხებთან დაკავშირებით გუშინ, საპატრიარქოს წარმომადგენლებს და ასევე სომხური სამოციქულო ეპარქიის მეთაურს, ეპისკოპოს ვაზგენ მირზახანიანს ესაუბრა.

სომხური ეკლესიის ეპისკოპოსთან გამართულ შეხვედრას დეპუტატი ვან ბაიბურთიც ესწრებოდა. შეხვედრის მონაწილეთა შეფასებით, საჭიროა ერთობლივი მიმართვა, რომელშიც დაგმობილი იქნება ძალადობა. დაძაბულობის შემდგომი ესკალაციის თავიდან ასაცილებლად. რეგიონში შესაძლოა ეპისკოპოსი ვაზგენ მირზახანიანიც ჩავიდეს.

16 ივლისს სოფელ სამსარში მდებარე ქართული ეკლესიის გაწმენდარესტავრაციის მიზნით, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის 32 სტუდენტი ჩავიდა. სტუდენტებს ადგილობრივი მოსახლეობა დაუპირისპირდა. სიტყვიერი შეურაცხყოფა ხელჩართულ ჩხუბში გადაიზარდა, რა დროსაც დაშავდა ერთი სტუდენტი და ასევე საქართველოს საპატრიარქოს ახალქალაქის რეზიდენციის მართლმადიდებელი მონაზვნები.



საქმეში სამართალდამცავი ორგანოები უკვე ჩაერთვნენ და ფაქტზე სისხლის სამართლის საქმე აღძრეს.

**ინტერპრესნიუსი**

◎ ელდა დილაადრიან

# რა დავაშავეთ ასეთი?

**ამ სიჭარმაგის ჟამს, როგორც ყველას, მეც დილის ძილი გამიკრთა. 5 საათზე უკვე გათენებულია და ჭოტივით ვაჭყეტ ამ გამკრთალ თვალებს. ჩემი საკაბელო ტელევიზიით რამდენიმე არხი 24 საათის განმავლობაში მუშაობს და მაყურებელს ცხელ-ცხელ ინფორმაციას აწვდის. ხომ იცით, რა ჭირია შეჩვევა. ვეტაკები ხოლმე უთენია, მაგალითად, „ევრონიუსს“ და ვიშლი ისედაც აწეწილ ნერვებს. 19 ივლისსაც მორიგი შოკი მივიღე...**

ჩამოჰყვა და რას ჩამოჰყვა: — ტაივანს ტაიფუნმა გადაუარაო, ახლა ჩინეთშიც შემოიჭრა და რამდენიმე რეგიონი მიწასთან გაასწორაო (თან თვალებში გვჩრის დანგრეულ სახლებს, დათხრილ ხეებს, დატბორილ პუნქტებს, დაჭეჭყილ მანქანებს, უბინაოდ დარჩენილ ადამიანებს); რუმინეთს წყალდიდობა შეეჩვიაო, ქალაქები და სოფლები დატბორაო, მოსახლეობა აიყარაო, თავი უცხო მხარეებს შეაფარაო; ესპანეთში ხანძარი გამძვინვარდაო, უკვე 11 ადამიანი იმსხვერპლაო, 8 ათასი ჰექტარი ტყე განადგურდაო, გვადალახარასა და ზამორას პროვინციებიდან ხალხი გაიხიზნაო...

ხასიათის გამოსასწორებლად რუსული „ვესტი“ ჩავრთე. არც ეგ ჩამორჩა: — შვედეთში რუსეთის „ტრაილერი“ იქაურ 3 მსუბუქ ავტომანქანას დაეჯახა, 5 კაცი მოკლა, ათამდე კი საავადმყოფოს გზას გაუყენაო; მექსიკას არნახული გრიგალი „ეწვიაო“, კარიბის ზღვის სანაპიროებზე ტურისტებსა და ადგილობრივ მაცხოვრებლებს სულ თავბედი აწყევლინაო, ნავთობის ჭაბურღილები პირქვე დასცაო, კურორტები დააცარიელა და ხალხი მშიერი დატოვაო, 2 ათასამდე კაცი საავადმყოფოებში მოთავსდაო; მოსკოვის




ოლქს ქარიშხალი და სეტყვა დაატყდაო, წუხელ ხეები დაგლიჯაო, მსუბუქი ავტომანქანები დაჭყლიტაო, სახლები დაანგრიაო, ბაღ-ბოსტნები გააჩანაგაო...

გუნების შესაცვლელად ქართული „ქრონიკა“ მოვიხმე. ამანაც გააგრძელა: — ურეკში ზღვის ძლიერი ღელვის დროს 3 ადამიანი დაიღუპაო, ორმა მშობელმა შვილების გამოყვანა სცადა, მათ პატრულიც მიეშველა, პატარები გადარჩნენ, დიდები კი ტალღამ ჩაყლაპაო; თბილისს გაზის მიწოდება ხვალიდან სანახევროდ შეუწყდებაო, თუ დიდძალი ვალი არ დაიფარა, ძველი კონტრაქტი რუსეთთან შეწყდებაო, ახალი კონტრაქტით კი ტარიფი, ალბათ, ერთისამად გაიზრდებაო; ახალქალაქში ჩასულ ქართველ სტუდენტობას ადგილობრივი მოსახლეობა დაესიაო, ჩხუბი ატყდაო, ერთ ახალგაზრდას ტვინი შეერყაო...

ვთიშავ ტელევიზორს, ხანგამოშვებით ვსვამ ვალერიანის წვეთებს, ტაზეპამს, ნოვოპასიტს, ერინიტს, ნოშპას, ვალიდოლს, სედუქსენს... ძლივს ვითქვამ სულს... 9 საათზე ხელი „კურიერისკენ“ გამირბის, (აბა, ეგ არის, რაც არის), მაგრამ ტანს ვამუხრუჭებ და საკუთარ პერსონას სამსახურში წასასვლელად ვამზადებ...

მე რომ დღეს საქმეს გავაკეთებ...

**ზონდო გულიაშვილი**

ახალი პოლიტიკური ლექსიკონი

# MANIPULATIO

## უწესო თამაშები, ანუ პრესა, როგორც პოლიტიკური მანიპულაციების ინსტრუმენტი

**როგორც წესი, საქართველოში ამ თემაზე ხმამაღლა საუბარს ელიტური პოლიტიკის წარმომადგენლებიც გაურბიან და სერიოზული პრესისაც. არადა, უკვე ძალიან დიდი ხანია, პრესა პოლიტიკური მანიპულაციების, საზოგადოებრივ ცნობიერებაზე ზემოქმედების უძლიერეს და შეუცვლელ იარაღად იქცა.**

მანიპულირება, როგორც სოციალური მართვის მეთოდი, უდიდეს მოქნილობას მოითხოვს. მას ძალიან დიდი უპირატესობა აქვს ძალისმიერ და ეკონომიკურ მეთოდებთან შედარებით – ხორციელდება მართვის ობიექტებისთვის შეუმჩნევლად, პოლიტიკური ოპონენტების მოსასყიდად და დასამშვიდებლად არ მოითხოვს დიდ მატერიალურ დანახარჯებს, არავითარ სისხლსა და მსხვერპლს. პრესას მასობრივ (საზოგადოებრივ) ცნობიერებაზე ზემოქმედებისთვის, ფაქტობრივად, უსაზღვრო შესაძლებლობები გააჩნია.

შევეცდები, ძალიან მოკლედ ჩამოვაყალიბო პრესით პოლიტიკური მანიპულირების ძირითადი მიმართულებები. აქვე აღვნიშნავ, რომ **მანიპულირების მიზანია, მასობრივ შემეცნებაში ჩანერგოს ის სოციალურ-ეკონომიკური მითები, ილუზორული იდეები, რომლებიც განმტკიცებული იქნება, ძირითადად, რწმენით და არა რაციონალური, კრიტიკული გააზრებით. იმის ცოდნით და გათვალისწინებით, რომ ადამიანის შემეცნებაზე ზემოქმედება სავსებით შესაძლებელია იმ არხებით, რომლებსაც ყველაზე ნაკლებად აკონტროლებს გონება.** ეს მეთოდი მით უფრო ეფექტური იქნება საქართველოში, სადაც მოვლენათა რაციონალური (საზოგადოებრივი) გააზრება თითქმის არ ხდება საზოგადოების ცოდნის დაბალი დონის გამო.




XXI საუკუნის დასაწყისის საქართველოში მმართველი ელიტის ბატონობის განსამტკიცებლად რამდენიმე სოციალური მითი მოგვევლინა:

– ხელისუფლება ქვეყანას მართავს დემოკრატიზმის პრინციპებით;

– მიმდინარეობს სამართლებრივი რეფორმები და სულ მალე კანონის უზენაესობის პირობებში ვიცხოვრებთ;

– სოციალური სიდუხჭირე გამოწვეულია არა ხელისუფლების უუნარობით და მომხვეჭელობით, არამედ გარე ბნელი (რუსული, ამერიკული) ძალების ზემოქმედებით ან „მშრომელი ხალხის ხარჯზე გამდიდრებული ვიგინდარების" გამო;

– კორუფცია არის საზოგადოების ერთადერთი დაუძინებელი მტერი და ხელისუფლების მხრიდან მიმდინარეობს მასთან დაუნდობელი ბრძოლა;

– საქართველოს ყველა მოქალაქე, მიუხედავად ეთნიკური წარმოშობისა და რელიგიური მრწამსისა, თანაბარი უფლებებით სარგებლობს;

– ქართველი ერი ყველაზე ტოლერანტულია მსოფლიოში;

– პრესა თავისუფალია და ამის ნათელი დადასტურებაა თვით „ვარდების რევოლუციის" ბელადის არცთუ მოკრძალებული კრიტიკა.

მითი სხვაც ბევრი გავრცელდა (მრეწველობა გადაგვარჩენს, „ტრუბა" გადაგვარჩენს, რუსეთი ან აშშ გვიშველის, მდიდრებს წავართმევთ და ღარიბებს დავურიგებთ...), მაგრამ, ვფიქრობ, ზემოთ ჩამოთვლილი არის მთავარი. ყველა ეს მითი ადამიანების აზროვნებაში ინერგებოდა და ინერგება პრესის საშუალებით.

ამერიკელი სოციოლოგის, პარენტის თქმით, სწორედ პრესა არჩევს იმ ინფორმაციას და დეზინფორმაციას, რასაც ჩვენ სოციალ-პოლიტიკური სინამდვილის შესაფასებლად ვიყენებთ. პრობლემების და მოვლენებისადმი ჩვენი დამოკიდებულება, თვით იმის აღქმაც კი, რა მივიჩნიოთ პრობლემად და მოვლენად, დამოკიდებულია იმ ხალხზე, ვის ხელშიც არის პრესა. დედამიწაზე ყოველწუთიერად მილიონობით მოვლენა ხდება, ჩვენ კი ვსარგებლობთ მათი იმ ნაწილით, რასაც პრესიდან გვაწვდიან.

ჩვენ ვცხოვრობთ პრესის მიერ შექმნილ მხატვრულ სამყაროში. ეს სამყარო ან კოშმარულია, ან იდილიური, გააჩნია, ვინ გველაპარაკება – ოპოზიციური, თუ სახელისუფლებო პრესა.

თავის მანიპულაციურ შესაძლებლობებს პრესა ყველაზე მეტად საარჩევნო (საპარლამენტო, საპრეზიდენტო, ადგილობრივი) კამპანიის დროს ავლენს. განსაკუთრებით ეფექტიანია სოციოლოგიური გამოკითხვებით მანიპულირება – ერთიდაიგივე ციფრი სხვადასხვა კონტექსტში შეიძლება აუდიტორიას მიაწოდო, როგორც წარმატება, ან, როგორც კატასტროფა.

მანიპულირება, როგორც აუდიტორიაზე ზემოქმედების მეთოდი, ერთობ მიმზიდველი რამ გახლავთ ძლიერთათვის ამა ქვეყნისა – პოლიტიკოსებისთვის, ოლიგარქებისთვის, ანუ იმ ხალხისთვის, ვინც დაუოკებლად ელტვის ძალაუფლებას.

მანიპულირების წინააღმდეგ ბრძოლა პრაქტიკულად შეუძლებელია იმ უბრალო მიზეზით, რომ მის (მანიპულირების) საფუძვლად გვევლინება სიტყვა, როგორც კომუნიკაციის საშუალება – შეუძლებელია ვინმეს პასუხისმგებლობა დააკისრო სიტყვის თავისუფლების გამოყენების გამო! მსოფლიო მასშტაბით ჯერაც ვერანაირი შედეგი ვერ მოიტანა ნაირნაირი ეთიკური კოდექსების წერამაც.

ახლა უფრო დაწვრილებით განვიხილოთ პრესის მიერ გამოყენებული პოლიტიკური მანიპულირების ხერხები. როგორც ვთქვით, პრესა მანიპულირებს ინფორმაციით, უფრო ზუსტად, ინფორმაციის მართვით.

შესაძლებელია ინფორმაციის:

– გაყალბება და საზოგადოებისთვის შეჩეჩება, როგორც ნამდვილის;

– დამახინჯება რომელიმე მხარის სასარგებლოდ;

– რედაქტირება საკუთარი გამონაგონისა და კომენტარების დამატებით;

– ინტერპრეტაცია მანიპულატორისთვის სასარგებლო მიმართულებით;

– რომელიღაც მნიშვნელოვანი დეტალის მიჩქმალვა.

ამის გარდა, პრესას შეუძლია:

– ამომრჩეველთა ყურადღება გაამახვილოს საკუთარი (მანიპულატორის) პოზიციების განსამტკიცებელ ფაქტებზე;

– ობიექტურად გადმოცემულ მასალას შეურჩიოს შინაარსის აბსოლუტურად შეუსაბამო, ან საწინააღმდეგო სათაური;

– რომელიმე გამომსვლელს მიაწეროს განცხადება, რომელიც მას არ გაუკეთებია;

– ობიექტური ინფორმაცია გამოაქვეყნოს მას შემდეგ, რაც მან უკვე დაკარგა აქტუალობა;

– გამოაქვეყნოს დამახინჯებული ციტატა, გამოსვლის ნაწილი ან ფრაზები, რომლებიც კონტექსტის გარეშე სხვა, ზოგჯერ ნათქვამის საწინააღმდეგო აზრს იძენს.

ზემოთ აღნიშნული ილეთები შეიძლება გამოყენებული იყოს კომპლექსურად, ან მოთხოვნილების შესაბამისად. ოღონდ, ყველაფერი უნდა გაკეთდეს ვირტუოზულად, მაღალ პროფესიულ დონეზე.

პოლიტიკური მანიპულირების ხერხების აბსოლუტური უცოდინრობის კლასიკური მაგალითია საქართველოს ხელისუფლების მიერ „ნაციონალისტების" („ნაციონალური მოძრაობის" წევრების), კონკრეტულად, ე. წ. ქვანია-სააკაშვილის ჯგუფის წინააღმდეგ მიმართული ღონისძიებები 2001 წლიდან 2003 წლის ნოემბრამდე. იგი იმდენად უხეში და უსუსური იყო, რომ აბსოლუტურად საწინააღმდეგო შედეგები მოიტანა და ოპოზიციონერები ლამის ეროვნულ გმირებად წარმოაჩინა.

მანიპულირების ფუნდამენტური მექანიზმი გახლავთ ე. წ. სუგესტია, ანუ კონკრეტული მსჯელობით ადამიანის დარწმუნება რაიმე ლოგიკური მტკიცებულებების გამოუყენებლად. თვალსაჩინოებისთვის მოგახსენებთ, რომ ამ მეთოდს პოლიტიკური ოპონენტების წინააღმდეგ ერთობ წარუმატებლად იყენებდა (ცდილობდა გამოეყენებინა) ყოფილი პრეზიდენტი გამსახურდია და მისი გარემოცვა (პეტრიაშვილი, ქობულაშვილი, გუგუშვილი, ქორიძე...) 1990-1991 წწ. ამით იმის თქმა მინდა, რომ მათ იცოდნენ პოლიტიკური მანიპულირების ხერხების არსებობის შესახებ, მაგრამ არ იცოდნენ მისი გამოყენება. სამწუხაროდ, მას შემდეგ თხუთმეტი წლის განმავლობაში საქართველოში ბევრი არაფერი შეცვლილა.

სხვათა შორის, ნათქვამი ეხება სახელისუფლებო (რომელიც საქართველოში ტრადიციულად შუასაუკუნეობრივი მეთოდებით ებრძოდა და ებრძვის პოლიტიკურ ოპოზიციას) ძალებსაც და ოპოზიციურსაც. თუ ოდნავ კრიტიკულად განვიხილავთ, მაგალითად, ნათელაშვილის ლეიბორისტული (შრომის) პარტიის მოღვაწეობას, დავინახავთ, რომ ეს პოლიტიკური ძალა მოქმედებდა და მოქმედებს აბსოლუტურად გაუაზრებლად. პოლიტიკური მოწინააღმდეგეების დასამარცხებლად მისი ერთადერთი იარაღია ზოგადი, დაუსაბუთებელი, ხშირად, ცილისმწამებლური განცხადებები: მთავრობა კორუმპირებულია, ბიუჯეტი კორუფციის წყაროა, პრეზიდენტი ქვეყნის და ხალხის მტერია და ა. შ. ანუ ნათელაშვილის ჯგუფი საზოგადოებაში ავტორიტეტის მოხვეჭას მხოლოდ სხვისი სახელის უხეში დისკრედიტაციის გზით ცდილობს. მისი ლოგიკა, დაახლოებით ასეთია: სააკაშვილი ცუდი ბიჭია, ესე იგი, ნათელაშვილი კარგი ბიჭია. ანუ ამ პარტიისთვის, ყოველ შემთხვევაში, მოცემული პერიოდისთვის, უცნობია საზოგადოებრივ ცნობიერებაზე ზემოქმედების მეცნიერული მეთოდები.

განვიხილოთ სუგესტიის რამდენიმე სპეციალური ხერხი:

**ა) სტერეოტიპების გამოყენება.** სტერეოტიპში იგულისხმება ადამიანთა მიერ რომელიმე სოციალური ობიექტის გაუბრალოებულად, სქემატურად აღქმა. ადამიანის რომელიმე „სოციალურ ტიპზე" მიკუთვნება სავსებით ბუნებრივი მოვლენაა. ზოგიერთი „სოციალური ტიპი" ადამიანის შემეცნებაში მყარად არის დაფიქსირებული და საკუთარი გამოცდილებით შემოწმებას არ ექვემდებარება. მაგალითად, ქართველი ადამიანების შემეცნებაში ჯერ კიდევ მყარად „ზის" ისეთი სტერეოტიპები, როგორიცაა: „ნაცისტი" (ნაციონალ-სოციალისტი), „ფაშისტი", „შამდიმანი", „კაპიტალისტი", „სომეხი" და სხვა. 2003 წლის ნოემბრის ე. წ. „ვარდების რევოლუციის" შემდეგ ამას ყოფილი პრეზიდენტის „საპატივცემოდ" დაემატა „შევარდნაძისტი". აქედან გამომდინარე, პრესა ძალიან ადვილად ახერხებს არასასურველი პიროვნების გაიგივებას სტერეოტიპთან: გერმანელმა ნაციონალისტებმა ქვეყანა დააქციეს, უამრავი ადამიანი დახოცეს. სააკაშვილი – კემულარია – გრიგალაშვილი (საქართველოს ნაციონალური მოძრაობის წევრები) ნაციონალისტები არიან. ანუ, ეს ჯენტლმენები ნაცისტები, კაციჭამიები ბრძანდებიან. ან უფრო მარტივი მაგალითი: „სომეხი" საქართველოს დაუძინებელი მტერია, თეიმურაზ ქორიძე სომეხია.

საგულისხმოა, რომ 2000 წლის შემოდგომიდან მოყოლებული, ამ ხერხს ქართველი პოლიტიკური ოპონენტები სულ უფრო დაჟინებით და სულ უფრო უხეშად იყენებდნენ პირადად ქვანიას, სააკაშვილის, მერაბიშვილის, თევდორაძის და სხვების წინააღმდეგ. ამ უგუნური კამპანიის გვირგვინი გახლდათ ერთდროულად ორ ყოველკვირეულ გაზეთში გამოქვეყნებული წერილების სერია საერთო სათაურით „ოთხი დღე, რომელმაც შესძრა საქართველო", რომელიც მალე წიგნადაც გამოიცა.

თავი დავანებოთ იმას, რომ ტრადიციულად მრავალეროვნულ სახელმწიფოში მოქალაქეების ეთნიკური წარმომავლობის მიხედვით დახარისხება ძალიან სახიფათო თამაშია და ხშირად უსასტიკესი სამოქალაქო ომით მთავრდება. XXI საუკუნის დასაწყისში საქართველო ეთნიკურ ნიადაგზე სამოქალაქო არეულობას გადაურჩა, მაგრამ „ოთხი დღის" ავტორებმა სასურველის საწინააღმდეგო შედეგი მიიღეს – **წერილების ამ სერიალისა და შემდეგ მისი წიგნად გამოქვეყნებიდან ორ წელიწადზე ნაკლებ დროში ხელისუფლებაში ტრიუმფით მოვიდა სწორედ ის ნალანძღი ქვანია-სააკაშვილის გუნდი.**

ოპოზიციური ძალების ხელისუფლებაში ტრუმფით მოსვლას, ნებსით თუ უნებლიეთ დიდად დაეხმარა დაბალ პროფესიულ დონეზე შესრულებული, მოუზომავი და გაუაზრებელი კრიტიკის, უფრო ზუსტად, უარგუმენტო დედაკაცური ლანძღვა-გინებისა და წყევლა-კრულვის ნიაღვარი.

**ზუსტად საპირისპიროს თქმა შეიძლება 2001-2003 წლების ქართულ ოპოზიციურ პრესაზე – ეს იყო ხელისუფლების წინააღმდეგ მიმართული მაღალ ინტელექტუალურ და მეცნიერულ დონეზე შესრულებული პიარ-კამპანია.**

რომ არა სახელისუფლებო პრესის სრულ უვიცობაზე დამყარებული წინააღმდეგობა, ოპოზიცია ამგვარ ყოვლისმომცველ გამარჯვებას ვერ მოიპოვებდა. თუმცა, ნუ გამოგვრჩება მთავარი – იმჟამინდელი ქართული საზოგადოების გაუსაძლისი სოციალური სიდუხჭირე, რამაც, ძირითადად, განაპირობა კიდეც მასობრივი გამოსვლები ხელისუფლების წინააღმდეგ.

**ბ) იარლიყების მიკერება.** ეს არის კარგად ცნობილი მეთოდი საბჭოთა სინამდვილიდან. მის გამოყენებას (კომუნისტებისგან განსხვავებით) წარუმატებლად ცდილობდა პრეზიდენტ გამსახურდიას გარემოცვა გასული საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისში (სიგუა ნარკომანია, ნათაძე ქურდია, შევარდნაძე რუსეთის აგენტია...), დაახლოებით იგივე სურათი მივიღეთ თითქმის 15 წლის შემდეგაც. მართალია, ეს არის პოლიტიკური ბრძოლის ერთ-ერთი ძლიერმოქმედი იარაღი, მაგრამ იგი ძლიერ სახიფათოცაა, ვინაიდან იარლიყების მიკერება საზოგადოებას ჩვევად ექცევა ხოლმე. „მოღალატე", „მტერი", „აგენტი", „მექრთამე" და სხვა, საბოლოოდ, ჩვეულებრივ, ყოველდღიურ სიტყვებად აღიქმება და ნამდვილ მნიშვნელობას კარგავს. თანაც, ლექსიკონიდან აძევებს მონათესავე, არანაკლებ აგრესიულ ცნებებს.

**გ) ინფორმაციის გამეორება.** ცნობილია, რომ 30 წუთის შემდეგ აუდიტორიას მიღებული ინფორმაციის შინაარსის მხოლოდ 60 პროცენტი ახსოვს. დღის ბოლოსთვის იგი 40, ხოლო კვირის ბოლოსთვის 10 პროცენტამდე მცირდება. აქედან გამომდინარე, პრობლემა თავისთავად ქრება ათიოდე დღის განმავლობაში. ამიტომ აუცილებელია მნიშვნელოვანი ინფორმაციის ახალი ფაქტებით გამდიდრება და გარკვეული პერიოდულობით გამეორება, რათა იგი დროულად მიიღოს აუდიტორიამ და „ჩაჯდეს" მასების შემეცნებაში.

**თემურ ქორიძე**

**(დასასრული იქნება).**

ოპოზიცია

# ნორმალური ოპონირებისთვის ეს ხელისუფლება გზას არ გვიტოვებს,

## ამბობს პარლამენტარი ფიქრია ჩიხრაძე

**საქართველოში, სადღეისოდ, შეგვიძლია ვთქვათ, რომ პოლიტიკური კულტურა დაბალია. პოზიცია და ოპოზიცია დღემდე ვერ ახერხებენ ურთიერთობის მოწესრიგებას. საზოგადოების დიდი ნაწილი მიიჩნევს, რომ ხელისუფლება განსხვავებული აზრის იგნორირებას ახდენს, ოპონენტებზე თავდასხმას, მათი ცემის ფაქტებსაც ხშირად ხელისუფლებას მიაწერს. საზოგადოების ამგვარ ეჭვს ოპოზიცია მშვენივრად ახმიანებს. შექმნილ ვითარებაზე ვესაუბრებით პოლიტიკური გაერთიანება „ახალი მემარჯვენეების" ერთ-ერთ ლიდერს ფიქრია ჩიხრაძეს.**

**– ქალბატონო ფიქრია, როგორ შეაფასებდით ხელისუფლებისა და ოპოზიციის ახლანდელ ურთიერთობას?**

– დადებითს ვერაფერს ვიტყვი. ყველა ნორმალურ, დემოკრატიულ ქვეყანაში ოპოზიცია და ხელისუფლება კამათობს ერთმანეთთან, შესაძლოა ოპოზიციის ინიციატივები არ გადიოდეს პარლამენტში, მაგრამ მის აზრს პატივს სცემენ და ითვალისწინებენ. არც ერთ ნორმალურ ქვეყანაში პოზიციების დაცვა მუშტი-კრივით, ლანძღვა-გინებით არ ხდება. ჩვენი ხელისუფლება კი დღეს ოპოზიციას სწორედ ძალას უპირისპირებს. ამით იგი საზოგადოებასაც აყენებს შეურაცხყოფას, რადგან ოპოზიციაც არის საზოგადოების წარმომადგენელი და ისევე ასახავს ხალხის განწყობას, როგორც თავის დროზე ისინი იწონებდნენ თავს ხალხის დიდი მხარდაჭერით.

**– ხელისუფლებამ არ გაითვალისწინა თქვენი პოლიტიკური პარტიის მიერ წარდგენილი კანონპროექტი მერის პირდაპირი წესით არჩევითობასთან დაკავშირებით, რატომ?**

– ამ კანონპროექტს მხარს უჭერდა თითქმის ყველა ოპოზიციური ჯგუფი. რაც მთავარია, ამ საკითხს ჰქონდა ფართო საზოგადოებრივი მხარდაჭერა. როცა ისინი ამბობდნენ, რომ ოპოზიციის სურვილს არ გაიზიარებდნენ და საკითხს ნაციონალური მოძრაობის და სააკაშვილის ჩანაფიქრით გადაწყვეტდნენ, ამით უარი უთხრეს საზოგადოების განწყობას. ეს, სამწუხაროდ, მიანიშნებს იმაზე, რომ ხელისუფლება მომავალშიც მხოლოდ საკუთარი ნაბიჯებით გააგრძელებს სვლას და ქვეყანას მიიყვანს ისეთ მდგომარეობამდე, საიდანაც მოგებული არავინ დარჩება.

**– ოპოზიცია ხელისუფლებასთან ურთიერთობისას ძალიან ბევრ წინააღმდეგობას აწყდება. როგორ აპირებთ კოლეგებთან მუშაობის გაგრძელებას, როდემდე შეიძლება კინკლაობა ასე?**

– ჩვენ მოწადინებული ვიყავით, რასაც ითხოვს დემოკრატიული პროცესი, იმ ჩარჩოებში გვემოქმედა, გვეკონტროლებინა ხელისუფლება, საჭიროების შემთხვევაში გაგ-




ვეკრიტიკებინა. არა, იყო საკითხებიც, რაშიც ხელისუფლებას ვეთანხმებოდით. მაგრამ, სამწუხაროდ, გვყავს ამბიციური ხელისუფლება, რომელიც ნორმალური მოქმედების საშუალებას არ გვიტოვებს. ისინი ფიქრობენ, რომ ახლახან დეპუტატ გელაშვილზე განხორციელებული ძალადობით (მსგავსი ფაქტები ადრეც გვქონდა), სატელევიზიო გადაცემების დახურვით, ობიექტებში ნიღბიანი, შეიარაღებული ადამიანების შევარდნით (არის თუ არა საჭირო ეს) საზოგადოებას დააშინებენ. სწორედ ამიტომ, პირადად მე, თუ ადრე მზად ვიყავი ჩვეულებრივი ოპოზიციური ოპონირებისთვის, დღეს უკვე, ამ ძალადობის ფონზე, შემიძლია ვთქვა, რომ გაათკეცებული ენერგიით მზად ვარ სერიოზული ბრძოლისთვის. ჩვეულებრივი, ნორმალური ოპონირებისთვის ეს ხელისუფლება არანაირ გზას არ გვიტოვებს. მემარჯვენეები მზად ვართ საზოგადოებასთან ერთად თითოეულ კანონდარღვევას, ვანდალურ გამოხდომებს სერიოზული რეაქცია მივცეთ.

**– ახლახან შუალედურ არჩევნებთან დაკავშირებით ოპოზიციურმა პარტიებმა კონსულტაციები გამართეთ, არჩევნების ობიექტურად ჩატარების იმედი თუ გაქვთ?**

– ეს კონსერვატორების ინიციატივა გახლავთ. მხარი დავუჭირეთ ახლებმა, რესპუბლიკელებმა, ლეიბორისტებმა და მოძრაობა „თავისუფლების" წარმომადგენლებმა. არის სხვა პარტიებიც, რომლებიც გამოთქვამენ თანამშრომლობის სურვილს, მაგრამ ჩვენ ცოტა გვეშინია. შესაძლოა ამით ისარგებლოს ხელისუფლებამ და რომელიმე, შედარებით უცნობი პარტიის მეშვეობით, შემოაგდოს ისეთი კანდიდატი, რომელსაც შემდეგ თვითონ დაუჭერს მხარს სახელისუფლებო რესურსით. აქედან გამომდინარე, ჩავთვალეთ: – ამ ეტაპზე ვითანამშრომლებთ ის პოლიტიკური ძალები, რომლებიც, მეტ-ნაკლებად, საზოგადოებაში ამინდს ქმნიან და გარკვეულწილად ელექტორატის მხარდაჭერაც აქვთ. რაც შეეხება არჩევნების ობიექტურობას, არ მაქვს იმედი, რომ ესენი გონივრულად მოიქცევიან და არჩევნებს ნორმალურად ჩაატარებენ, მაგრამ ჩვენ ყველა რესურსით ვეცდებით, რომ პროცესები მშვიდობიან კალაპოტში გადავიყვანოთ.

**– როგორც ვიცი, სწორედ ეს პარტიები ხართ მზად კოალიციური მთავრობის შესადგენად...**

– ამ ეტაპზე არავითარ კოალიციურ მთავრობაზე ლაპარაკი არ არის. ეს ინიციატივა ლეიბორისტებმა გამოთქვეს, მაგრამ დღეს მსჯელობა არის პრაიმერულ არჩევნებზე. ზოგ საკითხზე, რომელზეც ოპოზიციურმა ძალებმა შეთანხმებას მივაღწიეთ, ერთად ვიმუშავებთ. ისე კი, რაიმე გაერთიანების აზრს ვერ ვხედავ. თუ გაერთიანება არ მოხდა, რაღაც მსოფლმხედველობრივი პრინციპების დაცვით, მარტო ხელისუფლებაში მოსვლისთვის გაერთიანება ჩვენ საკმარისად არ მიგვაჩნია.

**ესაუბრა**
**ლელა ხვადაგიანი**
**ლევან მართაშვილის ნახატი.**

კონფლიქტის ზღვარზე

# იქ, სადაც ფანჯრები ზრიალებენ

**დილაა და უკვე საკმაოდ ცხელა. გზადაგზა, ქართლის ველებზე ფხაწამხმარი პურის ყანები გვეგებებიან. ნელ-ნელა ოქროსფერდება ზაფხული. გორს გავცდით და, რუის-ურბნისის ეპარქიას რომ მივუახლოვდით, თვალში გვეცა ფირნიში წარწერით „აცხოვნე უფალო, ერი შენი..." ასე მგონია, ერის ეს ლოცვა განსაკუთრებით სხვა ძალით წარმოითქმის ქარელის რაიონში, რადგან სწორედ რუის-ურბნისის საეკლესიო კრებიდან დაიწყო საქართველოს გამთლიანება საუკუნეების წინათ დიდმა დავით აღმაშენებელმა.**

ქარელის გადასახვევსაც გავცდით, საღოლაშენსაც, აგერ, დაბა აგარა და ქვენატკოცაც... ახლა გზის აღმა, ჩრდილოეთისკენ მივუყვებით, მდინარე ფრონეს ხეობისკენ. სულ ზემოთ ყორნისია (ყოფილი ზნაურის რაიონი), ქვემოთ კი სოფლები – ოქონა, კნოლევი, ავლევი და ცერონისი.

ახლანდელი დაძაბული მდგომარეობის გამო, სოფლელები ზნაურში ასვლას ერიდებიან. თორემ ორი თვის წინათ ოსებიც ჩამოდიოდნენ და თავისუფლად მგზავრობდნენ აქეთა გზით და ქართველებიც ასევე თავისუფლად შედიოდნენ ზნაურში პროდუქტების, უმეტესად ფქვილის, გამოსატანად, რომელიც იქ შედარებით იაფი ღირდა.

– ხშირად ისმის სროლის ხმა. ზოგჯერ ძლიერი აფეთქების ისეთი ექო მოდის ცხინვალის მხრიდან, რომ ჩვენს ფანჯრებს ზრიალი გაუდით, – ამბობენ აქაურები.

იმ ავბედით წლებში იყო პანიკის შემთხვევებიც, როცა კნოლევის, ავლევის, ცერონისის მცხოვრებლებიც აიყარნენ, ქალები და ბავშვები რამდენიმე ხნით გაარიდეს კიდეც შესაძლო შემოტევებს, თუმცა, ასეთი რამ აქ არ ყოფილა, საბედნიეროდ.

ავლევის საკრებულოში სამი სოფელია გაერთიანებული. ავლევში ჯერ კიდევ 1909 წელს ცნობილი ქართველი მეცნიერის, აქაური მკვიდრის, კონსტანტინე ამირეჯიბის თაოსნობით გაიხსნა სასოფლო-სამეურნეო სკოლა. წლების წინათ ეს შენობა მეცნიერის სახლ-მუზეუმად უნდოდათ, მაგრამ ბოლო ათეული წელია, რაც იქ ბინა ავლევის ცხრაწლიანმა სკოლამ დაიდო. შენობა მეტად სავალალო მდგომარეობაში იყო, ფაქტობრივად, იქ სწავლა არ შეიძლებოდა, მაგრამ ოცი წლის წინათ, ამ სოფლის მკვიდრის, ჟურნალისტის ლია ჯახველაძისა და მისი ძმის გივი ჯახველაძის მცდელობითა და რუდუნებით შენობა შესანიშნავად გარემონტდა და სასწავლო პროცესიც ნორმალურად მიმდინარეობს.

სოფელი კნოლევი უფრო ახლოსაა ზნაურის რაიონთან. ის ჩრდილოეთიდან ქარელის რაიონის კარიბჭესავითაა. ამიტომ ყოველთვის იყო რაღაც რისკის ქვეშ, რომ არეულობის დროს პირველი დარტყმა მას მიეღო. მაგრამ, ღვთის მადლით, სოფელში სიმშვიდეა და ხალხიც ჩვეულებრივად შრომობს თავის ბაღ-ვენახში.

სოფლები ურწყავია. მდინარის წყალი ყველა ნაკვეთს როდი უდგება. თუმცა, შავმიწა და მთამდელოს ნიადაგებზე, სადაც წყალი მოხვდება, შესანიშნავი ხილი და ბოსტნეული მოდის. ხეობის მცხოვრებნი დიდი შრომისმოყვარეობით გამოირჩევიან. სხვანაირად მათ თავის რჩენა და ოჯახის გამოკვება გაუჭირდებათ. ყოველ ოჯახს ჰყავს მეწველი ძროხა, საღამოობით კი დაღლილ-დაქანცული ხალხი სათოხნიდან შინ ბრუნდება.

მშობლები შვილებს პატარაობიდანვე აჩვევენ შრომას. იმ დღესაც ცერონისელი კობა გელაშვილი თავის ხუთი წლის ბიჭუნასთან ერთად ბრუნდებოდა ვენახიდან. ოთიკოსაც მხარზე პატარა თოხი გაედო და მამას ვაჟკაცურად მოჰყვებოდა.

კობა მამით ობოლია. წესიერი, მშრომელი ახალგაზრდაა. ცოლი და ორი შვილი ჰყავს და რომ იტყვიან, წელებზე ფეხს იდგამს, რომ ოჯახს არაფერი მოაკლოს.

სახნავ-სათესში, „მანეულებს" რომ ეძახიან, მეჩხერად შეგხვდებათ მოვლილი ნაკვეთები. დანარჩენი – გულაღმა ყრია, ამოუბრუნებელი.

– საწვავი ჭირს. პრეზიდენტის დახმარება რაც იყო, „სალიარკა", გაზაფხულზევე შემოგვეხარჯა. ფული გვიჭირს ძალიან. პენსიას კი ვიღებთ, მაგრამ ფქვილის საყიდლადაც კი არ გვყოფნის. ზოგჯერ ბაზარზე გაგვაქვს ნამეტი პროდუქცია, ძირითადად, ხაშურში, გორში ან ბორჯომში, მაგრამ ძალზე მცირე და ძალზე იშვიათად, რადგან ცარიელი ხელით იმდენ მოსავალს ვერ ვიწევთ, რომ ოჯახშიც გვეყოს და ბაზარზეც გავყიდოთ, – გვეუბნება ვახტანგი.

ხეობაში არც საექიმო ამბულატორია მოქმედებს. ამიტომ სოფლის მცხოვრებთ აგარაში, ქარელში ან ხაშურში უწევთ წასვლა ელემენტარული სამედიცინო დახმარების მისაღებად. მგზავრობა კი საკმაოდ ძვირი ღირს.

– დრო რომ მოუვიდეს, ფეხმძიმე ქალი ქარელის სამშობიარომდე ვერც ჩააღწევს, აბისამდე იმშობიარებს, ისე დაანჯღრევს ეს დანგრეული გზებიო, – ხუმრობენ აქაურები.

ახლა სადაცაა, ალოობის სეზონი დაიწყება. მოსახლეობამ, ვინც როგორ გაწვდა, ხორბალი და ქერი დათესა. მაგრამ აღების დროს ძალიან ჭირს კომბაინის შოვნა. ავლევში ჰყავთ ერთი, ცერონისში – ორი მუშა კომბაინი. ისიც ძველი, კომუნისტებისდროინდელი. კომბაინის მეპატრონე პაატა ხუციშვილი გვეუბნება, რომ უჭირთ სათადარიგო ნაწილები, ძნელი საშოვნელია და მანქანის შეკეთება და რემონტიც ძვირი უჯდებათ. რიგები დგას კომბაინის შოვნაზე, ხშირად მეზობლებიც კი კინკლაობენ ამის შესახებ, რათა გადამწიფებული თავთავი მიწაში არ ჩაუწვეთ.

ავლევის საკრებულოს ამ სოფლებს პეტრე რაზმიაშვილი თავკაცობს. მან ზედმიწევნით კარგად იცის აქაურების ჭირი და ლხინი, იცის ყველა ის პრობლემა, რაც მოსახლეობას აწუხებს. იგი ღონეს არ ზოგავს, რომ რაღაც უკეთესობისკენ შეცვალოს, თუმცა, ზოგჯერ ბევრი რამ, რისი გაკეთებაც გულით სურს, მის ძალას აღემატება. მოგეხსენებათ, ყველაფერი ფინანსებზეა დამოკიდებული.

* * *

7 ივლისს ცერონისში ივანობა, იოანე ნათლისმცემლის შობის დღე იზეიმეს. ამ დღესასწაულის აღნიშვნა უძველესი დროიდან სცოდნიათ, მაგრამ მერე კომუნისტებს აუკრძალავთ. ეს რამდენიმე წელიწადია, რაც ტრადიცია აღადგინეს. დღეობა შუა მარხვაშია, მაგრამ აქაურები სამარხვოსთან ერთად ხსნილ კერძებსაც ამზადებენ და სუფრაზე მიაქვთ. ივანობისას სოფელში დიდი სტუმრიანობაა. სათონეში პურს და ხაჭაპურს აცხობენ. სუფრა ნაირ-ნაირი კერძებითაა სავსე. ღვინოც ისმევა და არის მხიარულება და ერთმანეთის დალოცვა. მეზობლების გადაპატიჟება. ამ დღეს და წინა საღამოს ეკლესიებში სანთლებს ანთებენ და ლოცულობენ.

ხომ ღარიბია, მაგრამ ახლა, ამ გაგანიაში სოფელში ყოფნას არაფერი სჯობს. მისახედია სოფელი – საქართველოს გადამრჩენელი და ერის დედაბოძი. ედემის ბაღს დაამსგავსებს თავის ეზო-კარს ქართველი გლეხი, თუკი ხელშეწყობა ექნება.

**ლია ჭილლაძე**

ინფორმაცია

## გამოაჩინეთ, რაც ფული გაქვთ!



**არადეკლარირებული** საგადასახადო ვალდებულებებისა და ქონების ბანკების მეშვეობით ლეგალიზაციისთვის, ფიზიკურ პირებს 10 დღის ვადა რჩებათ.

31 ივლისს იწურება სამთვიანი პერიოდი, როდესაც დაფარული ქონების დეკლარირება-ლეგალიზაციას დაქვემდებარებულ პირებს შეუძლიათ საქართველოს კომერციულ ბანკებში, ვადიან ან შემნახველ ანაბრებზე ეროვნული ან უცხოური ვალუტით ნაღდი ფული შეიტანონ ან საზღვარგარეთიდან გადმორიცხონ.

როგორც ეროვნული ბანკის პრეზიდენტმა რომან გოცირიძემ გუშინ საგანგებოდ გამართულ ბრიფინგზე განაცხადა, საბანკო არხებით ფულის ლეგალიზებისთვის 10 დღე დარჩა. მისი თქმით, თანხების ამ ფორმით ლეგალიზების დროს დეკლარირებული ქონების 1%-იანი მოსაკრებლის გადახდა საჭირო არ არის.

„თუკი პიროვნება კანონით განსაზღვრული სამი თვის ვადაში ანაბრებზე თანხას შეიტანს, მომავალში მას ვერავინ მოსთხოვს განხორციელებული ინვესტიციებისა და შენაძენების წყაროს დასახელებას", – განაცხადა გოცირიძემ. მისივე თქმით, ლეგალიზების პროცესის კონფიდენციალობის გარანტი საქართველოს ეროვნული ბანკი იქნება.

## დროზე, რაღას ვაჭიანურებთ?

**აფხაზეთის** გავლით რუსეთ-საქართველოს შორის სარკინიგზო მიმოსვლის აღდგენის ფარგლებში მოქმედი რუსეთის, საქართველოსა და აფხაზეთის სამთავრობო კომისიების ტექნიკური ჯგუფები ფსოუ-ინგირის სარკინიგზო მონაკვეთის შესწავლას 9 აგვისტოს დაიწყებენ და 1 ოქტომბრისთვის დაასრულებენ. ამის შესახებ გუშინ მხარეთა წარმომადგენლები შეთანხმდნენ სოხუმში ტექნიკური ჯგუფების მორიგ სამუშაო შეხვედრაზე, რომელშიც მონაწილეობდნენ კონფლიქტების საკითხებში სახელმწიფო მინისტრი გიორგი ხაინდრავა და სოხუმის ხელისუფლების ვიცე-პრემიერი ლეონიდ ლაკერბაია.

რუსეთის რკინიგზის ტრანსპორტის ფედერალური სააგენტოს ხელმძღვანელის მიხეილ აკულოვის განცხადებით, სოხუმში გამართულ შეხვედრაზე მხარეთა წარმომადგენლები ფსოუ-ინგირის სარკინიგზო მონაკვეთის ტექნიკური მდგომარეობის შესასწავლად ჯგუფების დაკომპლექტებასა და სამუშაოების ჩატარების გრაფიკზე შეთანხმდნენ. აკულოვის განცხადებით, რუსი, ქართველი და აფხაზი სპეციალისტების საქმიანობის უსაფრთხოებას კონფლიქტის ზონაში მოქმედი სამშვიდობო ძალები და ადგილობრივი სამართალდამცველები უზრუნველყოფენ.

## კოლხურ კოშკს კულტურის ძეგლის სტატუსი მიენიჭება

**კოლხურ კოშკს** უახლოეს დღეებში კულტურის ძეგლის სტატუსი მიენიჭება. ამის შესახებ „ინტერპრესნიუსს" საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის მინისტრის მოადგილემ თათა ქვარიანმა განუცხადა.

მისი თქმით, კოლხური კოშკის საკითხი კომისიამ უკვე განიხილა. პროცედურა დაწყებულია და უახლოეს დღეებში, შესაბამისი პროცედურის დასრულების შემდეგ, კოლხური კოშკი კულტურის ძეგლთა ნუსხაში შევა.



„4 ივლისს სამინისტროში შემოვიდა განაცხადი, კოლხური კოშკისთვის კულტურის ძეგლის სტატუსის მინიჭების მოთხოვნით. ამის შემდეგ, კომისიის პირველივე სხდომაზე განვიხილეთ საკითხი და შესაბამისი პროცედურა დაიწყო. განაცხადის შემოტანის შემდეგ არავინ მოსულა იმის გასარკვევად, შეიცვალა თუ არა რამე", – აღნიშნა ქვარიანმა.

გუშინ კულტურის სამინისტროსთან ექს-პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას მომხრეები შეიკრიბნენ და კოლხური კოშკისთვის კულტურის ძეგლის სტატუსის მინიჭების მოთხოვნით აქცია გამართეს. აქციას ექს-პრეზიდენტის ქვრივი მანანა არჩვაძე-გამსახურდია და ყოფილი პარლამენტარი გურამ შარაძეც ესწრებოდნენ.

## აბა, გემებმა ისევ იპარპაშონ?

**ქართული და აფხაზური მხარის** წარმომადგენლები აფხაზეთის კონფლიქტის ზონის უსაფრთხოების საერთაშორისო გარანტიებზე დღეს საქართველოში გაეროს გენერალური მდივნის სპეცწარმომადგენლის თბილისის ოფისში იმსჯელებენ. შეხვედრაში მონაწილეობას გაეროს გენერალური მდივნის მეგობარი ქვეყნების ჯგუფის წარმომადგენლებიც მიიღებენ. 20-21 ივლისისათვის თბილისში დაგეგმილ შეხვედრაში ქართულ მხარეს კონფლიქტების საკითხებში სახელმწიფო მინისტრი გიორგი ხაინდრავა უხელმძღვანელებს.

როგორც „ინტერპრესნიუსს" სოხუმის ხელისუფლების საგარეო საქმეთა მინისტრმა სერგეი შამბამ განუცხადა, თბილისში დაგეგმილ შეხვედრაში აფხაზური მხარიდან მონაწილეობას მიიღებს აფხაზური პარლამენტის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარე ბესლან ბუთბა და თავდაცვის მინისტრის მოადგილე გარი კუპალბა.

შამბას განმარტებით, მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს პრეზიდენტმა მიიღო გადაწყვეტილება, დაკავებულ თურქულ გემებზე არსებული ტვირთის აფხაზური მხარისთვის გადაცემის თაობაზე, სოხუმი თბილისის წინაშე აფხაზეთის საზღვაო აკვატორიის უსაფრთხოების საერთაშორისო გარანტიების საკითხებთან ერთად, ქართული გემების მიერ „აფხაზეთის საზღვაო წყლებში" თურქული გემების დაკავების ფაქტების აღკვეთასაც აყენებს.

**ინტერპრესნიუსი**

მწარე სურათი

# დედის ბეჭედი

**— მე რომ მოვკვდები, რა გეშველება, შე უბედუროო, — ეტყოდა ქმარი.**
**— შენ იკითხე, მიწას ქვეშ რომ ამოედები, თორემ მე რა უნდა გამიჭირდეს მიწის ზემოთო, — გამოაჯავრებდა ცოლი.**
**გაუჭირდა და მერე როგორ...**

მერამდენეჯერ დაატრიალა თითზე ქამთასვლისგან გალეული საქორწინო ბეჭედი. მერამდენეჯერ ჩამოაცურა ფალანგს, არა და არ ეყო ძალა, რომ წაეძრო. ვერა და ვერ გაიმეტა. კუჭმა ქმრის ეს უკანასკნელი სახსოვარი როგორ უნდა დამტყუოსო, მერამდენეჯერ გაუწყრა საკუთარ თავს.

სწორადაც რომ იქცეოდა, თითქოს ამას უდასტურებდა უფალიც. ხან ახლობელი შემოუვლიდა მცირე ნობათით, ხან მეზობელი მოუკითხავდა სადილ-ვახშამს. ამასობაში პენსიაც მოუსწრებდა და შვილებსაც ესტუმრებოდა, მონატრებულ შვილიშვილებს გულში ჩაიკრავდა და გულშეჯერებული ათენ-აღამებდა.

მთლიანად უყურადღებოდაც გაუვლიდა, აბა, რას იზამდა, მაგრამ რამდენჯერ? ორი შვილი ჰყავდა, თვეში კი ოცდაათი დღე იყო. რამდენჯერ შეიძლება მივადგე დედაბერიო, ჩაეკითხებოდა საკუთარ თავს და წარსულში ჩაღრმავდებოდა...

როგორც იქნა, მოვიდოდა პენსიის დღე. გადაანაწილებდა პურის, შაქრისა და სამას-სამასი გრამი კანფეტისთვის ფულს. ახლა თამამად შეეძლო წასვლა შვილებთან, მოწყურებულ შვილიშვილებთან.

პატარა პარკში გამოკრულ კანფეტს მოხათრებით მისცემდა. მეტი ვერაფერი შევძელი, ისე გაიყავით, არ იჩხუბოთო, — მოიბოდიშებდა და გულში ჩაიკრავდა პატარებს.

— რა მოგართვათო, — ჰკითხავდა რძალი.



— არაფერი, თქვენი ნახვაც მყოფნისო, — უპასუხებდა კრძალვით.

— რას ჰქვია არაფერიო, — და გაშლიდა სუფრას რძალი. ღმერთის წყალობით უხვად იყო ყველაფერი...

ჭამდა რიდით. ცოტა ხნით კიდევ გაიხალისებდა ბავშვებთან და — მეტხნს ვეღარ დავყოვნდები, დამაღამდებაო, იტყოდა. შვილის თვალის შევლებაც უნდოდა, მაგრამ...

— იმას ჩვენც ვერ ვნახულობთ, დღე და ღამეს ასწორებსო, — დაიწუწუნებდა რძალი და სხვათა შორის — იქნებ რამე წაგეღოო, სიტყვას დაადევნებდა უკვე კარებში გასულ დედამთილს.

— არაფერი მინდა, ღმერთის წყალობით ყველაფერი მაქვსო, ცივად იუარებდა სუფრაზე თვალდარჩენილი. შინ კი რა ებადა... მაგრამ შვილებს არ დავაკლოო, კიდევ ამაზე ფიქრობდა დედის გული.

არც მეორე შვილთან სტუმრობისას იცვლებოდა რამე. კვლავ ხათრი და ბოდიში სამასი გრამი კანფეტის გამო. კვლავ ხვავრიელი სუფრა, რიდით ჩაყლაპული ორიოდე ლუკმა და კვლავ შვილის უნახავად წასვლა სიმარტოვეში...

გულში კი მაინც ღმერთს ემადლიერებოდა: მართალია, მცირეა ეს დალოცვილი პენსია, მაგრამ დროულად რომ მაძლევენ, ესეც დიდი საქმეა, ჩაისთვის ხომ მწვდება, შვილიშვილების ნახვისთვისაც კმარაო. არადა, კვლავ რომ გაეხარა, წინ კიდევ ერთი თვის ლოდინი ედო. ამ ერთ თვეში კი ხან კუჭი შემოუტევდა, ხან შვილებთან სტუმრობის ჟინი და, ვინ იცის, მერამდენეჯერ ჩამოიცურებდა ქმრის სახსოვარს თითზე... წასაძრობად ძალა არ ჰყოფნიდა, თითქოს სიყვარულს შეურაცხყოფდა, ერთგულებას ატანდა წყალს...

არა. არაფერს და ვერაფერს ამ ბეჭედს ვერ ანაცვალებდა.

* * *

მთელი დღე გზას გაჰყურებდა. იქნებ ან ერთი გამოჩნდეს, ან მეორეო. უცნაურმა გულისწადილმა შეიპყრო. რა მემართებაო, შეშფოთდა. ორივე შვილის ოჯახი ფიქრით მოიარა და გულშეჯერებულს ისე ჩაეძინა, ვერც კი გაიგო...

კარის ხმამ გამოაღვიძა. — აკი კარგად ჩავკეტეო, — გაიფიქრა და საწოლში წამოჯდა.

ვიღაცამ წინა ოთახი გამოიარა, კარადას მიაწყდა, რაღაცა ხმაურით დავარდა იატაკზე...

— უცხოა ვიღაც, — გაიფიქრა და წამოდგა.

შეცბა...

იცნო მოსული...

— არ მელოდიო? — ჰკითხა სტუმარმა.

— კარგა ხანიაო, — უპასუხა...

დილით მეზობელმა დაურეკა შვილებს: წუხელ დედა ძილში გაპარულაო!

* * *

ვიღაცამ თქვა, ვიდრე მიცვალებულს მიწას მივაყრიდეთ კუბოდან, აუცილებლად, რაღაც უნდა ამოვარიდოთო.

— საათი არა აქვს, მე მაჩუქა, სათვალე კი იქაც დასჭირდება, კითხვა უყვარდაო, — თქვა რძალმა.

— ბეჭედი. ბეჭედი მოვხსნათ, გალეულია, მაგრამ მაინც ბაჯაღლოა, იქნებ ვინმემ ამის გულისთვის ამოთხაროს კიდეცო, — იდეის გამართლება სცადა ერთმა შვილმა.

— მართალია, ამ ვაგლახ დროში, გალეულს ვინ დაგიდევს, ლამის ლარისთვის მიახრჩონ კაციო, — წაიფილოსოფოსა მეორემ.

— სახსოვრად დაგვრჩებაო, — უხერხულობის გაფანტვა სცადა ამ მეორის ცოლმა.

უფრო გაბედულმა შვილმა კუბოსთან ჩაიმუხლა, დედის გაყინული ხელი აიღო და... ვერა, ვერასგზით გადმოაცილა ფალანგს. თითქოს ბეჭედიც დაგრეხილიყო და თითის ძვალიც გაჯირჯვლებულიყო...

* * *

ცაში კი სიყვარული ზეიმობდა...

**რუსუდან ლორთქიფანიძე.**

კვლევა

# ეროვნულობა და გლობალიზაცია

**დღევანდელობამ კიდევ ერთხელ გამახსენა დიდი ვაჟა-ფშაველა, უფრო ზუსტად ერთი საუკუნის წინათ შექმნილი მისი წერილი „კოსმოპოლიტიზმი და პატრიოტიზმი“, არა მხოლოდ ჩვენსას, არამედ თანამედროვე მსოფლიოს პრობლემებს რომ ეხება. ის მოვიყვანოთ ჩვენი არგუმენტების გასამართლებლად, გავიაზროთ და საზოგადოებას მივაწოდოთ გლობალიზაციასთან დაკავშირებით.**

თავად მკითხველმა განსაჯოს ჩემი მიგნება და პარალელი გავავლოთ ვაჟა-ფშაველას წერილის ფრაგმენტებთან: **„ზოგს ჰგონია, რომ ნამდვილი პატრიოტიზმი ეწინააღმდეგება კოსმოპოლიტიზმს, მაგრამ ეს შეცდომაა. ყოველი ნამდვილი პატრიოტი კოსმოპოლიტია ისე, როგორც ყოველი გონიერი კოსმოპოლიტი (და არა ჩვენებური) პატრიოტია“.** შემდეგ კი აკონკრეტებს, აზუსტებს: „ყოველი მამულიშვილი თავის სამშობლოს უნდა ემსახუროს მთელი თავის ძალ-ღონით, თანამოძმეთა სარგებლობაზე უნდა ფიქრობდეს და რამდენადაც გონივრული იქნება მისი შრომა, რამდენადაც სასარგებლო გამოდგება მშობელი ქვეყნისთვის მისი ღვაწლი, იმდენადვე სასარგებლო იქნება მთელი კაცობრიობისთვის. ედისონი ამერიკელია, ამერიკაშიც მუშაობდა, მაგრამ მისი შრომის ნაყოფს მთელი კაცობრიობა გებულობს. შექსპირი ინგლისელია, ინგლისში მუშაობდა და ცხოვრობდა, მაგრამ მისი შემოქმედებით მთელი კაცობრიობა სტკბება დღესაც. აგრეთვე სერვანტესი, გიოტე და სხვა გენიოსები თავის სამშობლოში თავის თანამოძმეთათვის იღვწოდნენ, მაგრამ დღეს ისინი მთელს კაცობრიობას მიაჩნია თავის ღვიძლ შვილებად“.

არ შეიძლება არ მოვიყვანოთ ვაჟას ერთი წინადადება, ლოზუნგივით რომ ჟღერს დღეისათვის: „მეცნიერება და გენიოსები გვიხსნიან გზას კოსმოპოლიტიზმისაკენ, მაგრამ მხოლოდ პატრიოტიზმის, ნაციონალიზმის მეოხებით განავითარეთ ყოველი ერი იქამდის, რომ კარგად ესმოდეს თავისი ეკონომიური, პოლიტიკური მდგომარეობა, თავისი სოციალური ყოფის ავ-კარგი, მოსპეთ დღევანდელი ეკონომიკური უკუღმართობა და უეჭველია, მაშინ მოისპობა ერთისაგან მეორის ჩასანთქმელად მისწრაფება, ერთმანეთის რბევა, ომები, რომელიც დღეს გამეფებულია დედამიწის ზურგზე“.

აი, ასე მოძღვრავდა მსოფლიოს მეოცე საუკუნის დასაწყისში პატრიოტი მწერალი და... ნუთუ ჩვენ უბრალო მოკვდავებმა, ერთი საუკუნის შემდეგაც ვერ უნდა გავიაზროთ, რომ „ცალ-ცალკე ეროვნებათა განვითარება აუცილებელი პირობაა მთელი კაცობრიობის განვითარებისა“ (კვლავ ვაჟა-ფშაველას დავესესხე). სწორედ ამ თვალსაზრისით, უნდა იყოს შესწავლილი ცხოვრება ჩვენი — საქმენი ჩვენი და სწორედ ამისათვის შეიქმნა ამ ათიოდე წლის წინათ „ეთნიკური კულტურისა და ეროვნული ტრადიციების შემსწავლელი ლაბორატორია“. გვაპატიოს ასეთი სითამამისთვის საზოგადოებამ, ჩვეულებრივმა რიგითმა მკვლევარმა, რომ შევბედე დიდი ვაჟას ზოგადსაკაცობრიო აზროვნების ნიმუშის გამოყენება ჩვენს გასამართლებლად... უფრო სწორად, იმის ასახსნელად, რათა ყოველგვარი ამბიციურობის გარეშე გაცნობოდით ჩვენი მუშაობის თემატიკას, პროგრამას და, რაც მთავარია, მომავალი საქმიანობის ახალ მიმართულებებს და პროექტებს... სწორედ ამ მიზნით უნდა იყოს შესწავლილი და წარმოჩენილი ეროვნულობის ხასიათი, არსი, ისტორიული მეხსიერება, ტრადიციები, წეს-ჩვეულებები, ქართველი ხალხის ეროვნულობის დამახასიათებელი მატერიალური და სულიერი კულტურის უნიკალური ძეგლები, ნიმუშები და ეთნოფსიქოლოგიური ნიუანსები, ერთის მხრივ, შრომისა და ბრძოლის უნარი და მეორეს მხრივ, ქართველთა ტოლერანტობა — მიმტევებლობა, კეთილმეგობრული ურთიერთობების გამოხატვა...

ეროვნულობა ძირითადად ეთნიკურ კულტურასა და ეროვნულ ტრადიციებზეა დაფუძნებული. სწორედ ამიტომაა აუცილებელი ამგვარი მიმართულებების შესწავლა. აქედან გამომდინარე საჭიროა გავეცნოთ მსოფლიო საზოგადოებას და ამით დავიმკვიდროთ საკუთარი ადგილი იმ სივრცეში, რასაც გლობალიზაცია ჰქვია. ესე იგი მთელი დედამიწის ამსახველი და აქედან გამომდინარე, ყველაფრის მომცველი, ზოგადსაკაცობრიო, ყველგან და ყველა სფეროში გამოსაყენებელი. დღეისათვის სწორედ ამ მიზანს ისახავს ძირითადად გლობალიზაცია და ჩვენ ვალდებული ვართ „თავი მოვაწონოთ“ მსოფლიოს, რათა მან დაინახოს, შეიცნოს ჩვენი მონაპოვარი და ჩვენი ეროვნულობა... კოსმოპოლიტიზმისაგან განსხვავებით, რომლის იდეების განმსაზღვრელი, ერთიანი მსოფლიო კანონის მიხედვით, ანტიკური ხანიდან XIX საუკუნემდე მსოფლიოს მოქალაქეობა იყო. ხოლო გლობალიზაცია დემოკრატიულ პრინციპებზეა დამყარებული, ყველა ერს, სუვერენულ სახელმწიფოს უფლება აქვს სათანადოდ შეაფასოს, უფრო მეტიც, თავისი წვლილიც შეიტანოს ამ პროცესების განხორციელებაში. ამიტომაც სწორედ დღეს აუცილებელია ახალი მეთოდოლოგიითა და მიმართულებებით ჩვენი ეროვნული ფასეულობების წარმოჩენა-შესწავლა. კვლავ ვაჟა-ფშაველას რომ დავესესხოთ: „ამისათვის საჭიროა ენის, სულისა და გულის შეგნება“.

ჩვენი კვლევის ობიექტი იმთავითვე იქეთ იყო მიმართული, რომ საუკუნეების მანძილზე მცხოვრები სხვადასხვა ეროვნების წარმომადგენლების ყოფა-ცხოვრების შესწავლით და, რაც მთავარია, ადგილობრივ ბინადარ ქართველ ტომთა ყოფისა და კულტურის ელემენტებთან მათი შეჯერება-შედარებით წარმოგვეჩინა მთლიანი სურათი ამა თუ იმ კუთხეში მცხოვრები მრავალეროვანი მოსახლეობის ურთიერთობისა, მათი ეთნოკულტურული თუ ეთნოფსიქოლოგიური გარემო, სხვადასხვა რელიგიური კონფესიების არსებობა, სხვადასხვა ერის შვილების მიერ ლოკალურ გარემოში მათი ეროვნებისათვის დამახასიათებელი ტრადიციულ-ყოფითი კულტურის შენარჩუნება, ზოგ შემთხვევაში ახალი ინოვაციური ეთნიკური ელემენტების შექმნა და ჩამოყალიბება და ხშირად ადგილობრივ ბინადართა ტრადიციული სამეურნეო საქმიანობისა თუ წეს-ჩვეულებების გადაღება ან შერწყმა. წლების მანძილზე ამგვარად იქნა შესწავლილი საქართველოს ძირძველი მხარეები: სამცხე-ჯავახეთი, აჭარა, შიდა ქართლი, ქვემო ქართლი; ქალაქები: თბილისი, ბათუმი, რუსთავი.

ამ მხრივ ჩვენი კვლევა-ძიება რომ პერსპექტიულია, ამას მტკიცება არ უნდა. ჩვენი ხალხის ცხოვრების წესი თუ სახელმწიფოს კანონები, ისტორიულად და დღესაც ხომ ტოლერანტულ პრინციპებზეა აგებული... კეთილმეგობრული თანამშრომლობა სწორედაც რომ მიესადაგება დღევანდელი მსოფლიოს დემოკრატიულ იდეას — გლობალურ მსოფლმხედველობას... ე. ი. ჩვენი ცხოვრების მთავარი პრინციპი პრაქტიკულად ამგვარადაა აწყობილი; ვინა ვართ ჩვენ! ვინ არიან ჩვენი მეზობლები! ვინ არიან ჩვენი მეგობრები! გვსურს თუ არა მათთან ცხოვრება. ეს ყველაფერი მყარად, ისტორიულად დადებითადაა შეფასებული. თუნდაც ამიტომ საქართველოში იოლია გლობალურად მსოფლიოს ხალხებთან ურთიერთობების დამყარება და თანაცხოვრებაც. სწორედ ამიტომაც გვაქვს განსაზღვრული ახალი მიმართულებები ჩვენს მომავალ საქმიანობაში. თუ დღემდე აქ ჩასახლებულ ხალხთა და ქართველთა ურთიერთობების ნიმუშებს ვსწავლობდით, უახლოეს მომავალში ჩვენ თანამემამულეთა ცხოვრების წეს-ჩვეულებები უნდა შევისწავლოთ უცხოეთში, უფრო ზუსტად სამი ქვეყნის — აზერბაიჯანის, თურქეთისა და ირანის მაგალითზე. პირველ ორ სახელმწიფოში ჩვენებურები დასაბამიდან თავიანთ მიწა-წყალზე ცხოვრობენ, ხოლო მესამეში ისტორიულ ბედუკუღმართობით ოთხი საუკუნის წინათ არიან გადასახლებულნი, თუ ჩასახლებულნი... ამ ურთულეს კვლევას, ერთი შეხედვით ძალიან მარტივი კითხვები უდევს საფუძვლად — როგორ შეინარჩუნეს ეროვნულობა? როგორი ურთიერთობები აქვთ გვერდით მცხოვრებ ხალხებთან? რა დაკარგეს და რა შეინარჩუნეს უცხო გარემოში? ამ კითხვებზე პასუხის გაცემით წარმოვაჩენთ ტრადიციისა და ინოვაციის შერწყმის სურათს, რომელიც ჩვენი აზრით სამაგალითო იქნება სხვა ხალხებისა თუ ქვეყნებისათვის.

უახლოეს თვეებში თანამშრომლობას ვიწყებთ ბათუმის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტთან, რომელსაც ამჟამად ჩვენი კათედრის გამგე, მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, პროფესორი ვახტანგ შამილაძე ხელმძღვანელობს. მალევე ერთობლივი საქმიანობის აღდგენას ვაპირებთ ჩვენს მეგობარ ცხინვალელ და სოხუმელ მეცნიერებთან. ჩვენი თანამშრომლობა უახლოეს წლებში აუცილებლად განხორციელდება აზერბაიჯანის, ირანის, თურქეთის სამეცნიერო წრეებთან, რა თქმა უნდა სომეხ კოლეგებთან და, რაც მთავარია, დღეისათვის ჩვენს ქვეყანაში მცხოვრებ იმ არაქართველ მეცნიერებთან, რომლებიც, ბუნებრივია, დაინტერესებული არიან ეროვნებათაშორისი ურთიერთობებით. მიგვაჩნია, რომ სწორედ ასეთი თანამშრომლობა, სწორედ ასეთი მიმართულებები მეცნიერებაში საბოლოო ჯამში ხელს შეუწყობს ეროვნულობის წარმოჩენას და მსოფლიო გლობალურ სივრცეში ჩვენს მომავალ არსებობას!

იმედს გამოვთქვამ, რომ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ახალი ხელმძღვანელობა, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს კეთილგანწყობით გააფართოებენ ჩვენს პროექტს და ეთნოლოგებთან ერთად, სხვა ჰუმანიტარული მეცნიერების წარმომადგენლების ჩართვით, უნივერსიტეტი ახალ სამეცნიერო სასწავლო ცენტრს დააფუძნებს.

დაბოლოს, დღეს, ამ რთულ პრობლემას მხოლოდ კონკრეტული ლაბორატორიის მაგალითზე განვიხილავ. უახლოეს ხანში მკითხველს მივაწვდით ვრცელ წერილს, ზოგადად გლობალიზაციაში ეროვნული ინტერესების წარმოსაჩენად.

**ოთარ მიმინოშვილი.**
**ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეთნოლოგიის კათედრის პროფესორი, ეთნიკური კულტურისა და ეროვნული ტრადიციების შემსწავლელი ლაბორატორიის გამგე.**

ინფორმაცია

## არდია გოროზიამ შეცვალა

**კახა არდიას გადადგომის შემდეგ, სამეგრელო-ზემო სვანეთის მხარეში საქართველოს პრეზიდენტის რწმუნებულად თბილისის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი ზაზა გოროზია დაინიშნა. როგორც „ინტერპრესნიუსს“ გოროზიამ განუცხადა, შესაბამის ბრძანებულებას პრეზიდენტმა ხელი უკვე მოაწერა.**

**ზაზა გოროზია წარმოშობით მარტვილის რაიონიდანაა და როგორც თავად აცხადებს, მისთვის ეს რეგიონი უცხო არ არის, თუმცა მიაჩნია, რომ ამხელა რეგიონის გუბერნატორობა საპასუხისმგებლო საქმეა.**

## თბილისს გაზმომარაგების განახევრება არ ემუქრება

**ამის შესახებ „თბილგაზის“ მმართველი კომპანია „ახალი მენეჯმენტის“ დირექტორმა ნოდარ გობიანიძემ განაცხადა. მისი თქმით, დედაქა-**



**ლაქის მერია და კომპანიის ხელმძღვანელობა ყველაფერს აკეთებს იმისათვის, რომ მიმდინარე დავალიანება 2,68 მილიონ დოლარი პრობლემად არ იქცეს და იგი დაიფაროს.**

**რაც შეეხება ძველ დავალიანებას - 5,7 მილიონ დოლარს, როგორც გობიანიძემ განაცხადა, „გაზექსპორტთან“ მიღწეულია შეთანხმება ვალის რესტრუქტურიზაციის თაობაზე.**

ინტერპრესნიუსი

## უფასო იურიდიული დახმარება ბევრს სჭირდება

**საქართველოს იუსტიციის მინისტრის მოადგილე ეკა ტყეშელაშვილი ერთკვირიანი სამუშაო ვიზიტით ჰოლანდიის დედაქალაქ ამსტერდამში გაემგზავრა, საიდანაც შოტლანდიაში, ედინბურგში გადაინაცვლებს.**

**ვიზიტის მიზანია ჰოლანდიისა და შოტლანდიის იურიდიული დახმარების მოდელების გაცნობა.**

**საქართველოში უფასო იურიდიული დახმარების სისტემის რეფორმა მიმდინარეობს. იუსტიციის სამინისტროში შექმნილია საზოგადოებრივი ადვოკატის სამსახური, რომელსაც თბილისსა და ზესტაფონში ორი ბიურო აქვს გახსნილი. ამ საცდელი პროექტის განხორციელებაში იუსტიციის სამინისტროს ფონდი „ღია საზოგადოება - საქართველო“, „აირის - საქართველო“ და საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია ეხმარებიან.**

## პირიქით — ეგენი ამლაშებენ...

**„სამხრეთ ოსეთსა და აფხაზეთის კონფლიქტების მოგვარებაში რუსეთი მნიშვნელოვან როლს ასრულებს“, — აცხადებს სეპარატისტული ცხინვალის საგარეო საქმეთა მინისტრი მურატ ჯიოევი.**

**ეს, მისი თქმით, ქართულმა მხარემ უნდა შეიგნოს, თუკი კონფლიქტის მშვიდობიანი მოგვარება სურს.**

**„როცა ასეთი პოზიცია ყოველთვის მისაღები იქნება და რუსეთთან თანამშრომლობა მჭიდრო გახდება, ეს კავკასიაში მცხოვრებ ყველა ერზე დადებითად აისახება“, — აცხადებს ჯიოევი.**

## მშენებლები „ბი-პის“ ხელფასს სთხოვენ

**ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის მშენებლობაში მონაწილე კომპანიების წარმომადგენლებმა გუშინ „ბი-პის“ ოფისის წინ საპროტესტო აქცია გამართეს. კომპანია „გეოტეკი“**



**და ოცდაათამდე სამშენებლო კომპანია „ბრიტიშ პეტროლიუმისგან“ 7 თვის კუთვნილ ხელფას ითხოვენ.**

**ეს კომპანიები „ბი-პიმ“ ერთი წლის წინათ დაიქირავა, თუმცა როგორც „გეოტეკის“ გენერალური დირექტორი ვლადიმერ გურგენიძე აცხადებს, კონტრაქტის პირობები დაირღვა და მშენებლებს 7 თვის ხელფასი, რომელიც 6. 700 ათასი დოლარს შეადგენს, არ მიუღიათ. გეოტეკის წარმომადგენლები „ბი-პის“ ადმინისტრაციასთან შეხვედრას ითხოვენ, თუმცა აქციის მონაწილეებს ჯერაც არავინ გამოხმაურებია.**

## თბილისში ჰოლანდიურ ავტობუსებს ჩამოიყვანენ

**თბილისის ტრანსპორტის საქალაქო სამსახურის უფროსი ზურაბ ჩიკვილაძე ჰოლანდიის ქალაქ ჰააგაში მიემგზავრება. ვიზიტის მიზანია თბილისში ჰოლანდიური სამგზავრო ავტობუსების ჩამოყვანის საკითხის განხილვა.**

**როგორც ჩიკვილაძემ „მედიანიუსს“ განუცხადა, 40 ავტობუსი ჰოლანდიიდან თბილისში ერთი კვირის წინათ ჩამოვიდა. ამ ვიზიტისას კი თბილისში კიდევ 50 ავტობუსის ჩამოყვანის საკითხი განიხილება.**

მედიანიუსი

ფინანსური პოლიცია

# უნებართვო სასმელი, მორყეული საძირკველი და სხვა

### ავტომანქანა ქირით, ოღონდ... სამუდამოდ

ცხადია, არა დალხენილი ცხოვრების გამოა, რომ მრავალი ჩვენი თანამემამულე საკუთარი მოძრავ-უძრავი ქონების გაყიდვა-გაგირავება-გაქირავებით ირჩენს თავს, თუმცა ამ გზაზე ხშირად ათასი ჯურის არაკეთილსინდისიერ კაცს გადააწყდება ხოლმე.

ზ. მეგრელიშვილმა თავისი კუთვნილი ავტომანქანის „ვაზ-2103“-ის გაყიდვა ან გაქირავება გადაწყვიტა, რისთვისაც ცენტრალური ვაგზლის ტერიტორიაზე მდებარე საინფორმაციო ბიუროს მეშვეობით განცხადება გააკეთა. რამდენიმე დღეში მას ვინმე გოგიტა მამალაძე დაუკავშირდა, რომელსაც ავტომანქანის ქირაობა თვეში 150 ლარად უნდოდა. სათანადო ხელშეკრულების ნოტარიალურად გაფორმება იმ დღეს ვერ მოხერხდა, ზ. მეგრელიშვილი მომავალ „პარტნიორს“ ენდო, მამალაძეს მანქანა გაატანა და... ეს იყო და ეს — შემდეგ გ. მამალაძე, არა თუ ზ. მეგრელიშვილს, არამედ (მათივე განცხადებით) არც მის ჩოხატაურის რაიონის სოფელ ჩაისუბანში მცხოვრებ მის ნათესავებსაც იგი აღარ უნახავთ. გ. მამალაძის მიმართ ფინანსური პოლიციის ოპერატიული დეპარტამენტის თბილისის სამმართველომ სისხლის სამართლის საქმე აღძრა.



### არაკეთილსინდისიერი „იეზი“

დუშეთის საგადასახადო ინსპექციაში რეგისტრირებული ფირმა „სამი იას“, რომლის საქმიანობა სარეცხი საშუალებებისა და საკონდიტრო ნაწარმის იმპორტი და რეალიზაცია გახლავთ, გენერალური დირექტორის მუჰამედ ჰანიფი ათბაჯას ოფისიდან ამოიღეს ყოველდღიური აღრიცხვისა და ჩანაწერების ჟურნალები, სავაჭრო ობიექტების ნუსხა, ასევე საზოგადოების შემოსავალ-გასავლის ზედნადებები. იმის გამო, რომ სამართალდამცველებს იმის ეჭვი ჰქონდათ, რომ „სამი იას„ ხელმძღვანელობა გადასახადებს მალავდა, ფირმის ბიუჯეტთან ანგარიშსწორების საკითხი შეამოწმეს, რის შედეგად, დღგ-ში მას დამატებით 35294 ლარის, ფიზიკურ პირთა საშემოსავლო გადასახადში — 41769 ლარის, სოციალური დაზღვევის გადასახადში — 91150 ლარია, მთლიანად კი168 613 ლარის გადახდა დაეკისრა, ყოველივე ამის საფუძველზე შპს „სამი იას„ ხელმძღვანელობის მიმართ ფინანსური პოლიციის ოპერატიული დეპარტამენტის თბილისის სამმართველოში აღიძრა სისხლის სამართლის საქმე.

### ჯერ ნებართვის მიღება იყო საჭირო

„კვების პროდუქტებისა და თამბაქოს წარმოების ლიცენზიისა და ნებართვის გაცემის შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე გაცემული სპეციალური ნებართვის გარეშე აწარმოებდა ალკოჰოლიან სასმელებს შპს „კოდორი„ რომლის დირექტორია ლევი ჯანაშია. მოგეხსენებათ, ასეთი პროდუქციის რეალიზება დიდად შემოსავლიანი საქმეა. აღნიშნული კანონის თანახმად საზოგადოებას უნდა ჰქონოდა არა ლიცენზია, არამედ კონკრეტული სახეობის ალკოჰოლიანი სასმელის წარმოებაზე გაცემული ნებართვა, რაც შპს „კოდორს„ არ ჰქონდა.

ამასთან, საზოგადოების დირექტორმა აღიარა, რომ ისინი სპირტიან სასმელებს უნებართვოდ ასხამდნენ, თუმცა სათანადო განაცხადი მის მისაღებად სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტროს ვაზისა და ღვინის დეპარტამენტ „სამტრესტში„ უკვე შეტანილი ჰქონდათ.

მიუხედავად ამისა, ფინანსურმა პოლიციამ მაინც აღძრა სისხლის სამართლის საქმე შპს „კოდორის“ ხელმძღვანელობის მიმართ.

### მორყეული „საძირკველი“

ვაკე-საბურთალოს საგადასახადო ინსპექციიდან მიხეილ ფოცხვერაშვილის სახელზე გაცემული მინდობილობის საფუძველზე გაიცა რამდენიმე წყვილი საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურა და საგადასახადო ზედნადები. ეს 2001 წლის 8 იანვარს მოხდა.

ოპერატიული დეპარტამენტის თბილისის სამმართველოს მიერ ჩატარებული მოკვლევით დადგინდა, რომ შპს „საძირკვლის“ დირექტორი ს. ფოცხვერაშვილი... 2001 წლის 5 იანვარს გარდაიცვალა. მისი ვაჟიშვილის შ. ფოცხვერაშვილის განმარტებით, მამამისი ბოლო წლებში ძირითადად სარემონტო სამუშაოებზე მუშაობდა და რაიმე კომერციულ საქმიანობას არ ეწეოდა. საზოგადოების საქმიანობასთან რაიმე კავშირი არც მის მეორე ვაჟიშვილს, მ. ფოცხვერაშვილს ჰქონია.

მოკვლევის პროცესში ასევე დადგინდა, რომ შპს „საძირკველის“ სახელით საგადასახადო ინსპექციიდან გამოტანილი ანგარიშ-ფაქტურებით ორმა ფირმამ, კერძოდ, შპს „პროგრესმა“ 2002 წლის თებერვალში და შპს „ტრესტი № 13 და კომპანიამ“ აღნიშნული საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურებით შეისყიდეს, შესაბამისად, 58666 ლარისა და 362965 ლარის სხვადასხვა დასახელების სამშენებლო მასალები. შპს „პროგრესის„ დირექტორის გ. პირველაშვილის განმარტებით გაირკვა, რომ სამშენებლო მასალები მან ბაზრობაზე შეიძინა და ვინაიდან ამისთვის სათანადო ანგარიშ-ფაქტურები სჭირდებოდა, ისინი მანამდე მისთვის უცნობი ქალისა და მამაკაცისგან შეიძინა, რომლებმაც ანგრიშ-ფაქტურები შპს „საძირკვლის“ სახელით გამოუწერეს. შპს „ტრესტი № 13 და კომპანიის“ დირექტორის ო. მხეიძის განმარტებით კი, სამშენებლო მასალები მათ ფირმაში ნაწილ—ნაწილ, ორი თვის განმავლობაში, ვინმე გია ზარნაძემ მიუტანა, რომელსაც, ერთად მუშაობის პერიოდში, გარკვეული ნომრის მობილურ ტელეფონზე უკავშირდებოდა. სხვა მონაცემები კი ამ პიროვნების, ისევე, როგორც შპს „საძირკვლის“ შესახებ, მას არ გააჩნია.

ასევე დადგინდა, რომ 2002 წლის მარტში შპს „საძირკვლის„ სახელით, ვაკე-საბურთალოს საგადასახადო ინსპექციაში 2002 წლის დღგ—ს თებერვლის დეკლარაცია ვინმე მაია უზნაძემ, ხოლო იმავე წლის ივნისში 2002 წლის მაისის დეკლარაცია იმავე საგადასახადო ინსპექციაში გია ზარნაძემ წარადგინა. გაირკვა ისიც, რომ მაია უზნაძე 2002 წლის 15 აგვისტოს გარდაიცვალა, ხოლო გ. ზარნაძის პიროვნების დადგენა ვერ მოხერხდა, ვინაიდან სახელისა და გვარის გარდა მის შესახებ სხვა მონაცემი ცნობილი არ არის, ხოლო მობილური ტელეფონის ნომერი დაახლოებით ორი წელია სხვა პიროვნებას ეკუთვნის, რომელიც მას არ იცნობს.

შპს „საძირკვლის„ იურიდიულ საქმეში მ. უზნაძე და გ. ზარნაძე ამ ფირმის თანამშრომლებად არ ირიცხებიან, თანაც დადგინდა ისიც, რომ შპს „საძირკველი“ რეგისტრაციაში მითითებულ მისამართზე არ მდებარეობს, ვინაიდან იქ რამდენიმე წელია საცხოვრებელი სახლის მშენებლობა მიმდინარეობს...

ფინანსური პოლიციის საინფორმაციო—ანალიტიკური დეპარტამენტის წერილის დანართის მიხედვით, შპს „საძირკველს“ ბიუჯეტის სასარგებლოდ დარიცხული აქვს დღგ-ს გადასახადი 72227 ლარის ოდენობით, რაც წარმოშობილია აღნიშნული უსაქონლო ოპერაციების შედეგად.

იმის გამო, რომ გადასახადისგან თავის არიდების მიზნით საგადასახადო დოკუმენტები გაყალბებული იყო. ოპერატიული დეპარტამენტის თბილისის სამმართველოში აღიძრა სისხლის სამართლის საქმე.

**ოთარ ტურაბელიძე.**

რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

# საქართველოში სახელმწიფო ავტოინსპექციის ლიკვიდაციამ პოლიციისადმი ნდობა გაზარდა

**მიმდინარე წლის აგვისტოში საქართველოს საპატრულო პოლიციას ერთი წელი შეუსრულდება. 2004 წლის ზაფხულში, როცა დადგა საკურორტო სეზონის პიკ-პერიოდი, ქვეყნის ტრასებიდან მოულოდნელად გაუჩინარდა ათასობით ავტოინსპექტორი. რამდენიმე კვირის განმავლობაში საგზაო მოძრაობას საერთოდ არავინ არ აკონტროლებდა. ასეთმა ნდობამ დადებითი გავლენა მოახდინა ქართველ ავტომოჯირითეებზე, რომლებიც ახლა ნაკლებად არღვევენ მოძრაობის წესებს. ამას განაპირობებს ასევე ისიც, რომ პატრული, რომელიც ავტოინსპექციის ნაცვლად მოვიდა, ქრთამს არ იღებს.**

როგორც ამბობენ, პატრულს აქვს ღირსების შინაგანი კოდექსი. თუ რომელიმე მათგანი შეიტყობს, რომ მათი კოლეგა დახარბდა წესების დამრღვევის მიერ შეთავაზებულ რამდენიმე ლარს, ისინი თვითონვე ახდენენ ზემოქმედებას მორალურად არამდგრად თანამშრომელზე, აიძულებენ მას სამსახურიდან წასვლას. პატრულს სურს, რომ მისი სინდისი სუფთა იყოს.

პატრული უფრთხილდება თავის სამუშაო ადგილს. მისი მინიმალური ხელფასი 450 ლარია. თბილისის საპატრულო პოლიციის უფროსმა გიორგი გრიგალაშვილმა ჩვენთან საუბრისას აღნიშნა, რომ ქალაქში ხაზზე იმყოფება 83 ეკიპაჟი. საპატრულო ქვეგანაყოფები მოქმედებენ ქვეყნის სხვა დიდ დასახლებულ პუნქტებში და მთავარ მაგისტრალებზე. აღმოსავლეთ საქართველოში პრეზიდენტის რწმუნებულმა პეტრე ცისკარიშვილმა კი გვითხრა, რომ პატრული უკვე პანკისის ხეობასაც აკონტროლებს. საპატრულო პოლიციის მუშაობის შესახებ ტელემაყურებლებს ყოველდღიურად მოუთხრობს „რუსთავი-2“ ტელეარხი, რომელიც ამას სპეციალურ გადაცემას უძღვნის.

საგზაო პატრული არაფრით აღარ წააგავს სახელმწიფო ავტოინსპექტორს. ეს არის ამერიკული ტიპის უნივერსალი გერმანული „ფოლკსვაგენით“. პატრულს უნდა შეეძლოს ყველაფერი: მძარცველის გამოვლენით დაწყებული და მშობიარე ქალზე ზრუნვით დასრულებული. მაგალითად, შავიზღვისპირა კურორტ ურეკში პატრულმა წყალში დახრჩობას გადაარჩინა ადამიანები. საქართველოში მოქალაქეები თითქმის ნებისმიერი პრობლემის თაობაზე მიმართავენ პატრულს დასახმარებლად. ამისთვის საჭიროა დარეკონ ტელეფონით „022“. ხდება, როცა პატრულსაც უჩივიან ხოლმე, მაგრამ ძალზე იშვიათად. მაგალითად, მაშინ, თუ ეკიპაჟმა რამდენიმე წუთით დაიგვიანა შემთხვევის ადგილზე. ყველა ასეთ საჩივარს აუცილებლად ამოწმებს ხელმძღვანელობა, გვითხრეს საპატრულო სამსახურში.

**მიხეილ ვიგნანსკი,**
**„ვრემია ნოვოსტეი“, 19 ივლისი.**




# უკრაინის პრეზიდენტმა ლაითხოვა კორუმპირებული ავტოინსპექცია

**უკრაინის პრეზიდენტმა ვიქტორ იუშჩენკომ გადაწყვიტა გააუქმოს სახელმწიფო ავტოინსპექცია, რათა აღკვეთოს მექრთამეობა გზებზე. როგორც უკრაინის შინაგან საქმეთა მინისტრმა გვითხრა, ქვეყანაში გამოჩნდება „ევროპული ნიმუშის ახალი ქვეგანაყოფი“.**

უკრაინის ავტოინსპექციაში მუშაობს 23 ათასი კაცი. რეფორმის შემდეგ თანამშრომელთა ნაწილს გადაიყვანენ შინაგან საქმეთა სამინისტროს სხვა ქვეგანაყოფებში, დანარჩენები კი განაგრძობენ მუშაობას ახალ ორგანოში. უკრაინის შინაგან საქმეთა მინისტრმა იური ლუცენკომ აღიარა, რომ შესაბამისი ბრძანებულების პროექტის მომზადება ერთ დღეში ვერ მოხერხდება, როგორც ამას ვიქტორ იუშჩენკო მოითხოვდა, მაგრამ რადიკალურ წინადადებებს ერთი კვირის განმავლობაში აუცილებლად შეიმუშავებენ. ლუცენკოს თქმით, პრეზიდენტის ასეთი გადაწყვეტილება მისთვის მოულოდნელი არ ყოფილა, რადგან ქვეყნის მოქალაქეები თითქმის ყოველდღიურად აკრიტიკებდნენ სახელმწიფო ავტოინსპექციის თანამშრომლების მუშაობას. გარდა ამისა, იუშჩენკომ ასევე მოითხოვა, რომ ქვეყანაში გააუქმონ ავტომობილის ყველა სპეციალური ნომერი.

„ინტერფაქსის“ სააგენტოსთვის მიცემულ ინტერვიუში რუსეთის შინაგან საქმეთა სამინისტროს ერთ-ერთმა ხელმძღვანელმა თანამშრომელმა, რომელმაც არ ისურვა ვინაობის გამხელა, უკრაინის ლიდერის ასეთ გადაწყვეტილებას უწოდა „პოპულისტური და რეალიებისგან ძალზე შორს მდგომი“. ამ წყაროს აზრით, უკრაინის ხელმძღვანელობას კარგად არა აქვს შეგნებული, თუ რაოდენ დიდი მნიშვნელობა ენიჭება ავტოინსპექციის მუშაობას. „სახელმწიფო ავტოინსპექციის თანამშრომლების მიერ ქრთამების აღების შესახებ მოყოლილი ამბები, ხშირად ძალზე გაზვიადებულია. თუ ამ ლოგიკით ვიმსჯელებთ, მაშინ რატომ არ დახურავენ უმაღლეს სასწავლებლებსაც, რომლებშიც მოხვედრისთვისაც, აბიტურიენტების მშობლებს ხშირად საკმაოდ სოლიდური ქრთამების დარიგება უწევთ?“, – იკითხა წყარომ.

2004 წელს სახელმწიფო ავტოინსპექცია გააუქმეს საქართველოში. მის ნაცვლად გამოჩნდა საგზაო პატრული, რომელიც ახლა საქართველოს ხელისუფლების განსაკუთრებული სიამაყის საგანია. რეფორმების განხორციელებამდე თბილისის ავტოინსპექციაში მუშაობდა დაახლოებით 5 ათასი პოლიციელი, შემცირებების შემდეგ კი საგზაო პოლიციაში მხოლოდ 1500 კაცი დარჩა. „პოლიციის პატრულს ხელფასი ახლა ხუთჯერ უფრო მეტი აქვს, ვიდრე ავტოინსპექტორს ჰქონდა – 450 ლარი და მეტი, – განაცხადა მაშინ თბილისის საპატრულო პოლიციის სამმართველოს უფროსმა გიორგი გრიგალაშვილმა.

**„ბი-ბი-სის“ რუსული სამსახური**
**(დიდი ბრიტანეთი). 19 ივლისი.**

# ისრაელში დაიწყო საპროტესტო აქცია



**ნეტივოტში მიტინგით ათასობით ორთოდოქსმა ებრაელმა დაიწყო საპროტესტო აქცია ქვეყნის სამხრეთ ნაწილში. ეს ადამიანები ილაშქრებენ ღაზის სექტორიდან წასვლის წინააღმდეგ. შემთხვევის ადგილზე უკვე გადაიყვანეს ისრაელის უშიშროების ძალების 20 ათასი თანამშრომელი.**

ისრაელის პოლიცია აცხადებს, რომ უკანონოა სამდღიანი მიტინგებისა და მარშის გამართვა, და არ აპირებს, მარშის მონაწილეებს დართოს ღაზის სექტორში შესვლის ნება.

ებრაელ მოსახლეთა ორგანიზაციის წარმომადგენელთა თქმით, პოლიციელები არ ატარებდნენ საპროტესტო აქციაში მონაწილეობის მსურველთა ავტობუსებს ისრაელის სამხრეთ ნაწილში, ქალაქ ნეტივოტში, მარშის დაწყების ადგილისკენ.

პირველი ეტაპისთვის, როგორც ჩანდა, პოლიციელები მზად იყვნენ დაკმაყოფილებულიყვნენ მხოლოდ იმით, რომ არ დაეშვათ საპროტესტო აქციის მონაწილეთა შეღწევა ღაზის სექტორში, მაგრამ მოგვიანებით გადაწყდა, რომ წესრიგის დამცველები არ დაუშვებდნენ არანაირი აქციის გამართვას.

ისრაელის ვიცე-პრემიერს ეჰუდ ოლმერტს მიაჩნია, რომ გადაწყვეტილება საპროტესტო აქციის გამართვის აკრძალვის შესახებ სამართლიანია, რადგან მისი თქმით, ღაზის სექტორიდან ისრაელის ძალების გასვლის გეგმა მოიწონა ამ ქვეყნის პარლამენტმა. ოლმერტს მიაჩნია, რომ დემონსტრანტები ცდილობენ, ხელი შეუშალონ ისრაელის ხელისუფლების გადაწყვეტილების განხორციელებას, რომელსაც კანონის ძალა აქვს.

საპროტესტო აქცია დაიწყო ორშაბათს ნეტივოტში გამართული მიტინგით, ხოლო იგი უნდა დასრულდეს ოთხშაბათს ღაზის სექტორის ერთ-ერთ დასახლებაში მარშით. აქციის მონაწილეებს ღაზის სექტორში უნდა შეეღწიათ ქისუფიმის ბლოკ-საგუშაგოდან.

ისრაელის ხელისუფლება შიშობს, რომ ღაზის სექტორში მცხოვრებ 8500 ებრაელ მოსახლეს სხვებიც შეუერთდებიან, რაც მნიშვნელოვნად გაართულებს ამ სექტორიდან ისრაელის წასვლას. გარდა ამისა, არსებობს იმის საშიშროებაც, რომ დემონსტრაციის მონაწილეებს შესაძლოა ცეცხლი დაუშინონ პალესტინელმა ექსტრემისტებმა.

ისრაელის ხელისუფლების მიერ მიღებული გეგმის შესაბამისად, ამ ქვეყნის ჯარებმა და ებრაელმა მოსახლეებმა მთლიანად უნდა დატოვონ ღაზის სექტორი და მდინარე იორდანის დასავლეთ ნაპირზე მდებარე ოთხი დასახლება. ჯარების გამოყვანის ოპერაციის დაწყება 17 აგვისტოსთვის არის დაგეგმილი.

# ბრიტანელმა იმამებმა დაგმეს ძალადობა

**ბრიტანეთში მცხოვრებმა 500-ზე მეტმა რელიგიურმა ისლამისტმა ლიდერმა და ამ ქვეყნის მუსლიმანმა სასულიერო პირებმა ლონდონში მომხდარი ტრაგიკული მოვლენების შემდეგ გამოსცეს ეგრეთ წოდებული ფატვა.**

ამ რელიგიურ ედიქტში ისინი სამძიმარს გამოუთქვამენ დაღუპულთა ოჯახებს და რაც შეიძლება სწრაფად გამოჯანმრთელებას უსურვებენ დაჭრილებს.

ფატვაში ხაზგასმულია, რომ ისლამი გმობს ძალადობას და უდანაშაულო ადამიანების ხოცვას. ამფეთქებელი კამიკაძეების მოქმედება „კატეგორიულად აკრძალულია“.

ოფიციალური დოკუმენტი გამოსცა პარლამენტთან არსებულმა ბრიტანელ მუსლიმანთა ფორუმმა.

ფორუმის გენერალურმა მდივანმა გიულ მოჰამედმა მოიყვანა ყურანის ის ნაწილი, რომელშიც აღნიშნულია, რომ თუნდაც ერთი ადამიანის მოკვლა ისეთივე დანაშაულია, როგორც – მთელი კაცობრიობისა.



ბრიტანელ მუსლიმანთა ფორუმი აერთიანებს დაახლოებით 300 მეჩეთს. იგი დაფუძნდა მიმდინარე წლის მარტში.

22 ივლისს ფატვას წაიკითხავენ მთელი ქვეყნის მეჩეთებში.

ამავე დროს, ბრიტანეთის სამმა ძირითადმა პოლიტიკურმა პარტიამ მიაღწია თანხმობას ახალი ანტიტერორისტული ღონისძიების მიღების დაჩქარების შესახებ. კანონპროექტი, რომელიც ითვალისწინებს სასჯელს ტერორისტული აქტების მომზადების, ტერორისტების გაწვრთნისა და ასეთი საქციელისთვის წაქეზების გამო, ოქტომბერში უნდა წარადგინონ პარლამენტის ორივე პალატის განსახილველად.

მონარქია

# მონაკოშიც ჰქონიათ პრობლემები

## როგორ მიიწვია თამადად ალბერტ II ქართველი ჟურნალისტი

**პატარა ალექსანდრე თავის დედასთან – ნიკოლ კოსტესთან ერთად ცხოვრობს პარიზის ჩვეულებრივ ოროთახიან ბინაში. არადა, სულ ცოტა ხნის წინათ ამ მულატი ბიჭუნას ბედი სრულიად შეიცვალა. მისი დედა ნახევრად ფრანგია და ნახევრად აფრიკელი – ტოგოდან. ალექსანდრეს მილიარდერად გახდომის ისტორია იწყება ჯერ კიდევ 1997 წლიდან „ერ ფრანსის“ ლაინერში. პირველი კლასით მოგზაურობდა მონაკოს ტახტის მემკვიდრე ალბერტი, რომელსაც თვალში მოუვიდა სასიამოვნო გარეგნობის სტიუარდესა ნიკოლი. ალბერტმა სტიუარდესას ბინის ტელეფონის ნომერი გამოართვა. რომანი გრძელდებოდა მანამ, სანამ საქმეში არ ჩაერია ალბერტის მამა – აწ განსვენებული რენიე III. მაგრამ ორი წლის წინათ პრინცმა დაარღვია მამისეული ტაბუ და ჩაფრინდა პარიზში ნიკოლის დაბადების დღეზე, რომელიც ალექსანდრეს ჩასახვის დღედაც იქცა.**

აპრილში გარდაიცვალა მონაკოს მთავარი რენიე III. მომდევნო თვეს კი გავრცელდა სენსაციური ახალი ამბავი: „პარი-მატჩმა“ გამოაქვეყნა ალბერტის ფოტოსურათი, რომელშიც მას ხელში ჰყავს აყვანილი პატარა ალექსანდრე, აგრეთვე, ინტერვიუ ნიკოლთან. ეს უკანასკნელი ამტკიცებდა, რომ გაამხილა, ვინ იყო მისი ბავშვის მამა, რადგან ალბერტმა დაარღვია პირობა და რენიე III გარდაცვალების შემდეგ ოფიციალურად არ დაუმოწმებია, რომ ალექსანდრე მისი შვილი იყო. ერთი სიტყვით, აგორდა სკანდალი. ალბერტმა ადვოკატების მეშვეობით გააკეთა განცხადება, რომელშიც ხაზგასმული იყო: „მისი უდიდებულესობა მონაკოს მთავარი ალბერტ II ძალზე შეაძრწუნა „პატი-მატჩში“ დაბეჭდილმა ფოტოსურათებმა, რომლებზეც იგი ალექსანდრესთან ერთადაა გამოსახული“. როგორც განცხადებაში იყო ხაზგასმული, ალბერტის განსაკუთრებული



აღშფოთება გამოიწვია იმან, რომ მისი პირადი ცხოვრების საიდუმლოებებს ფარდა აეხადა რენიე III გარდაცვალებისთანავე.

მაგრამ 6 ივლისს ალბერტმა, რომელიც უკვე მონაკოს მთავარი გახდა, დაამტკიცა, რომ იგი ნამდვილი კაციც ყოფილა. მან გამოაქვეყნა კიდევ ერთი განცხადება, რომელშიც ოფიციალურად აღიარა, რომ ალექსანდრეს კანონიერი მამა იყო. განცხადებაში ალბერტ მეორე აღნიშნავდა, რომ მთელი ეს „სიტუაცია“ არანაირ გავლენას არ მოახდენს „ტახტის მემკვიდრეობით გადაცემის მომავალზე“. 2002 წლის აპრილში მონაკოს კონსტიტუციაში შეიტანეს შესწორება, რომელიც ტახტის მემკვიდრეობით გადაცემას კრძალავს იმ ბავშვებისთვის, რომელთა მშობლები არ იყვნენ კანონიერად დაქორწინებულები. თავის განცხადებაში ალბერტ II შეეცადა განემარტა, თუ რატომ დააყოვნა ელიარებინა ალექსანდრეს მამობა. როგორც იგი აღნიშნავდა, ამას გააკეთებდა რენიე III გარდაცვალების გამო მონაკოში სამთვიანი გლოვის დასრულების შემდეგ, მაგრამ მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში გამოქვეყნებულმა პუბლიკაციებმა აურიეს ეს გრაფიკი. ალბერტ II მიერ გადადგმული ნაბიჯი ალექსანდრეს, ალბათ, ვერ მიიყვანს მონაკოს ტახტამდე, მაგრამ იგი გრიმალდების საგვარეულო სიმდიდრის ნაწილს ნამდვილად დაეპატრონება. მონაკოს კანონებით, უკანონოდ შობილ ბავშვებს უფლება აქვთ მიიღონ მემკვიდრეობის ისეთივე წილი, როგორც კანონიერი ქორწინების შედეგად დაბადებულებს. მშობლებს კი არა აქვთ თავიანთი შვილებისთვის მემკვიდრეობის ჩამორთმევის უფლება. ამრიგად, ალბერტ II გარდაცვალების შემთხვევაში, ალექსანდრე ავტომატურად დაეუფლება მისი სიმდიდრის ნახევარს, ოღონდ იმ შემთხვევაში, თუ ალბერტს სხვა შვილები არ ეყოლება. მონაკოს მთავრის ქონება 2 მილიარდ ამერიკულ დოლარადაა შეფასებული, ასე რომ, ეს პატარა ბიჭუნა აუცილებლად გახდება მილიარდერი. მაგრამ მთავარს თუ შეეძინება კიდევ ერთი შვილი, მაშინ ყოველი ბავშვი მიიღებს მემკვიდრეობის მესამედს, დარჩენილი მესამედი კი ალბერტს შეუძლია მოიხმაროს ისე, როგორც მოესურვება.

ასეთ პირობებში შეიძლება ვიწინასწარმეტყველოთ, რომ ალექსანდრე გახდება არა მარტო მილიარდერი, არამედ მონაკოს მთავარიც. გრიმალდების დინასტია ხშირად ცვლიდა კანონებს მემკვიდრეობის შესახებ. შესაძლებელია ასეთი რამ კიდევ ერთხელ მოხდეს, თუ ეს საჭირო იქნება. არადა, ხომ შეიძლება მონაკოს მთავარი ისე აღესრულოს, რომ არ დატოვოს კანონიერი მემკვიდრე, და მაშინ, ეს ჯუჯა სახელმწიფო, საფრანგეთის ნაწილი გახდება. ალბათ, თვით მონაკოელებისთვისაც უკეთესი იქნება, რომ მათი ტახტი დაიკავოს მულატმა, ვიდრე დაკარგონ დამოუკიდებლობა! და ბოლოს, წმინდა პირადული მომენტი. მიმდინარე წლის დამდეგს, როცა ალბერტი ჯერ კიდევ პრინცი იყო, მას შევხვდი მოსკოვში. რა თქმა უნდა, თავისი სტუმარ-მასპინძლობით ცნობილმა ზურაბ წერეთელმა მიიწვია იგი მოსკოვის ერთ-ერთ ქართულ ქუჩაზე მდებარე სახელოსნოში, სადაც პრინცს უჩვენა არა მარტო თავისი ნამუშევრები, არამედ, ქართული სტუმართმოყვარეობაც. მდიდრულ სუფრაზე თამადად ამ სტრიქონების ავტორი აირჩიეს. როცა წარმოვთქვი რენიე III სადღეგრძელო, პრინცმა ცრემლი ვერ შეიკავა (მისი მამა იმ დროს უკვე სასიკვდილოდ იყო განწირული). გამოთხოვებისას მან სუფრის ყველა წევრი მიიწვია მონაკოში, მე კი დამპირდა, რომ თამადად დამნიშნავდა, როცა გაიმართებოდა მისი ტახტზე ასვლის აღსანიშნავი საზეიმო სუფრა. ალბერტი ახლა უკვე მონაკოს მთავარია. ჰოდა, მეც ვსარგებლობ ხელსაყრელი შემთხვევით და მსურს, ეს შევახსენო მას.

**მელორ სტურუა.**

# ინდოეთი კმაყოფილია შეერთებულ შტატებთან მოლაპარაკების შედეგებით



**ინდოეთი აცხადებს, რომ მიაღწია ნამდვილ წინსვლას ვაშინგტონში გამართული მოლაპარაკების დროს, რომელზეც მხარეებმა განიხილეს მშვიდობიანი მიზნებისთვის ბირთვული ენერგიის გამოყენების პროგრამებთან დაკავშირებული საკითხები.**

ინდოეთის პრემიერ-მინისტრის მანმოჰან სინგჰის და ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის ჯორჯ ბუშის მიერ მიღებულ ერთობლივ განცხადებაში ხაზგასმულია, რომ ამერიკა აპირებს იმუშაოს მშვიდობიანი ატომის სფეროში ინდოეთთან სრული თანამშრომლობის მიღწევის მიმართულებით.

როგორც მიმომხილველებს მიაჩნიათ, ასეთი შეთანხმების მიღწევა მოწმობს, რომ ხდება მნიშვნელოვანი გარდაქმნები შეერთებული შტატების საგარეო პოლიტიკაში (მას შემდეგ, რაც ინდოეთმა 1998 წელს განახორციელა ბირთვული გამოცდა, ვაშინგტონმა დააწესა სანქციები მის წინააღმდეგ, აკრძალა ამ ქვეყანაში ბირთვული ტექნოლოგიების ექსპორტი).

თუმცა, დელის ჯერჯერობით ვერ მოუპოვებია ვაშინგტონის მხარდაჭერა გაეროს უშიშროების საბჭოში ინდოეთისთვის მუდმივი წევრის ადგილის მინიჭების საკითხში.

მანმოჰან სინგჰთან შეხვედრის შემდეგ გამართულ პრესკონფერენციაზე ჯორჯ ბუში არც კი შეხებია ამ თემას.

სინგჰი შეერთებულ შტატებში იმყოფება ოთხდღიან ვიზიტად.

# „ალ-ყაიდა“ კვლავ ემუქრება ევროპას

**საერთაშორისო ტერორისტული ქსელი „ალ-ყაიდა“ ახალი ტერორისტული აქტებით ემუქრება ევროპის იმ ქვეყნებს, რომელთა ჯარებიც ერაყში იმყოფებიან.**

„ალ-ყაიდას“ ევროპაში მოქმედმა უჯრედმა – „აბუ ჰაფს ალ-მასრის ბრიგადების“ დაჯგუფებამ ერთ-ერთ ისლამისტურ ინტერნეტსაიტზე გაავრცელა განცხადება, რომელშიც „ევროპის ქვეყნებს ეძლევათ ერთი თვე“ ერაყიდან ჯარების გამოყვანისთვის.

„ეს არის უკანასკნელი წერილი, რომლითაც მივმართავთ ევროპის სახელმწიფოებს. გაძლევთ ერთ თვეს მესოპოტამიიდან თქვენი ჯარისკაცების გამოსაყვანად“, – ხაზგასმულია მოთარეშეთა განცხადებაში.




# ნიგერში მილიონობით ბავშვი შიმშილობს

**აფრიკის სახელმწიფო ნიგერში 3,5 მილიონზე მეტი ადამიანი შიმშილობის ზღვარზე იმყოფება, დახმარების ცენტრებში კი ყოველდღიურად იღუპებიან ბავშვები.**



ერთ-ერთი ჰუმანიტარული სააგენტოს განცხადებით, თუ ქვეყანაში სასწრაფოდ არ გაიგზავნება სურსათი, ნიგერის ყველაზე გაჭირვებულ რაიონებში შეიძლება დაიხოცოს ბავშვების 10 პროცენტი.

კრიზისი ნიგერის სამხრეთ ნაწილში გამოიწვია გვალვამ და კალიის შემოსევამ, რის შედეგადაც მთლიანად მოისპო გასული წლის მოსავლის უდიდესი ნაწილი.

როგორც გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციის წარმომადგენლები აღნიშავენ, ამჟამად ქვეყნისთვის საჭირო 4 მილიონი დოლარიდან ნიგერმა მიიღო მხოლოდ 650 ათასი – შვედეთისგან.

ნიგერი დიდი ტერიტორიის მიუხედავად, მსოფლიოს ერთ-ერთი ყველაზე ღარიბი სახელმწიფოა. ქვეყნის მოსახლეობის მესამედი შიმშილობს.

ჰუმანიტარულ სააგენტოთა შეფასებით, სიტუაცია კიდევ უფრო გაუარესდება, რადგან მსოფლიო ძალზე დიდი დაგვიანებით ახდენს რეაგირებას ნიგერში მიმდინარე კრიზისზე.

**2005 წლის 9 აგვისტოს სს „თბილისის სასკოლო ინვენტარის ფაბრიკაში“ (მისამართი სპ. კედიას ქ. №15) ჩატარდება სააქციო საზოგადოების საერთო კრება.**

**დღის წესრიგი:**

1. სააქციო საზოგადოების 2004 წლის საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის წლიური შედეგების განხილვა, დამტკიცება.
2. სააუდიტორო ფირმასთან ხელშეკრულების გაფორმება.
3. საზოგადოების დროებით საცხოვრებლად დაკავებული ფართობების საკითხის განხილვა.
4. სააქციო საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭოს ანგარიში და არჩევნები.
5. სხვადასხვა.

**დირექტორი წ/დარგში უ. ბექურაიძე.**

**განცხადება**

**სს „იბერიაბანკის“ კრედიტორებს ვთხოვთ, გამოცხადდნენ თავისუფლების მოადანი 7 ა. ცეკავშირის შენობა, მე-6 სართული, ოთახი 627. 2005 წლის 25 ივლისს 10 საათზე. სს „იბერიაბანკის“ ლიკვიდატორი ვ. ნათენაძე. ტელ. 44-24-13.**

**გაცნობებთ, რომ 2005 წლის 11 აგვისტოს 14 საათზე დანიშნულია სს „ინფექციური პათოლოგიის, შიდსისა და კლინიკური იმუნოლოგიის სამეცნიერო-პრაქტიკული ცენტრის“ (მისამართი: ალ. ყაზბეგის 16) აქციონერთა საერთო კრება შემდეგი დღის წესრიგით:**

1. 2005 წლის ბიზნეს-გეგმის დამტკიცება.
2. 2004 წლის საფინანსო შედეგების განხილვა-დამტკიცება:
   * დირექტორის ანგარიში.
   * სამეთვალყურეო საბჭოს ანგარიში.
3. ცვლილებები სამეთვალყურეო საბჭოს შემადგენლობაში.
4. სს „ინფექციური პათოლოგიის, შიდსისა და კლინიკური იმუნოლოგიის სამეცნიერო-პრაქტიკული ცენტრის“ ბალანსზე რიცხული ფიტოთერაპიული მოწყობილობის (PUVA comi ligh-7000-ის) საზოგადოების ბალანსიდან მოხსნა, შემდგომში საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს მიერ მისი იჯარით გაცემის მიზნით.

ინფორმაცია

## მსოფლიო ბანკი 24 მილიონ ლარს გვაძლევს

არაგვის ხეობაში სტიქიით დაზარალებული წყალსადენების რეაბილიტაციისათვის მსოფლიო ბანკთან 24 მილიონ ლარის გამოყოფის თაობაზე მოლაპარაკება მიმდინარეობს.

„მსოფლიო ბანკი გრანტის სახით გამოყოფს საჭირო თანხას, რომელიც არაგვის ხეობის წყალსადენების აღდგენას მოხმარდება. განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობაშია ჟინვალის კაშხლის მილსადენი, საიდანაც ზედმეტი წყალი გადმოედინება. გამოყოფილი თანხა მთლიანად არაგვის ხეობაში გადაუდებელ სამუშაოებს მოხმარდება“, — განუცხადა „მედიანიუსს“ თბილისის პრემიერმა თემურ ქურხულმა.

## რუსი „მშვიდობისმყოფელები“ ზღვაში დაიხრჩნენ

ოჩამჩირის რაიონში ორი რუსი „მშვიდობისმყოფელი“ ზღვაში დაიხრჩო. დსთ-ს შერეული სამშვიდობო ძალების გაერთიანებულ შტაბში აცხადებენ, რომ სამხედროები უბედურმა შემთხვევამ იმსხვერპლა. მათი ცხედრები, ჯერჯერობით ნაპოვნი არ არის.

შერეული სამშვიდობო ძალების სამხედრო პროკურატურა მომხდარის გარემოებებს იკვლევს. რუსი „მშვიდობისმყოფელების“ დაღუპვასთან დაკავშირებით აღძრულია სისხლის სამართლის საქმე.

მედია-ნიუსი

## გორში სუპერმარკეტი „ევროპა“ დალუქეს

გორში ორი კვირის წინათ დალუქულ სუპერმარკეტ „ევროპასთან“, რომელიც პარლამენტარ ვალერი გელაშვილის ძმის საკუთრებაა, გუშინ ხალხი შეიკრიბა. სუპერმარკეტის თანამშრომლები და ვალერი გელაშვილის ოჯახის წევრები აპროტესტებენ ფინანსური პოლიციის იმ გადაწყვეტილებას, რომლის საფუძველზეც სუპერმარკეტი დაილუქა.

შეკრებილები ფინანსური პოლიციის და საგადასახადო სამსახურისგან რევიზიის დასკვნას და სუპერმარკეტის გახსნას ითხოვენ, თუმცა შიდა ქართლის პოლიციის უფროსი ზურაბ არსოშვილი ამ მოთხოვნას უსაფუძვლოს უწოდებს და აცხადებს, რომ „ევროპა“ აღმოჩენილი დარღვევების საფუძველზე სრულიად კანონიერად დაილუქა.

სუპერმარკეტის მეპატრონეები აცხადებენ, რომ 60 თანამშრომელი უმუშევარი დარჩა. გარდა ამისა, მთლიანად განადგურდა მალფუჭადი პროდუქტი, რომელიც „ევროპაში“ ინახებოდა და ისინი ზარალის ანაზღაურებას ითხოვენ.

ინტერპრესნიუსი



ფესვები

# როგორ შეასრულა ბებიის დანაბარები მერაბ გაბუნიამ



**ერთ დღეს პელაგია რევიამ თავისი შვილიშვილი მიიხმო და უთხრა: ნანა, ეს სახლი და კარმიდამო მე და ბაბუაშენმა პატიოსანი შრომით შევქმენით. ცხონებული აღარაა ცოცხალი, მეც არ გამოვეკერები ცას. შენ, ჩემო თოლიგე, ერთადერთი ბიჭი ხარ ჩვენ ნაგრამში, ამიტომ გიბარებ: არ გააცივო კერია. არ აალალახო აქაურობა. საფლავში გადავბრუნდები, იცოდე. ბებია ბიჭს სამჯერ ეამბორა გულის ფიცარზე, თვალები ამოუკოცნა...**

მერაბი მაშინ სკოლის მოსწავლე იყო. ერთ სკოლაში ვსწავლობდით და ერთად ვიზრდებოდით სოლოლაკში. დიდი და პატარა ყველანი ერთმანეთს ვიცნობდით. მოუსვენარი ბიჭი, კეთილი მერაბი. კარგად სწავლობდა. მაგრამ ანცობით იკლებდა უბანს. უსამართლობას ვერ იტანდა და ხშირად ჩხუბობდა. დაჩაგრულის გამოსარჩლება უყვარდა და იყო ჩაბმული მუშტი-კრივში. დედამისი, ქალბატონი ქეთო კუდში დასდევდა თავის მაჩხუბარას, თარხან-მოურავის ქალს ვერ წარმოედგინა მისი შვილი — ქუჩაში მუშტის მქნეველი. მამამისი — ბატონი იოველ გაბუნია გულგრილად უყურებდა ყველაფერ ამას. გაიზრდება და გაუვლისო.

ცხოვრება კი თავისი დინებით მიდიოდა. ბევრი სოლოლაკელი თბილისის სხვადასხვა რაიონში გადავსახლდით. იშვიათად ვხვდებოდით ძველი უბნელები, ერთმანეთის ამბებს მაინც ვგებულობდით.

მერაბი მშენებელი გახდა. მშვენიერ ქალიშვილზე იქორწინა და ოჯახს მოეკიდა.

მალე გამრავლდა კიდეც — ორი გოგონა შეეძინათ. ახალგაზრდა ინჟინერი გულმოდგინედ შრომობდა ოჯახის სიმტკიცისათვის. არც ძველ უბნელებს გვივიწყებდა. მშობლებიც გახარებული ჰყავდა და ნაცნობებიც. გადიოდა წლები. ახლა ლარისას და მერაბს შვიდი შვილიშვილი ჰყავთ. სახლ-კარიც აქვთ და ცხოვრებაც.

კარგა ხანია არ მენახა მერაბი...

ერთ დილით სიყრმის მეგობარი ზაურ კვირკველია აღფრთოვანებული ხმით მირეკავს:

— გაიგე, ჩვენმა მერაბმა რა დიდებული საქმე გააკეთა? წინაპრების სოფელში ეკლესია ააშენა... თავის შრომით და ხარჯებით. არავინ დახმარებია, ისე.

გავიხარე, ყოჩაღ, ბიჭო! აფსუს, შენი მშობლები მოსწრებოდნენ ამას. აუ, რას იამაყებს შენი უფროსი და ცისანა...

გაგონილს ნანახი სჯობს. გადაწყდა — მივდივართ ბანძაში.

ლურჯი „ჯიპი“ მიქრის სამეგრელოსკენ. მანქანაში ხუთნი ვართ. საჭესთან კუკური ციციშვილი, მერაბ გაბუნია, ზაურ კვირკველია, მალხაზ მჟავანაძე და მე.

ვიგონებთ ერთად გატარებულ წლებს, ძველ უბანს, მეგობრებს, ამ ქვეყნიდან წასულ ნაცნობებს და ახლობლებს. კიდევ ბევრ რამეს. მოგონებებს უთუოდ ახლავს სევდა. ამასობაში იმერეთში შევედით. მანქანა დუქანთან გაჩერდა. მასპინძელი ყველგან მერაბია.

თამადა არ გვჭირდება, რიგრიგობით ვამბობთ სადღეგრძელოებს. ზაურ კვირკველიამ სიმღერა წამოიწყო. მალხაზმა იმწამსვე აუწყო ხმა, მერაბმაც ჩართო თავისი გაბზარული ბარიტონი. კუკურიმაც არ დააყოვნა და მშვენიერი ჰანგი აჟღერდა. ერთს მეორე მოჰყვა. ლხინი კარგა ხანს გაგრძელდა (ისე, ზაურ კვირკველიასთვის რომ გვეცლია, ერთ კვირას ვერ ჩავიდოდით ბანძაში). შეზარხოშებულებმა განვაგრძეთ გზა. ბანძაში შეღამებულში შევედით. ღამე მერაბის ბებია-ბაბუის ოდაში გავათიეთ. რიბი-რაბო შემოიპარა ფანჯარაში. მამლებმა იყივლეს ზედიზედ. ალიონი შემოვიდა სოფელში. რა დროს ძილია... ვათვალიერებთ ეზოს. მწვანედ ბიბინებს ხასხასა მოლი, ამაყად შრიალებენ ასწლოვანი ცაცხვის ხეები. მომვლელის ხელი ეტყობა აქაურობას.

შემოჰკრეს ცისკრის ზარს. ჩვენც ავჩქარდით. ეკლესიის ეზოში მოკრძალებული ნაბიჯებით დადიან სალოცავად მისულები. საოცარი სანახავია მარიამ ღვთისმშობლის ეკლესია — ფერადი რიყის ქვით აშენებული. მწიფე შინდისფერი, ლურჯი, აქატის, ლაპისლაზურის და თეთრი ფერები ირევა ერთმანეთში. პირჯვრის წერით შევედით ეკლესიაში... ბიბინებენ სანთლები. ხატებიდან მშვიდი თვალებით იმზირებიან წმინდანები. ტკბილად ღიღინებენ ეკლესიის მსახურნი. დილის ლოცვა დამთავრდა. ეზოში გამოვედით. მოკრძალებით გვესალმებიან ბანძელები, მერაბს ეფერებიან და მარჯვენა მხარზე კოცნიან.



სოფლელები მადლობელი არიან მისი.

ეკლესიის მსახურებმა ტაბლაზე პურ-მარილი გაშალეს. მამა კონსტანტინემ პირველად უფალი მოიხსენია, მერე სალოცავები, იმ ქვეყნად წასულები, აღდეგრძელა ჩვენი ხალხი და ჩვენი ქვეყანა. დიდი მადლიერებით შესვა მერაბის სადღეგრძელო. შვილო, მერაბ, რაც უნდა მოხდეს, შენ უკვე შესული ხარ სასულიერო ისტორიაში, ეკლესიის ამშენებელი კი არა, უბრალო წყაროს გამყვანი არ ავიწყდება სოფელს. შენი ქმედება თაობიდან თაობებს გადაეცემა ამიერიდან, ღიღინა ხმით დაამთავრა მამა კონსტანტინემ.

ორ დღეს დავრჩით ბანძაში... მეზობლების ყურადღება არ მოგვკლებია. ორ დღეს ისმოდა თაფლივით ტკბილი მეგრული სიმღერები. სიამოვნებით აღვსილნი დავემშვიდობეთ ბანძას.

**ზაურ გომართელი.**

# განცხადება კონკურსის ჩატარების შესახებ

**შპს „ფოთის საზღვაო ნავსადგური“ აცხადებს კონკურსს ნავსადგურის შიდა საავტომობილო გზების სარეკონსტრუქციო სამუშაოების შესყიდვაზე (უბანი №2 II-საწარმოო რაიონის მისასვლელი გზა)**

**ძირითადი ჩასატარებელი სამუშაოების სახეობა:**

- * **ასაწყობი რკ/ბეტონის ფილების დემონტაჟი — 280მ$^3$;**
- * **III კატეგორიის გრუნტის მოჭრა ბულდოზერით — 180მ$^3$;**
- * **გრუნტის ტრანსპორტირება 10კმ-ზე — 342ტ;**
- * **დემონტირებული რკ/ბეტონის ფილების ტრანსპორტირება — 638ტ;**
- * **ღორღის საფუძვლის მოწყობა — 1800მ$^2$;**
- * **მონოლითური რკ/ბეტონის საფარის მოწყობა სისქით 20სმ ბეტონი მ-300 — 1800მ$^2$;**
- * **გზის გვერდების გამაგრება ქვიშა ხრეშოვანი ნარევით — 378მ$^3$;**
- * **201 ქარხნის რკინიგზის ხაზების აწევა — 50მ;**
- * **რკინიგზის გადასასვლელის მოწყობა რკ/ბეტონის ფილებით — 3,84მ$^3$;**
- * **მიწის კუვეიტის მოწყობა — 30მ$^3$.**

სამუშაოთა წარმოების სასურველი ვადა — ხელშეკრულების გაფორმებიდან 2,5 თვე.

1. დაინტერესებულმა იურიდიულმა პირებმა (ქართველმა „მომწოდებელმა“ – ქართულად, ხოლო უცხოელმა „მომწოდებელმა“ – ინგლისურ ან რუსულ ენაზე), თავისი ქვეყნის კანონით დადგენილი შესაბამისი უწყებებიდან უნდა წარმოადგინონ საკვალიფიკაციო მონაცემები 2005 წლის 8 აგვისტოს 18 საათამდე, შემდეგ მისამართზე: ქ. ფოთი, დავით აღმაშენებლის ქ. №52, საზღვაო ნავსადგურის ადმინისტაციული შენობის I სართული შესყიდვების განყოფილება.

**2.** საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

**3.1. საქართველოში რეგისტრირებული კომპანიებისათვის:**

* ცნობა სასამართლოდან, რომ არ ხორციელდება მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია და არ მიმდინარეობს მისი გაკოტრების ან სანაციის საქმე;

* ცნობა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან, რომ მის ქონებაზე არ არის დადებული ყადაღა;

* ცნობა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საინფორმაციო ცენტრიდან, რომ მისი ხელმძღვანელი იყო თუ არა მსჯავრდადებული;

* ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან – გააჩნია თუ არა კონკურსში მონაწილეს საგადასახადო დავალიანება სახელმწიფო ბიუჯეტისადმი (დაურთეთ დამადასტურებელი დოკუმენტები);

3.2. მონაწილის იურიდიული სტატუსი (ასლი თან დაურთეთ), რეგისტრაციის ადგილი, რეკვიზიტები, მოღვაწეობის ძირითადი ადგილი;

3.3. უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში შესრულებული ანალოგიური სამუშაო:

| № | სამუშაოს დასახელება | შემსყიდველის დასახელება | ხელშეკრულების ღირებულება | შესრულებული სამუშაოს ტიპი | დასრულების თარიღი |
|---|---|---|---|---|---|
| 1. | | | | | |
| 2. | | | | | |
| . | | | | | |
| . | | | | | |

3.4. სამუშაოთა შესასრულებლად საჭირო ინსტრუმენტების, მოწყობილობა და მექანიზმების ჩამონათვალი:

| № | დასახელება | აღწერილობა, მოდელი ტიპი, მარკა და ასაკი. | რაოდენობა | მდგომარეობა (ახალი, ნახმარი) | საკუთარი, იჯარით აღებით |
|---|---|---|---|---|---|
| 1. | | | | | |
| 2. | | | | | |
| . | | | | | |
| . | | | | | |

3.5. კონკურსში მონაწილე ძირითად ხელმძღვანელ თანამდებობაზე მომუშავეთა კვალიფიკაცია და გამოცდილება:

| № | თანამდებობა | გვარი, სახელი, მამის სახელი. გამოცდილება. | მუშაობის საერთო გამოცდილება (წელი) | ანალოგიურ თანამდებობაზე მუშაობის გამოცდილება |
|---|---|---|---|---|
| 1. | | | | |
| 2. | | | | |
| 3. | | | | |
| . | | | | |
| . | | | | |

4. კონკურსში მონაწილე უცხო ქვეყნების წარმომადგენლებმა 3.1. პუნქტში ჩამოთვლილი ყველა ცნობა უნდა წარმოადგინონ თავისი ქვეყნის კანონით დადგენილი შესაბამისი უწყებებიდან;

5. იურდიული პირი ვერ გაივლის საკვალიფიკაციო შერჩევას, თუ ზემოთ დადგენილ ვადებში არ წარმოადგენს მე-3 პუნქტში მოცემულ ყველა ცნობას და ინფორმაციას, ან რომელიმე მათგანი აღმოჩნდება ყალბი.

6. საკვალიფიკაციო მონაცემების ჩაბარების შემდეგ საკონკურო კომისია განიხილავს საკვალიფიკაციო მონაცემებს და დამტკიცებულ პრეტენდენტებს 2005 წლის 12 აგვისტომდე აცნობებს სხდომაზე მიღებულ გადაწყვეტილებას.

7. კონკურსში მონაწილე პრეტენდენტებს საკონკურსო დოკუმენტაციის პაკეტის მიღება შეუძლიათ 500 (ხუთასი) ლარის ოდენობით საკონკურსო მოსაკრებლის გადახდის შემდეგ შპს „ფოთის საზღვაო ნავსადგურის“ ადმინისტრაციული შენობის I სართულზე შესყიდვების განყოფილებაში, (ტელ/ფაქსი: + (995393) 7-01-48) 2005 წლის 12 აგვისტოდან 2005 წლის 16 აგვისტომდე, (საკონკურსო მოსაკრებლის ანგარიში – ა/№623607, ბანკის/კოდი: №220101606, საიდენტიფიკაციო/კოდი: №2150809999), გაერთიანებული ქართული ბანკის №23-ე ფილიალი.

8. საკონკურსო წინადადება ქართველმა „მომწოდებელმა“ წარმოადგინოს – ქართულად, ხოლო უცხოელმა „მომწოდებელმა“ – ინგლისურ ან რუსულ ენაზე. საკონკურსო წინადადების დოკუმენტების დედანი უნდა იყოს წარმოდგენილი დალუქულ კონვერტებში.

9. საკონკურსო წინადადების წარმოდგენის ბოლო ვადაა: 2005 წლის 25 აგვისტო, შპს „ფოთის საზღვაო ნავსადგურის“ ადმინისტრაციული შენობის I სართული, შესყიდვების განყოფილება, ქ. ფოთი, დავით აღმაშენებლის ქ. №52.

10. საკონკურსო წინადადებების განხილვის შედეგების საფუძველზე საკონკურსო კომისია 2005 წლის 1 სექტემბრამდე გამოავლენს კონკურსში გამარჯვებულს.

11. კონკურსში გამოიყენება საკონკურსო წინადადების უზრუნველყოფის გარანტია – საკონკურსო წინადადების მთლიანი ღირებულების არანაკლებ 3%-ის ოდენობით.

12. საკონკურსო წინადადების უზრუნველყოფის გარანტიის მოქმედების ვადა 30 დღით უნდა აღემატებოდეს საკონკურსო წინადადების მოქმედების ვადას.

13. კონკურსში პრეტენდენტის გამარჯვების შემთხვევაში გამოიყენება ხელშეკრულების უზრუნველყოფის გარანტია, დასადები ხელშეკრულების ფასის 5%-ის ოდენობით.

14. ხელშეკრულების უზრუნველყოფის გარანტიის ვადა განისაზღვრება ხელშეკრულების მოქმედების ვადის ბოლომდე.

15.კონკურსში გამარჯვებულის გამოსავლენად უპირატესობა მიენიჭება შემდეგ კრიტერიუმებს: სამუშაოების დაწყების ვადებს, შესასრულებელი სამუშაოების ხანგრძლივობას, ანგარიშსწორების პირობებს და სამუშაოების ღირებულებას.

**16. დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგი პირებისაგან: შპს „ფოთის საზღვაო ნავსადგურის“ შესყიდვების განყოფილება საკონტაქტო პირი – შესყიდვების განყოფილების სპეციალისტი ბესარიონ ჯოჯუა (ელ-ფოსტა besojojua@yahoo.com, ტელ/ფაქსი: +(995393) 7-01-48 ქ. ფოთი, დავით აღმაშენებლის ქ. №52, ან რეკონსტრუქცია-განვითარების განყოფილების უფროსი თემურ თოფურია (ელ-ფოსტა ikelbakiani@potiport.com, ტელ/ფაქსი: + (995393) 7-01-18 ტელ: +(995393) ქ. ფოთი, ნ. ნიკოლაძის მოედანი №1, სამშენებლო კომპლექსის ადმინისტრაციული შენობა.**

# განცხადება კონკურსის ჩატარების შესახებ

**1. შპს „ფოთის საზღვაო ნავსადგური“ ( ქ. ფოთი 4401, დავით აღმაშენებლის ქ.№52 ტელ-ფაქსი: 8(293) 7-01-48, საბანკო რეკვიზიტები: გაერთიანებული ქართული ბანკის ფოთის №23 ფილიალი, ა/ა №623607, ბ/კ №220101606, „თი-ბი-სი“ ბანკის ფოთის ფილიალი ა/ა 609103, ბ/კ 220101934) აცხადებს ღია კონკურსს ვიდეომონიტორინგის სისტემის შეძენაზე და იწვევს კონკურსში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.**

1.1. საქონლის მოწოდების სავალდებულო ვადა: 2005 წლის 01 ოქტომბრამდე

2. მოსაწოდებელი საქონლის სავალდებულო ადგილი — საქონლის მოწოდება უნდა განხორციელდეს შპს „ფოთის საზღვაო ნავსადგურში“.

3. დაინტერესებულმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემები (ქართველმა „მიმწოდებელმა“ – ქართულად, ხოლო უცხოელმა „მიმწოდებელმა“ – მისთვის სასურველ ენაზე, რომელსაც აუცილებლად უნდა ახლდეს ნოტარიულად დამოწმებული ქართულენოვანი თარგმანი) უნდა წარმოადგინონ შემდეგ მისამართზე: ქ. ფოთი, დავით აღმაშენებლის ქ. №52, შპს „ფოთის საზღვაო ნავსადგურის“ ადმინისტრაციული შენობის პირველი სართული, ნავსადგურის კანცელარია, 2005 წლის 01 აგვისტოს 11 საათამდე.

4) საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას;

**4.1 იურიდიული პირებისათვის:**

ა. ცნობა სასამართლოდან, რომ არ ხორციელდება მისი რეორგანიზაცია, ლიკვიდაცია, გაკოტრების ან სანაციის საქმე.

ბ. ცნობა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან, რომ მის ქონებაზე არ არის დადებული ყადაღა.

გ. ცნობა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საინფორმაციო ცენტრიდან, რომ მისი ხელმძღვანელი უკანასკნელი 3 (სამი) წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდადებული.

**4.2 ფიზიკური პირისათვის:**

ა. ცნობა სასამართლოდან, რომ ის ქმედითუნარიანია.

ბ. ცნობა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საინფორმაციო ცენტრიდან, რომ იგი უკანასკნელი 3 (სამი) წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდადებული.

გ. ცნობა სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმე.

**4.3 იურიდიული და ფიზიკური პირებისათვის:**

ა. მონაწილის იურიდიული სტატუსი (ასლი თან დაურთეთ), რეგისტრაციის ადგილი, რეკვიზიტები, მოღვაწეობის ძირითადი ადგილი.

ბ. ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან – გააჩნია თუ არა კონკურსში მონაწილეს საგადასახადო დავალიანება სახელმწიფო ბიუჯეტისადმი. (დაურთეთ დამადასტურებელი დოკუმენტები)

გ. პრეტენდენტმა ასევე უნდა წარმოადგინოს მოსაწოდებელი საქონლის წარმოშობის, ხარისხის და შესაბამისობის სერტიფიკატი. სახელმწიფო საიდუმლოებასთან დაკავშირებული საქმიანობის შესაბამისი ნებართვა (ლიცენზია) და სარეკომენდაციო წერილები იმ ორგანიზაციებიდან, რომელთათვისაც შესრულებული აქვთ ანალოგიური საქონლის მიწოდება.

5. კონკურსში მონაწილე უცხო ქვეყნების წარმომადგენლებმა, ყველა ცნობა ჩამოთვლილი მე-4 პუნქტში უნდა წარმოადგინონ თავისი ქვეყნის შესაბამისი უწყებებიდან;

6. იურიდიული და ფიზიკური პირი ვერ გაივლის საკვალიფიკაციო შერჩევას, თუ ზემოთ დადგენილ ვადებში არ წარმოადგენს მე-4 პუნქტში მოცემულ ყველა ცნობას და ინფორმაციას, ან რომელიმე მათგანი ყალბი აღმოჩნდება.

7. საკონკურსო დოკუმენტაციის მიღება კონკურსში მონაწილე პრეტენდენტებს, 500 (ხუთასი) ლარის ოდენობით საკონკურსო მოსაკრებლის გადახდის შემდეგ, შეეძლებათ შემდეგ მისამართზე: ქ. ფოთი, დავით აღმაშენებლის ქ.№52, შპს „ფოთის საზღვაო ნავსადგურის“ შესყიდვების განყოფილება, საკონტაქტო ტელ-ფაქსი: 8(293) 7-01-48. 2005 წლის 03 აგვისტოს 10 საათიდან 05 აგვისტოს 17 საათამდე

საკონკურსო წინადადება წარმოდგენილი უნდა იყოს შემდეგ ენაზე (ქართველმა „მიმწოდებელმა“ – ქართულად, ხოლო უცხოელმა „მიმწოდებელმა“ – მისთვის სასურველ ენაზე, რომელსაც აუცილებლად უნდა ახლდეს ნოტარიულად დამოწმებული ქართულენოვანი თარგმანი).

საკონკურსო წინადადების წარმოდგენის ბოლო ვადაა: **2005 წლის 15 აგვისტოს 11-საათამდე,** შპს „ფოთის საზღვაო ნავსადგურის“ კანცელარია ქ. ფოთი, დავით აღმაშენებლის ქ. №52.

8. კონკურსში გამოიყენება საკონკურსო წინადადების უზრუნველყოფის გარანტია – საკონკურსო წინადადების ღირებულების არანაკლებ 3%-ის ოდენობით.

9. საკონკურსო წინადადების უზრუნველყოფის გარანტიის მოქმედების ვადა 30 დღით უნდა აღემატებოდეს საკონკურსო წინადადების მოქმედების ვადას.

10. კონკურსში პრეტენდენტის გამარჯვების შემთხვევაში გამოიყენება ხელშეკრულების უზრუნველყოფის გარანტია, ხელშეკრულების ფასის 5%-ის ოდენობით.

11 ხელშეკრულების უზრუნველყოფის გარანტიის ვადა განისაზღვრება ხელშეკრულების ბოლომდე.

12. კონკურსში მონაწილისთვის თანხის ავანსად გაცემა არ განიხილება და ანგარიშსწორება განხორციელდება მხოლოდ ვიდეომონიტორინგის სისტემის სრული მონტაჟის და მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ

**13. დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგი პირებისაგან: მანანა დანელია და ლალი კეშელავა შემდეგ მისამართზე: ქ. ფოთი, დავით აღმაშენებლის ქ. №52, შპს „ფოთის საზღვაო ნავსადგურის“ შესყიდვების განყოფილება, საკონტაქტო ტელ: 8 (293) 7-01-48.**

**შპს „ფოთის საზღვაო ნავსადგურის“**
**საკონკურსო კომისიის თავმჯდომარე**
**ვლადიმერ ხოხობაია.**

# ვაგზუსწორებთ

*გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში“ (№ 169. სამშაბათი, 19 ივლისი) გამოქვეყნებულ შპს „ფოთის საზღვაო ნავსადგურის“ საკონკურსო განცხადებაში 1.1 ნაწილი უნდა იკითხებოდეს შემდეგნაირად.*

**1.1 მოსაწოდებელი საქონლის დასახელება და რაოდენობა:**

1. სადენი (ალუმინის) ÀÏÂ 1X16 — 2000 გრძ.მეტრი;
2. კაბელი დაბალი ძაბვის (ალუმინის) ÀÂÂÃ–0,6-1,0 3X35+1X16 — 1000 გრძ.მეტრი;
3. კაბელი დაბალი ძაბვის (ალუმინის) ÀÂÂÃ–1 3X120+1X70(95) — 4000 გრძ.მეტრი;
4. კაბელი დაბალი ძაბვის (სპილენძის)□ÂÂÃ–1 3X120+1X35(70) — 1000 გრძ.მეტრი;
5. კაბელი მაღალი ძაბვის (ალუმინის) ÀCÁ–10 3X120 — 3000 გრძ.მეტრი;
6. კაბელი რბილი KÃ 1X25 — 500 გრძ.მეტრი;
7. კაბელი რბილი KÃ 1X35 — 500 გრძ.მეტრი;
8. სადენი (სპილენძის) ÏÏÂ 2X4 — 2000 გრძ.მეტრი;
9. სადენი (სპილენძის) ÂÂÃ-1 4X6 — 1000 გრძ.მეტრი;
10. სადენი (სპილენძის) ÏÂ-3 1X10 — 1500 გრძ.მეტრი;
11. რეიჰელის ქურო (120–150) — 40 ცალი.

◎ ფეხბურთი

# ლანიისკენ პერი, პერი



**უკან დარჩა შიშნარევი მოლოდინი — ახალი ფორმაციის, ცხადაძისეულმა თბილისის „დინამომ“ გუშინ ჩემპიონთა ლიგის პირველი საკვალიფიკაციო ეტაპის საპასუხო მატჩი შინ საჭირო ანგარიშით — 2:0 (პირველი შეხვედრა 0:1) მოუგო ტალინის „ლევადიას“ და მორიგ რაუნდში დანიის „ბრონდბიუს“ გაუწევს მეტოქეობას (26 ივლისს საკუთარ მინდორზე, 2 აგვისტოს სტუმრად).**

„დინამო“ — სტურუა, ალადაშვილი, ქემოკლიძე, ორბელაძე (კაპიტანი), კანდელაკი, ოდიკაძე, ნოზაძე, ბაბუნაშვილი, ჭელიძე, ბობოხიძე, მელქაძე. ითამაშეს, აგრეთვე, გიგაურმა, მახარაძემ და აკობიამ.

„ლევადია“ — კოტენკო, კალიმულინი, ჩეპაუსკასი, შიშოვი, ხოხლოვ-სიმსონი (კაპიტანი), ვასილიევი, ნახკი, დმიტრიევი, კაზიმირი, დოვიდენასი, ზელინსკი. ითამაშეს, აგრეთვე, ლეიტანმა, შადრინმა და პურიამ.

მსაჯი — ალოიზ სუპრაჰა (ხორვატეთი).

გოლები — მელქაძე (45-ე წთ), ორბელაძე (50-ე წთ).

გაძევება — ოდიკაძე (77-ე წთ).

პირველი მატჩისგან განსხვავებით, მასპინძელთა თავკაცმა სასტარტო შემადგენლობაში ერთბაშად სამი ცვლილება განახორციელა, თუმცა, სამწუხაროდ, ვერც ერთმა რეზერვისტმა ვერ გაუმართლა ნდობა — ქემოკლიძე, მოგეხსენებათ, მოგვიანებით შეუერთდა გუნდს წინასასეზონო შეკრებაზე, რის გამოც ჯერ ვერ მოასწრო ოპტიმალური კონდიციების „აკრეფა“ და გუშინაც არაერთი „იაღლიში“ მოუვიდა დაცვის ცენტრში — ბედად, ესტონელებს საშემსრულებლო ოსტატობა აკლდათ; ჭელიძე ბევრს კი ფაფხურობდა, მაგრამ მის გადაცემებს, უმეტესწილად, სიზუსტის დეფიციტი გამოარჩევდა; და ბოლოს, ბობოხიძე, რომელმაც ერთბაშად ხუთი (!) საგოლე მომენტი გაფლანგა და პარტნიორებს კინაღამ წყალში ჩაუყარა ნაოფლარი.

მაშ, რის ხარჯზე დავძლიეთ ბალტიისპირელთა მედგარი წინააღმდეგობა? — იკითხავთ, ალბათ. პასუხი მარტივია: დიდი მონდომებითა და ალადაშვილ-კანდელაკ-მელქაძის ძალისხმევით. აღსანიშნავია აგრეთვე სტურუას საიმედო მეკარეობა, ჭაბუკი ნახევარმცველის მახარძის ბრძოლაში დაღვინებული ოსტატივით ჩართვა და ჯერაც აუმოქმედებელი რეზერვი — დაგვეთანხმებით, ორბელაძეს, ნოზაძესა და ბაბუნაშვილს გაცილებით მეტის გაკეთება შეუძლიათ. რაც შეეხება ოდიკაძეს, მის საქციელსა და წითელ ბარათს გამართლება არ მოეძებნება — ვიმედოვნებთ, იგი მომავალში მაინც დაიოკებს ნერვებს.

აუცილებლად უნდა ითქვას ერთი ორგანიზაციული კურიოზის თაობაზეც — გრიგალაშვილი ოქმში მეშვიდე ნომრით იყო შეყვანილი, მაისურზე კი 27 ეწერა, რასაც შეიძლებოდა სავალალო შედეგი მოჰყოლოდა. ვითომ, პრობლემები გვაკლია?

და ბოლოს, გუშინ თბილისის „დინამოს“ ახალი სპონსორის — ფირმა „ბეკოს“ სადებიუტო დღე იყო. ჩვენი გუნდის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ საქმიანი სამყაროს ამ ღირსეულ წარმომადგენლებს, ალბათ, დინამოელებთან თანამშრომლობის გაგრძელების სურვილი გაუჩნდებოდათ.

**გია პლატონიშვილი**

**ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო.**

◎ ბაზეზი ჩქარა!

# დაგვიანებული პოპულარობა

**საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის ხელმძღვანელები საკმაოდ ხშირად მიმართავენ ექსტრემალურ ზომებს. ახლახან სოკ-ის 117-ე სესიაზე, რომელიც სინგაპურში გაიმართა, ზაფხულის ოლიმპიური თამაშების პროგრამიდან ამოიღეს ბეისბოლი და სოფტბოლი. სოკ-ის პრეზიდენტმა ჟაკ როგმა დაამშვიდა სპორტის ამ სახეობათა წარმომადგენლები და დაპირდა, რომ ლონდონის ოლიმპიური თამაშების შემდეგ იგი შეეცდება კვლავ დააბრუნოს სოფტბოლი და ბეისბოლი თამაშების პროგრამაში.**



უკვე 15 წელიწადია, რაც სოფტბოლი დიდი პოპულარობით სარგებლობს თემქის დასახლებაში მდებარე 143-ე სკოლის ახალგაზრდებს შორის. სამწუხაროდ, აქაურ სპორტსმენებს არ გააჩნდათ სათამაშო მოედანი, თუმცა ეს საკითხი სულ ახლახან გადაწყდა. სკოლის ტერიტორიაზე სოფტბოლის სათამაშო სტადიონის მშენებლობას სათავეში ჩაუდგა თბილისის პრემიერი თემურ ქურხული. რაც შეეხება სამუშაოებს, მას უშუალოდ რაიონის გამგებელი ჰამლეტ ლამაზოშვილი ხელმძღვანელობს. სტადიონს ექნება მაყურებელთა ტრიბუნები — ქვეყნის პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის განკარგულებით ტრიბუნები, — რომელიც ჩვენს დედაქალაქში, ამერიკის პირველი პირის ჯორჯ ბუშის სტუმრობის დროს აიგო, მისი დემონტაჟის შემდეგ 143-ე სკოლის ტერიტორიაზე მშენებარე სოფტბოლის მოედანს გადაეცა საჩუქრად.

თემქის დასახლებაში მალე მწყობრში ჩადგება კიდევ ერთი სპორტული ბაზა.

**შოთა ბოკერია.**

**სურათზე: თემქის სოფტბოლისტთა პირველი გუნდი.**

**რობერტ ბაგოიანის ფოტო.**

◎ ჭადრაკი ოთხშაბათობით



# მსოფლიოს პირველი ჩემპიონი

**ვილჰელმ სტეინიცი (1836 პრაღა — 1900 ნიუ-იორკი) — ჭადრაკის ისტორიაში პირველი მსოფლიო ჩემპიონი (1886-94), პოზიციური თამაშის ფუძემდებელი. ჭადრაკს მშობლიურ პრაღაში ბავშვობიდან თამაშობდა. 1859 წლიდან ოფიციალურ შეჯიბრებებში მონაწილეობდა.**

1886 წელს მატჩი მოუგო ანდერსენს — 8:6.

პირველი ოფიციალური მატჩი მსოფლიო პირველობაზე გაიმართა 1886 წელს სტეინიცსა და იოჰან ცუკერტორტს შორის. გაიმარჯვა სტეინიცმა 12,5:7,5 და მსოფლიო ჩემპიონის ტიტულს დაეუფლა. ჩემპიონს ტიტულის დაცვა მოუწია მიხეილ ჩიგორინთან (1889, ჰავანა) — 10:6 გაიმარჯვა სტეინიცმა. ჩიგორინმა წააგო მეორე მატჩიც (1892, ჰავანა) — 12,5:10,5. ჩიგორინი დამარცხდა, მაგრამ საჭადრაკო ხელოვნების ჭეშმარიტ დამფასებლებში იგი კიდევ უფრო ამაღლდა, როგორც უდიდესი პოტენციის მქონე შემოქმედი, რასაც სტეინიციც აღიარებდა.

სტეინიცმა მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ე. წ. დახურული თამაშის თეორიაში.

**თამაზ შენგელია.**

**სტეინიცი — ჩიგორინი**
**1892**



**„რასაცა გასცემ შენია (ლa2!) რაც არა დაკარგულია“.**

**1. ... ლa2! 2. მფa2 მc4 3. მფb3 ეa3 4. მფc2 ეa2 — ყაიმი მუდმივი ქიშის გამო.**

◎ ინფორმაცია

## ვალუტის გადამცვლელებს მოთხოვნები წაუყენეს

**საქართველოს ეროვნული ბანკი ერთი თვის ვადაში ვალუტის გადამცვლელი არალიცენზირებული პუნქტების მფლობელებს მუშაობის ლეგალურად წარმართვისა და შესაბამისი საქმიანობის ლიცენზიის აღებისკენ მოუწოდებს, — ამის თაობაზე საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტმა რომან გოცირიძემ ვალუტის გადამცვლელი პუნქტების ასოციაციის წარმომადგენლებთან შეხვედრაზე განაცხადა. საქართველოს ეროვნული ბანკის არასაბანკო სადეპოზიტო დაწესებულებების ზედამხედველობის სამმართველომ ვალუტის გადამცვლელი 85 არალიცენზირებული პუნქტი გამოავლინა.**

ერთი თვის თავზე საქართველოს ეროვნული ბანკი ვალუტის გადამცვლელი არალიცენზირებული პუნქტების სიას და აღმოჩენილ დარღვევებზე ინფორმაციას ფინანსურ პოლიციას გადასცემს.

2005 წლის 1 ივლისის მონაცემებით, საქართველოში ფუნქციონირებს 328 ვალუტის ლიცენზირებული გადამცვლელი პუნქტი, საიდანაც 209 ფიზიკურ, ხოლო 119 იურიდიულ პირებს ეკუთვნით.

**მედიანიუსი**

## ვარკეთილის მოსახლეობა ელექტროენერგიას ითხოვს

**საქართველოს სადისტრიბუციო ენერგოკომპანიის ქვემო ქართლის ფილიალში გუშინ დილით ვარკეთილის დასახლების მაცხოვრებლები მივიდნენ. მათი მტკიცებით, ელექტროენერგიას დასახლებას ქვემო ქართლის ფილიალი აწვდის, თუმცა უკვე ერთი თვეა, შუქი არა აქვთ.**

სადისტრიბუციო ენერგოკომპანიის ქვემო ქართლის ფილიალის მენეჯერის ირაკლი ელაშვილის განცხადებით, ვარკეთილის დასახლებას ელექტროენერგიის დავალიანება 7000 ლარი დაუგროვდა. ეს მაჩვენებელი მათ მიერ ერთი თვის წინ დამონტაჟებულ მრიცხველზე დაფიქსირდა, თუმცა მოსახლეობა აცხადებს, რომ ამ თანხას არ გადაიხდის, რადგან მათ ინდივიდუალური მრიცხველები აქვთ და დენის საფასურს ამის მიხედვით იხდიან.

მოსახლეობის პროტესტის მიუხედავად, ენერგოკომპანიონები პოზიციების დათმობას არ აპირებენ.

## აღარ მორჩა ეს ყალბი ანგარიშ-ფაქტურები?

**ფინანსურმა პოლიციამ ყალბი ანგარიშ-ფაქტურების გასაღების ფაქტზე მოქალაქე ნიკოლოზ ჩალაგაშვილი დააკავა. როგორც „ინტერპრესნიუსს“ ფინანსური პოლიციის საგამოძიებო დეპარტამენტის უფროსმა ლევან მხეიძემ განუცხადა, ჩალაგაშვილმა 200 ათასი ლარის ღირებულების ყალბი ანგარიშ-ფაქტურა გაასაღა, რითაც სახელმწიფო ბიუჯეტმა 40 ათასი ლარით იზარალა.**

კანონმდებლობის თანახმად, ნიკოლოზ ჩალაგაშვილს 3-დან 7 წლამდე თავისუფლების აღკვეთა ემუქრება.

## ასეთი მანქანები ჰაერივით გვჭირდება

**ავარიებისა და გაჟონვების წინააღმდეგ ბრძოლის უზრუნველსაყოფად გაზის საერთაშორისო კორპორაციამ „ტასისის“ პროგრამის ფარგლებში ევროკომისიისგან თანამედროვე სტანდარტების ორი ავტომანქანა მიიღო.**

როგორც „ინტერპრესნიუსს“ გაზის საერთაშორისო კორპორაციაში განუცხადეს, საქართველოს რთული რელიეფიდან გამომდინარე, ავტომანქანები კორპორაციისთვის მნიშვნელოვანი შენაძენია, რადგან მიუვალ ადგილებში გამავალ გაზსადენთან მისვლა ამ ავტომანქანებით შესაძლებელია.

ამასთან, ერთ-ერთ ავტომანქანაში განთავსებულია მობილური ლაბორატორია, რომლის მეშვეობითაც შესაძლებელია გაჟონვის ადგილის განსაზღვრა, ხოლო მეორე ავტომანქანის მეშვეობით კორპორაციას შესაძლებლობა ექნება ავარიებზე სწრაფი რეაგირება მოახდინოს და მათი ლიკვიდაცია უზრუნველყოს.

## ოპერის თეატრიდან 60-მდე თანამშრომელი გაათავისუფლეს

**თბილისის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრიდან 60-მდე თანამშრომელი გაათავისუფლეს. მათი უმეტესი ნაწილი ტექნიკური პერსონალია.**

როგორც თეატრის გენერალურმა დირექტორმა დავით საყვარელიძემ განაცხადა, თანამშრომლების ნაწილს კონტრაქტები დაუმთავრდა, ზოგიერთი მუსიკოსი ევგენი მიქელაძის სახელობის ორკესტრში გადავიდა.

„ოპერაში შტატები გაბერილი იყო და თანამშრომლების გაშვება მოსვლისთანავე ვერ განვახორციელეთ. კონტრაქტების დასრულების შემდეგ კი ის ხალხი გავუშვით, ვინც აღარ გვჭირდებოდა“, — დასძინა მან.

**ინტერპრესნიუსი**

◎ სპორტულ ორბიტაზე



# „ტურ დე ფრანსის“ ფულები

**ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული მრავალდღიანი სუპერველორბოლის „ტურ დე ფრანსის“ ორგანიზატორებმა გამოაქვეყნეს ის საპრიზო თანხები, რაც მეთხუთმეტე ეტაპისთვის გადაუხადეს მონაწილე გუნდებს.**

ისევე, როგორც თავად რბოლაში, აქაც ლიდერობს ამერიკელი ლანს არმსტრონგის გუნდი „დისკავერ ჩენელი“, რომლის მრბოლებმა უკვე გამოიმუშავეს 52 330 ევრო. მეორე ადგილზე არიან ჰოლანდიური „რაბობანკის“ სპორტსმენები, რომელთაც წინამძღოლობს წლევანდელი სამთო ეტაპების „მეფე“ — დანიელი მიქაელ რასმუსენი — 49 820 ევრო. „პოდიუმის“ მესამე საფეხურზე გერმანული „T-მობილეა“, რომელმაც საფრანგეთის მთა-ბარში 49 540 ევრო მოიპოვა.

# ფეხბურთელი სპილოები — გასტროლებზე

**ევროპაში საგასტროლოდ ემზადება გერმანულ ფეხბურთელ სპილოების გუნდი. ამ გოლიათებს საფეხბურთო ოსტატობას აუფლებს მწვრთნელი სონი ფრანკელო. გუნდში შვიდი „მოთამაშეა“. საწვრთნელი ბაზა მეკლენბურგისა და ბრანდენბურგის ფედერალურ მიწების საზღვარზეა და მას 43 კაცი ემსახურება.**



„ჩვენ გვინდა, რომ ცხოველებმა ნამდვილი თამაში ისწავლონ“, — განაცხადა საშენის ხელმძღვანელმა ლილიან კრეპლინმა.

ყოველ „ფეხბურთელს“ თავისი ძლიერი მხარეები გააჩნია, მაგალითად, 25 წლის ტიმბა თავს მშვენივრად გრძნობს კარში, ხორთუმით ოსტატურად იგერიებს ბურთებს. 3300 კილოგრამიანი მალა კი ბურთებს „მარცხენათიც“ ურტყამს და „მარჯვენათიც“.

სპილოები თავისებური პოლიგლოტებიც არიან. მათ ვარჯიშის დროს სამ ენაზე ესაუბრებიან — ჰინდიზე, ინგლისურსა და გერმანულზე. თითოეული თამაშის წინ სპილოები ტალახის აბაზანებს ღებულობენ, რათა უკეთ დაიცვან თავი მზისა და მწერებისაგან.

ალბათ გუნდი მალე ახალი „ფეხბურთელებით“ შეივსება.



# ვინ უფრო ძალიან უყვარს?

**ამერიკის ერთ-ერთი სატელევიზიო თოქ-შოუს საშუალებით ტელესერიალის, "Desperate Housewives", რაც ქართულად „თავზეხელაღებულ დიასახლისებს“ ნიშნავს, ვარსკვლავმა ევა ლონგორიამ, მობეზრდა რა უკარებას როლის თამაში, პირდაპირ ეთერში საქვეყნოდ განაცხადა, რომ უსაზღვროდაა შეყვარებული სახელგანთქმულ ფრანგ კალათბურთელ ტონი პარკერზე.**

ისინი მეორე დღესვე გაფრინდნენ ჩინეთში, სადაც პარკერი საქველმოქმედო ტურნეში მონაწილეობს.

თუმცა იქ ლონგორია დიდხანს როდი დარჩება. უახლოეს ხანში „დიასახლისების“ გადაღება უნდა გაგრძელდეს, სადაც ევა თამაშობს სუპერ მოდელს, რომელიც შეყვარებულია 17 წლის მებაღეზე. მალე სხვა სამუშაოც ელის — ფილმი The Sentininel, სადაც მისი პარტნიორი მაიკლ დუგლასი იქნება.

# ვარჯიშის დროს დაიღუპა

**გერმანიაში საწვრთნელ შეკრებაზე ვარჯიშის დროს დაიღუპა ავსტრალიელი ველოსიპედისტი ქალი ემი ჯალეტი. ქალთა გუნდის დანარჩენმა 5 წევრმა სერიოზული ტრავმები მიიღო. ერთ-ერთი მათგანი კრიტიკულ მდგომარეობაშია.**

ლაიფციგიდან 80 კილომეტრზე სამხრეთით ექვსივე ველოსიპედისტს ორშაბათს ავტომანქანა დაეჯახა.

ავსტრალიის სპორტულმა კომიტეტმა და ველოსპორტის ფედერაციამ ღრმა მწუხარება გამოთქვა მომხდარი ტრაგედიის გამო.

◎ ქორწილია, ქორწილი!

# შვედმა რომ გოგო მოიტაცა...

## როგორ იქცა იორანი გიორგად

**გვატემალას, ლიბანის, კონგოსა და საქართველოს სახელმწიფოებში გაწეული წარმატებული საქმიანობისთვის მიღებული მედლებით აქვს დამშვენებული საქორწინო ფრაკი ქართველთა სიძეს — ეუთოს მისიის ერთერთ წარმომადგენელს საქართველოში, ჯერჯერობით, არაოფიციალურ ქართულ-შვედური საზოგადოების თავმჯდომარეს იორან დალინს — საქართველოში ქრისტიანულად მონათვლის შემდეგ ბატონ გიორგის. საყვარელი ქალისთვის გადადგმულმა ამ ნაბიჯმა საბოლოოდ გააბედნიერა ქართველი პატარძალი ეკა გაგოშიძე, რომელიც ხუთი წლის შემდეგ ცოლობას დათანხმდა უძველესი ვიკინგების შთამომავალ შვედს.**

წყვილის საერთო სიხარულს ახლობლები და მეგობრები უერთდებოდნენ. მათ შორის კატერინა ნილსონი, რომელსაც ქალბატონმა ეკამ გულითადი მეგობარი უწოდა შვედეთსა და საქართველოში.

ანჩისხატის ეკლესიაში ჩატარებული ჯვრისწერისა და „კონკასთან“ ქორწინების სასახლეში გამართული ხელისმოწერის ცერემონიალის შემდეგ სტუმრებმა რესტორან „ძველ სახლში“ გადაინაცვლეს.

საუკეთესო ქართული ქორწილის სუფრაზე რიგრიგობით გადადიოდა თამადა ალავერდს უცხოეთიდან მოწვეულ ნორვეგიელ, ესტონელ, ინგლისელ, ასევე შვედეთთან და სკანდინავიასთან დაკავშირებულ საქართველოში მომუშავე ახალჯვარდაწერილების მეგობრებთან. სუფრას ქართული ხალხური სიმღერის ანსამბლ „თბილისთან“ ერთად ამშვენებდნენ ქორწილისთვის საგანგებოდ მოწვეული შვედი მევიოლინეები მარი ლერკა და იუმ ლუნდბაკი, რომელიც, თავის მხრივ, სიძის მეჯვარეც გახლდათ.

მუსიკოსებმა ბატონ იორანის, იგივე გიორგის საპატივცემულოდ ტრადიციულ კოსტუმებში გამოწყობილებმა შვედეთის ყველაზე ტრადიციული რეგიონის დალანადას ეროვნული ხალხური მუსიკა შეასრულეს. სწორედ აქედანაა წარმოშობით ქართველების სიძე, სადაც, თავის დროზე, მამამისი, ფერმერი ერიკ დალინი ამ მხარის მუნიციპალიტეტში „ცენტრალური (მიწათმოქმედთა) პარტიის“ წარმომადგენელი გახლდათ. საკუთარი ტყეების, ცხენებისა და მსხვილფეხა საქონლის, ასევე რძისა და ყველის წარმოების გარდა, ეს ცნობილი ოჯახი ხორბლეულის მოყვანითაც იყო დაკავებული, და ამაში ფერმერის ექვსი შვილიც იყო ჩართული.

აღსანიშნავია, რომ დედმამიშვილებში ერთი უცოლო ძმის გარდა ყველა უცხოელზეა დაქორწინებული. და როგორც სიძე-ბატონი ამბობს, მისი ხალისიანი ბუნება და ადამიანების მიმართ კეთილგანწყობილი დამოკიდებულება დიდი ოჯახის დამსახურებაა. დედამ, ჰერტრუდამ, მეუღლე მეორე მსოფლიო ომში გაიცნო და მტკიცე საფუძველი ჩაუყარა ტრადიციულ ოჯახს, და მის წევრთა ურთიერთსიყვარულს.

როგორც ირკვევა, სიძის ოჯახის გვარად, გაგოშიძეების უმცროსი ქალიშვილი, ცირაც, უცხოელზე ყოფილა გათხოვილი. ესტონელმა სიძემ მარკო ანდერსონმა გულღია ღიმილით აღნიშნა ქორწილში — მე და იორანი ბედნიერები ვართ. მართალია, საქართველოს ორი ულამაზესი არსება მოვტაცეთ, მაგრამ არაუშავს — შვედეთი და ესტონეთი ერთმანეთან ახლოსაა და იქ იმეზობლებენო.

ამ საუბარში ქალბატონი ნანა გორდეზიანი, პატარძლის დედა და ორგზის სიდედრი ჩაერთო. მას აგერ უკვე 5 წელია უკიჟინებენ, შენს სიახლოვეს ერთი შვილი მაინც დაიტოვეო. აი, რა ბრძანა მან:

— მხოლოდ არსთა გამრიგემ იცის, ქალი ოჯახიდან სად გათხოვდება, რომელ ქვეყანაში და ერში მოხვდება, გაიტანს სამშობლოს კულტურასა და ყოფას და თავის გენს შეუერთებს მეწყვილეს. როგორც გნებავთ ისე გაიგეთ: მე კარგი სიძეები მყავს. ბედნიერი და კმაყოფილი ვარ. საფიქრალსადარდებელი შვილების ყოველდღიური ყოფის გარდა, არაფერი მაქვს. ხომ გახსოვთ ლადოს ნათქვამი: — „ქალობა დაიმკვეხაროს, ცა და ქვეყანამ ნახოს,

მე, თუნდაც მიწა მეყაროს სადმე, თბილისის ახლოს“.

საეთაშორისო ქორწილს მეგობრული, გახსნილი და მეტად გულისხმიერი უწოდა „სკანაგრის“ პროექტის ხელმძღვანელმა საქართველოში ქალბატონმა ევა ჯონსონმა და ბედნიერება უსურვა ნეფე-პატარძალს.

ქორწილში მედიაც იყო მიპატიჟებული ამ დღისადმი პრეს-რელიზის მეტად დამაინტრიგებელი სათაურით „ბოლოს და ბოლოს, გადავწყვიტეთ, დავქორწინდეთ!“

თურმე:

...ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტის 2000 წლის მორიგი „საზაფხულო სკოლის“ სხვა უცხოელი მოსწავლეებისაგან განსხვავებით ეკა მასწავლებელი განსაკუთრებულად შვედეთის სტოკჰოლმისა და უფსალას უნივერსიტეტებიდან ჩამოსულ სტუდენტებს დაუმეგობრდა. ერთ-ერთი მათგანი დღეს უკვე მისი მეჯვარე კრისტინა ნილსონი იყო, ვინც საქმრო გააცნო. სკოლა საქართველოთი დაინტერესებულ უცხოელებს იწვევდა ქვეყნის ისტორიის, ხელოვნების, კულტურისა და ენის შესწავლის მიზნით. ამიტომ, თითქმის მთელი საქართველო შემოიარეს ახალგაზრდა პედაგოგმა და მოსწავლეებმა შატილისა და ომალოს გარდა.





ვერც ახლა შეისრულა სურვილი. თავად სტუდენტობა საბჭოეთის დაშლისა და შემდეგ სამოქალაქო ომის პერიოდში მოუწია. სტუდენტური ცხოვრების სასიხარულო და სალაღობო პერიოდი ქვეყანაში შექმნილი მძიმე და სახიფათო დროების გამო შინ გაატარა. ვერ გაყვა მამას და ვერ დაათვალიერა ხეობა, რომელიც ისეღაც ვიწრო, უამინდობაში სახიფათო ხდებოდა მფრინავთათვის. ეკა გაგოშიძის მამა ბატონი როალდი სამოქალაქო ავიაციის სამმართველოში მთიანი რეგიონის მიმართულებით ორგანიზებას უწევდა ვერტმფრენებს; თავადაც ხშირად დაფრინავდა შატილში, ომალოსა და გირევში.

მამის გარდაცვალების შემდეგ იორან დალინი აღმოჩნდა პირველი ადამიანი, რომელიც „ყავის სახლიდან“ გაცნობისთანავე ვერტმფრენით საქმიანად გაემგზავრა გირევში სამი კვირით. ეს ის უხილავი და ხელშეუხებელი დიდი ხნის სიმი იყო, რაც საყვარელ მამასთან სიახლოვეს დანატრებულ ეკას გაუჟღერა ამ უცხო ადამიანმა.

— მაშინვე ვიგრძენი საოცარი რამ — თითქოს მამამ დამლოცა და დამაწყვილა ამ უცხო ტომის კაცთან. შინაგანად შევშინდი, რაიმე ხიფათს არ გადაყროდა ახლახანს საქართველოში ჩამოსული ადამიანი და ვთხოვე, დაბრუნებისთანავე დაერეკა; ამბავი შეეტყობინებინა.

მართლაც, დარეკა, მაგრამ მისი არსებობა აღარ მახსოვდა, ყურადღებისთვის მადლობა გადავუხადე და ყურმილი დავკიდე. ნახევარი საათის შემდეგ მივხვდი, ეს არ უნდა გამეკეთებინა... ისეთი ზარის წკრიალით აიღო იქაურობა მთელი დღე, რომ გაღიზიანებულმა და ნერვებაშლილმა დამ „იძულებით პაემანზე“ გამიყვანა. ერთი წელი თბილისში ვიცხოვრეთ, ოთხი სტოკჰოლმში. იქ ქართულ ენას ვასწავლი სკოლაში და მთარგმნელობით მუშაობას ვეწევი. სწორედ ამ საქმიანობით გავიგე და წავიკითხე ინტერნეტში მე-11 საუკუნეში საქართველოში შვედ ვიკინგთა მეთაურ ინგვარ დენ ვიტფარნეს მოგზაურობის ნაკვალევზე „ვიტფარნეს სამეცნიერო ექსპედიციის შესახებ“. — გვითხრა ეკამ.

იგი საორგანიზაციო კომიტეტის წევრად მიუწვევით. ამიტომ გვიყვებოდა მორიდებით იმ წვლილზე, რომელმაც ექსპედიციას გზა გაუხსნა და სრული ინფორმაცია მიაწოდა საქართველოზე. წინააღმდეგ შემთხვევაში სრულიად შესაძლებელი იყო მისი გადადება ან საერთოდ, ჩაშლა. ექსპედიციის ერთ-ერთი წევრი გიორგიც ყოფილა, რომელიც ფოთში შეუერთდა მას.

საინტერესოა ერთი ფაქტიც — იმ დღეს, როცა თბილისში საერთაშორისო ქორწილი გაიმართა, ჯვარდაწერილების მეგობრები აღნიშნული ექსპედიციის გემის კაპიტანი ჰოკან ალტროკი და კარინ კალერტიც გრიფსჰოლში ქორწინდებოდნენ. იქ, სადაც ექსპედიციისთვის საინტერესო ვიკინგების დამადასტურებელი 26 რუნიკული ქვიდან ერთ-ერთი დგას. იქაურმა სიძე-პატარძალმა თბილისიდან ქორწილის საჩუქრად საქართველოს დროშა მიიღეს.

და ბოლოს:

27 აგვისტოს ხუთი წელი სრულდება ეკასა და გიორგის ნაცნობობისა და თანაცხოვრებისა. ამ დღეს ისინი უკვე სტოკჰოლმში აღნიშნავენ.

ჩვენი გაზეთის ტრადიციულ კითხვაზე, თუ რას განიცდიან ამ ბედნიერ წუთებში, ასე გვიპასუხეს:

**ეკა** — უცხოეთში დედა და ოჯახი, მეგობრები მენატრებოდნენ. თუ არა დიდი სიყვარული ჩემი მეუღლისა, ძალიან გამიძნელდებოდა უცხო საზოგადოებრივი ურთიერთობის, კლიმატის, წეს-ჩვეულებების შეთვისება. ასე მგონია, ჩემს გაბედნიერებაში უფლისა და მამის ხელი ურევია. დიდ ბედნიერებას ვუსურვებ ყველა საქორწინოდ გამზადებულ წყვილს.

**იორან-გიორგი** — უბედნიერესი კაცი ვარ მსოფლიოში, ეკას რომ შევხვდი. ქართულ-შვედური წყვილი იშვიათობაა, ამიტომ, გადავწყვიტეთ, ბედნიერების პომპეზურად აღნიშვნა. ორი ქვეყნის შვილების შეუღლება სახელმწიფოთა შორის დიდ მეგობრობას უყრის საფუძველს.

ჩვენც ვუერთდებით მათ ბედნიერებას და შვილთა სიმრავლეს ვუსურვებთ.

**ია კალანდარიშვილი**

**ხავარ ლომაძის ფოტო.**

## ალბომი

### ყველას რაიმე აქვს სახსოვარი



ცნობილი პიანისტი ჰენრიხ ნეიჰაუზი, მოსკოვის კონსერვატორიის სტუდენტი ნეიჰაუზის კლასში ნატალია ცინცაძე და ფორტეპიანოს პედაგოგი ლუსი პოდოსოვა.

თბილისი. გასული საუკუნის 50-იანი წლები.

მოგვაწოდა მაია მარზიანმა.

შეგახსენებთ, რომ სურათების გამოქვეყნება უფასოა.
ტელ: 99-66-10.

## მკითხველის ფელეტონი

# ახალი ნაცარქექია

იყო და არა იყო რა, იყო ერთი უმუშევრობისა და უსაქმურობისგან გაზარმაცებულ-გაოგნებული კაცი. მას სამსახური დაუხურეს და სხვებთან ერთად გამოაპანღურეს. რას იზამდა? – ცოლ-შვილი ხომ უნდა ერჩინა. ჰოდა, დაიწყო სამუშაოს ძებნა და განცხადებების ქექვა. თუ სადმე განცხადებას წააწყდებოდა, გაშმაგებული ეცემოდა, წაიკითხავდა, მაგრამ, რად გინდა?! – ყველა განცხადება ერთი შინაარსის იყო: „სამუშაოდ ვიწვევთ 18-დან 25 წლამდე ფიზიკურად ლამაზ ქალიშვილებსო". პირველ ხანებში გაბრაზებული იტყოდა ხოლმე: „ეგეთი გოგოები და თანაც ქალიშვილები, არც მე მაწყენდაო", მაგრამ ცუდმა ეკონომიკურმა პირობებმა, დაბალკალორიულმა კვებამ, ისე დაასუსტა, რომ ქალის სახსენებელი საერთოდ დაავიწყა.

დახედავდა ნაცნობი შინაარსის ათასჯერ წაკითხულ განცხადებას, შეიგინებოდა, მიაფურთხებდა და ამით მთავრდებოდა ყველაფერი. მერე და მერე სამუშაოს უშედეგოდ ძებნას თავი გაანება და მეზობლებისგან ნათხოვარი ჟურნალ-გაზეთების „ქექვას" მიჰყო ხელი. ესეც რომ მობეზრდა, ტელეინფორმაციების „ქექვა" დაიწყო, მშიერ კაცს ტელევიზორი კი არა, ჭამა უნდა.

კი უნდა, მაგრამ სად ჰქონდა საჭმელი?

– შე საცოდავო, რა გეშველება, – უთხრა ერთ დღეს ცოლმა და საიდანღაც მოტანილი ნაცრით სავსე პოლიეთილენის პარკი და ჯოხი დაუდო წინ, – ეს მაინც ქექე, შე უღღეურო, შენა, გაერთობიო.

რაღას იზამდა, ამანაც ქექა და ქექა, ქექა და ქექა, მაგრამ მობეზრდა და მიანება თავი.

ახლა მახათი მიართვა ცოლმა, გაუყარ-გამოუყარე და გაერთობიო.

მერე კი ის იყო, რომ ცოლმა მოხვეტა თავისი ბარგი-ბარხანა, ჩაჰკიდა შვილებს ხელი და საშოვარზე წავიდა. იარეს, იარეს, ცხრა მთა გადაიარეს და ჩავიდნენ ერთ უცხო ქვეყანაში.

ერთი თვის თავზე წერილი მიიღო უსაქმურობისგან გამოლენჩებულმა კაცმა:



„ჩემო საყვარელო ნაცარქექია ქმარო, როგორ ხარ? ნაწოლები ხომ არ გაგიჩნდა ბეჭებისა და წელის არეში? გაუფრთხილდი, საყვარელო, ხანდახან გვერდზე გადაბრუნდი ხოლმე. მარცხენა გვერდზე არ დაწვე, გული აგტკივდება. თუ ნაწოლები უკვე გაქვს, მარგალიტა ბაბოს უთხარი, შარდის საფენები დაგაფინოს. დიდხანს ჯდომამ ბუასილი იცის, ხომ გაგიგონია?! ამიტომ ხან დაწექი, ხან დაჯექი. ისე, ბუასილის დროს ცივი წყლით დაბანაა კარგი. ამ ხალხურ საშუალებას იმიტომ გახსენებ, რომ ექიმისა და წამლის ფულს ვინ მოგაშავებს, შე შავ დღეზე დაბადებულო. ჰო, მართლა, მახათს სანამ გაიყრიდე, „მარგანცოვკიანი" წყლით გაწმინდე, თორემ სისხლი მოგეწამლება – თუ დაგრჩა კიდევ ძარღვებში რამე.

ჩვენ კარგად ვართ. ავტობუსიდან ფეხი ჩამოვდგი თუ არა, ერთმა შავტუხა კაცმა დამადგა თვალი. ისეთი დაჟინებული მზერა ჰქონდა იმ არგასახარელს, მე მგონი დამაჰიპნოზა. იმ დღესვე შინ წამიყვანა ჩემი შვილებიანად. ერთი კარგი ოთახი მე გამომიყო, ერთი – ბავშვებს. დღისით საოჯახო საქმით ვარ დაკავებული, ღამით კიდევ იმას შემახსენებს ხოლმე, ქალი რომ ვარ. პირველად რომ უშნოდ მომეჩვენა, ახლა თანდათან სულ უფრო მომწონს. ეჰ, როგორც კი ლოგინში შემომიგორდება, სულ შენ მახსენდები, შე საბრალოვ. გახსოვს? ვიდრე უმუშევარი დარჩებოდი, შენც გიყვარდა ჩემთან ლოგინში კოტრიალი.

აბა, მაგრად იყავი, ჩვენი დარდი არ გქონდეს, კარგად ვართ."

ცუცას წერილი დედამთილს ჩაუვარდა ხელში და თუ სადმე ბალანი ესხა, სულ ღერა-ღერა დაიგლიჯა. მერე ქმარს წააკითხა და გამწარებული მშობლები იმ მომენტში შეცვივდნენ „ნაცარქექიას" ოთახში, როცა „მარგანცოვკაში" ამოვლებული მახათის გაყრას აპირებდა.

– რას შვრები, რას, შე არგასახარელო, შენა?! აიღე ეს შენი ნაცრით სავსე პარკი და მაგ მახათიანად დაახვიე აქედან, შე უქნარობისგან გაცვედანებულო, თორემ პოლიციაში დავრეკავთ ახლავე! – შეუძახეს მშობლებმა.

ის იყო და ისა, მას შემდეგ ნაცარქექია არც ცოცხალი უნახავთ მშობლებს და არც მკვდარი. ვიღაცამ ამბავი ჩამოიტანა, ნაცარქექია თურქეთშია და ცოლის საყვარელს ყოველ საღამოს ფეხებს ბანსო.

ლხინი იქა,
დემოკრატია იქა,
ხვავი და ბარაქა იქა,
ჩვენი ხეტყე იქა,
ფერადი ლითონი იქა,
– აქა?!

**ნიკოლოზ იოსებიძე**

**ლევან მართაშვილის ნახატი.**

## გიხაროდეთ!

# თოფურიების ფერია

ჩვენი ტელეფონები: 93-34-04; 99-73-24.



გუშინ, განთიადისას ერთი მშვენიერი და თვალხატულა გოგონა დაიბადა, რომელსაც მშობლებმა ელენიკო დაარქვეს. თოფურიების დიდ ოჯახს ახალი სიცოცხლე შეემატა.

ეს პაწაწინა ფერია თამუნა და შალვა თოფურიების ახალგაზრდა ოჯახის პირველი შვილია. ღმერთო, გვიმრავლე შვილები და შვილიშვილები.

ჩვენს შვილებს თამუნას და შალვას ბედნიერ მშობლობას ვუსურვებთ, პატარა ელენიკოს კი, დიდ და სახელოვან ქალად გაზრდას.

**ლამარა ბებო და გონერი ბაბუ თოფურიები. თბილისი.**

## ცოტაც გავიღიმოთ...



– რის გამო შეგიყვარდი?
– თვალების გამო.
– უცებ მოგეწონა ჩემი თვალები?
– არა, უბრალოდ, ცუდად ვხედავ...

* * *

– სამთო მოთხილამურეთა სწავლების კურსები სამი ნაწილისგან შედგება, – ამბობს ინსტრუქტორი.
– პირველია თხილამურებზე შედგომა, მეორე – მთიდან დაშვება და მესამე – ყავარჯნებით სიარულის სწავლა.

* * *

– რას შეადარებდით ამჟამად ჩვენს მასმედიას?
– მინი ქვედაბოლოს – ყველაფერს აჩვენებს, მთავარს კი მალავს.

* * *

– რა გამიწყალე საქმე შენი შეკითხვით, – საიდან მაქვს რქებიო, – მე რა, ვეტერინარი ვარ? – ეჩხუბება ცოლი ქმარს.

* * *

– რა გაჩუქეს დაბადების დღეზე?
– აი, გადაიხედე ფანჯრიდან, იქ რომ „მერსედეს-600" დგას...
– ვა, რა მაგარი მანქანაა!
– ზუსტად მაგ ფერის ქუდი მაჩუქეს.

* * *

საგადასახადოს ინსპექტორი ფირმაში მივიდა.
– აბა, რით ვაჭრობთ აქ?
– სხვადასხვა მომსახურება გვაქვს. ვყიდით თოფ-იარაღს, გვაქვს სროლით მოგერიების ლიცენზიათა გაცემის, ქილერთა სახლში გამოძახების მომსახურება...
– აჰა, სალარო აპარატები კი არა გაქვთ. ესე იგი, რაღაცეებს მალავთ, არა? როდის იყვნენ თქვენთან რევიზორები?
– ამ ორი კვირის წინათ. ღმერთმა აცხონოთ საწყლები...

* * *

– როგორა ხარ? – ეკითხება გოგო დაქალს.
– ისე რა, უბრალო მბეჭდავ მემანქანედ ვმუშაობ. 60 ლარი მაქვს ხელფასი.
– მე კი პირად მდივნად ვმუშაობ და თვეში 1200 ლარი მაქვს. თუმცა, ამ ადგილის მისაღებად დამატებით ექვსთვიანი კურსები გავიარე.
– საქმის წარმოებას სწავლობდი?
– არა. გამოყენებით სექსოლოგიას.

## კომუნიკაცია

# "მიყვარს ბალი, მომე ბალი..."

### „მაგთიკომის" ახალი სერვისი

**ეს სიტყვები რამდენიმე დღეა ჩვენს ცხოვრებაში მეტეორივით შემოიჭრა. სხვადასხვა სატელევიზიო არხებზე „ბლის" კლიპები მეტად პოპულარული გახდა და მუსიკის თანხლებით შინ თუ გარეთ მარტო ახალგაზრდები როდი ცეკვავენ, მოხუცებიც აყოლებენ მხრებს და მშვენივრად ერთობიან. მაგრამ „ბალი" მარტო გართობა ან ტკბილი ნუგბარი როდია, იგი „მაგთიკომის" საუკეთესო, ახალი მომსახურებაა, რომელიც უკვე ფართო მომხმარებლის ინტერესის საგანი გახდა.**

როგორც „ბლის" პროექტის დირექტორმა არჩილ გომიაშვილმა ჟურნალისტებთან შეხვედრისას აღნიშნა, პროექტი აუცილებლად წარმატებული იქნება, რადგან იგი საუკეთესო პირობებითა და შეღავათიანი ფასებით გამოირჩევა. „ბალი" იყენებს „მაგთიკომის" ქსელს და, ამდენად, კავშირის მაღალი ხარისხი და საუკეთესო დაფარვა გარანტირებულია. „ბლის" ინდექსია 898. არსებობს ორი განსხვავებული გადახდის ბარათი – „ბალი-ბარათი" და „თეთრი ბალი-ბარათი". ორივეს ღირებულება 3 ლარია.

ბარათზე საუბრის აღრიცხვა ერთწამიანი სიზუსტით ხდება. პირველად საქართველოში შეგიძლიათ აირჩიოთ „საყვარელი ნომერი" და ილაპარაკოთ უფრო მეტი – 15 წუთი 3 ლარად.

„ბალი-ბარათის" გააქტიურებით სერვისის ანგარიშზე დარიცხული წუთების ან ერთეულების გახარჯვის ვადაა 30 დღე. ვადის გასვლის შემდეგ სერვისი ითიშება, ხოლო თუ ანგარიშზე დაგრჩათ წუთები და ერთეულები, ისინი შეინახება.

„ბალი-ბარათი" საუკეთესოა იმათთვის, ვისაც წერილების გაგზავნა უყვარს. SMS-ები და MMS-ები ყველაზე იაფად სწორედ ამ ბარათზეა – 100 SMS 3 ლარად, 8 MMS 3 ლარად – ეს დიდი შეღავათია. საკმარისია ერთი „ბალი-ბარათით" გაააქტიურო ნებისმიერი სერვისი და ავტომატურად გააქტიურდება ყველა სხვა ანგარიშზე შენახული წუთები და ერთეულები. ბარათის დამცავი საფარის ქვეშ მოთავსებული კოდის გამოყენება შესაძლებელია მხოლოდ ანგარიშის შესავსებად. ამ კოდის მესამე პირისთვის ნებისმიერი ფორმით გადაცემამ შეიძლება დაგაზარალოთ. „მაგთიკომის" თხოვნაა, ნუ ენდობით პირს, რომელიც ამა თუ იმ საბაბით ეცდება თქვენთან დაკავშირებას და მოგიყვებათ სხვადასხვა „ზღაპარს" გათამაშებებისა და სხვადასხვა პრიზების შესახებ.

„ბლის" სარეკლამო კამპანია, შეიძლება ითქვას, ბრწყინვალედ დააპროექტა ბატონმა გიორგი ებრალიძემ. კლიპში მონაწილე მომღერლებმა, მხატვრებმა, დიზაინერებმა ყველაფერი გააკეთეს იმისათვის, რომ „ბალი" ყველა მომხმარებლისთვის მიმზიდველი და ახლობელი გახდეს.



„ბლის" პოპულარიზაცია მარტო სატელევიზიო კლიპებით არ ამოიწურება, ეს პროცესი კონცერტით თბილისში, კუს ტბაზე დაიწყო და ახლა ფოთსა და ბათუმში გაგრძელდება.

„მაგთიკომის" ხელმძღვანელებს იმედი აქვთ, რეკლამაზე მათ მიერ დახარჯული თანხები უქმად არ გადაიყრება და ერთიორად აუნაზღაურდებათ. „ბალი" ამის შანსს იძლევა.

**ლალი ძინძლაძე**

## ხსოვნა

### რუსუდან ლომიძე



გარდაიცვალა ცნობილი დასტაქარი, უძველესი კოლხური ფიტოთერაპიული სკოლის ყველაზე ბრწყინვალე წარმომადგენელი, უბადლო სახალხო მკურნალი, ჩვენი დროის ნამდვილი სასწაულმოქმედი რუსუდან დიმიტრის ასული ლომიძე.

გარდაიცვალა უბედური შემთხვევით, ველზე სამკურნალო მცენარეებით ხელში. „მცენარეები მესაუბრებიან, თვითონ მიხსნიან მკურნალობის საიდუმლოებასო"! და მათთან საუბარში გარდაიცვალა იქ, სადაც რუსუდან ექიმი მადლიანი საქართველოს მიწის მაცოცხლებელი ენერგიით სავსე საოცარ მცენარეებს აგროვებდა. წავიდა საქვეყნოდ ცნობილი, სამეცნიერო წოდებებითა და სამთავრობო ჯილდოებით დამშვენებული, თვით ნისლიანი ალბიონის ნაპირებიდან გამარჯვებით დაბრუნებული, მსოფლიოს სწორუპოვარ მკურნალად აღიარებული!

მთლიანად გაიხარჯა ხალხის სამსახურში, საკუთარი თავისთვის დრო არ ეყო!

ნახევარსაუკუნოვანი სამედიცინო პრაქტიკა ექიმ რუსუდან ლომიძისა აღსავსეა უკურნებელ სენზე დაუჯერებელი გამარჯვებებით. რეალურად ალბათ ძნელი დასათვლელია, რამდენ ჩვენ თანამემამულეს თუ უცხოელს დაუბრუნა რუსუდან ექიმმა იმედი, შეუცვალა სასოწარკვეთილება სიხარულით! რამდენი უკურნებელი განკურნა, რამდენი უიმედო მოაბრუნა!

როგორც განსაკუთრებული ღვთაებრივი საიდუმლოს მფლობელს, რუსუდან ექიმს არც ერთი დაავადების მიმართ არ ჰქონდა შიში, თავისი ღირსეული გვარიშვილობიდან ლომის გული ჰქონდა გამოყოლილი.

„საქართველოს მეფის ლაშქრის მარჯვენა ფრთის მოწინავე მედროშენი", ღირსეულად და შეურცხვენლად ატარებდნენ საკუთარი სიჩაუქისა და უშიშროების პირდაპირ მიმანიშნებელ გვარს. მრავალ ბრძოლაში გამოვლილი აქიმობის ხელოვნება რუსუდან ექიმს ბაბუამ – ზაქარია ლომიძემ უანდერძა. სიღარიბეში გაზრდილს, ქალბატონ რუსუდანს კარგად ესმოდა სიკეთისა და ქველმოქმედების ძალა. საქართველოში ალბათ ძნელად მოიძებნება ეკლესია ან მონასტერი, რომელსაც რუსუდან ექიმი ერთხელ მაინც არ მოინახულებდა სურსათ-სანოვაგით, სამოსითა თუ სხვა საჭირო ნივთებით დატვირთული. ჭეშმარიტი ქრისტიანი-მართლმადიდებელი, სიკეთისთვის თავგადადებული, რუსუდან ექიმი მთელ თავის ნაშრომსა და ენერგიას ქველმოქმედებას ახმარდა.

რამდენიმე სამამულო თუ საზღვარგარეთის დარგობრივი სამეცნიერო აკადემიის ნამდვილი წევრის, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორ რუსუდან დიმიტრის ასულ ლომიძის გარდაცვალება აუნაზღაურებელი დანაკლისია საქართველოს სამედიცინო საზოგადოებისთვის. მიუხედავად ხანდაზმულობისა, რუსუდან ექიმი აღსავსე იყო შემოქმედებითი ჩანაფიქრებით. იგი ოცნებობდა საერთაშორისო დონის სპეციალიზებული კლინიკის გახსნაზე საქართველოში. ჭეშმარიტ მამულიშვილსა და პატრიოტს, ვერც კი წარმოედგინა სხვა ქვეყანაში მოღვაწეობა – მიუხედავად არაერთი შემოთავაზებისა, არც უფიქრია საზღვარგარეთ კლინიკის დაარსება!

კიდევ ერთი ღირსეული ქართველი მანდილოსანი, ვალმოხდილი თავისი ერისა და ოჯახის წინაშე, მიებარება თბილის-ქალაქის მადლიან მიწას, საყოველთაო სიყვარულითა და სინანულის ცრემლით გაცილებული. ეს ცრემლი სინანულისა ჩვენი სულების კათარზისად უნდა იქცეს – უნდა ვიფიქროთ იმ დიდი საქმის გაგრძელებაზე, რომელსაც სათავეში ღირსეულად ედგა ჭეშმარიტი მკურნალი და დასტაქარი, ფიტოთერაპევტი რუსუდან ლომიძე, რათა არ დაიკარგოს განგების მიერ ღვთის მადლით საქართველოსთვის ნაჩუქარი წამალი ჭეშმარიტი მკურნალობისა!

**საქართველოს ეკოლოგიის მეცნიერებათა აკადემია;
საქართველოს მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის ადამიანის ეკოლოგიის განყოფილება;
საქართველოს სამხედრო-სამედიცინო აკადემია;
კიბოს წინააღმდეგ ბრძოლის ეროვნული ასოციაცია.**

## ისარგებლეთ ცხელი ხაზით!

საპატრულო სამსახური – 022;
გენერალური პროკურატურა – 99-74-10;
შინაგან საქმეთა სამინისტრო – 99-53-50;
საგარეო საქმეთა სამინისტრო – 28-47-47;
ფინანსთა სამინისტრო – 22-17-80; 22-09-24;
იუსტიციის სამინისტრო – 75-82-21;
ჯანდაცვის სამინისტრო – 94-34-98;
ლტოლვილთა და განსახლების სამინისტრო – 38-47-98;
სოფლის მეურნეობის სამინისტრო – 98-57-81;
ეკონომიკური განვითარების სამინისტრო – 98-23-58; 50-69-00;
შსს სანებართვო განყოფილება – 98-57-01;
კონტროლის პალატის გენერალური ინსპექცია – 95-30-81; 96-71-78;
თავდაცვის სამინისტროს გენერალური ინსპექცია – 23-56-73;
საქართველოს სანიტარიული ზედამხედველობის ინსპექცია – 39-52-47;
თბილისის სანიტარიული ზედამხედველობის ინსპექცია – 37-78-70;
შხამიანი ქვეწარმავლების გაუვნებელყოფის სამსახური – 22-61-48; 22-33-53;
ერთიანი საპენსიო ფონდი – 69-65-93; 69-65-94.
კატასტროფების ცენტრი, გადაუდებელი და სასწრაფო დახმარება, რეანიმობილის მომსახურება – 24 საათი; პაციენტის გადაყვანა რეგიონული სტაციონარებიდან თბილისის კლინიკებში – 51-77-37.

## ლარის კურსი

**20 ივლისიდან დადგინდა ლარის მიმართ უცხოური ვალუტების შემდეგი კურსები**

| | | |
|---|---|---|
| ინგლისური გირვ. სტერლ. | 1 | 3.1555 ლარი |
| აშშ დოლარი | 1 | 1.8135 ლარი |
| ევრო | 1 | 2.1737 ლარი |
| რუსული რუბლი | 1 | 0.0631 ლარი. |
| აზერბაიჯანული მანათი | 1000 | 0.3859 ლარი. |
| სომხური დრამი | 100 | 0.4104 ლარი. |
| უკრაინული გრივნა | 10 | 3.6198 ლარი. |

## ამინდი დღეს

| 20 ივლისი | ☼ | ☾ |
|---|---|---|
| თბილისი | 35° | 20° |
| ბათუმი | 32° | 20° |
| სოხუმი | 31° | 19° |
| ქუთაისი | 34° | 21° |
| თელავი | 34° | 19° |



● ყველაზე ფართო სასჯელაღსრულების შენობად ინგლისში ითვლება ვოდსვორტის ციხე, რომელიც ლონდონის სამხრეთ ნაწილში მდებარეობს. მასში 1265 საკანია. ყველაზე მაღალი კედლები (36-52 ფუტი) არის ლანკასტერ არიზონის ციხეში.

შოტლანდიაში ყველაზე დიდი ციხეა ბარლინის ციხე გლაზგოში, მასში 750 ერთკაციანი საკანია. ირლანდიაში ყველაზე დიდი ციხეა მაუნტჯოტის – დუბლინში, მასში 808 საკანია.

● 1979 წელს, აშშ-ს გადამდგარი პოლკოვნიკი არტურ საიმონსი, თოთხმეტკაციანი რაზმით თავს დაესხა თეირანის ციხე გასრის, რათა გაეთავისუფლებინა თავისი ორი თანამემამულე. 11000 სხვა პატიმარმა ისარგებლა ამ თავდასხმით და თავი დააღწიეს საპყრობილეს. ეს იყო ციხიდან ყველაზე მასიური გაქცევა.

● დაპატიმრებების ყველაზე დიდი რეკორდი, 1982 წლის 9 დეკემბერს, დაამყარა სამოცი წლის ავსტრიელმა ტომი ჯონმა. იმ დღეს იგი სიმთვრალისათვის მეორიათასედ დააკავეს (1957 წლიდან დაწყებული).

● ყველაზე „დიდი სტაჟი" ჯალათისა ეკუთვნის უილიამ კელკრაფტს. იგი „მოღვაწეობდა" 1828 წლიდან 1874 წლის 25 მაისამდე და თავის მოვალეობას – ჩამოხრჩობას, „პირნათლად" ასრულებდა, როგორც ლონდონის ციხე ნიუგეიტის კედლებში, ასევე მის ფარგლებს გარეთაც. 1868 წელს მან ჩამოახრჩო ოცდახუთი წლის ფრენსის კიდერი, რომელიც მკვლელობისთვის იყო სიკვდილმისჯილი. ეს იყო ისტორიაში ქალის ბოლო საჯაროდ დასჯა.

● მსოფლიოში ყველაზე უმსხვილესი საკანონმდებლო ორგანოა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის სახალხო ნაციონალური კონგრესი. 1983 წელს მის მეექვსასე მოწვევაზე 2978 დეპუტატი ესწრებოდა. მის მუდმივ კომიტეტს 197 წევრი ჰყავს.

● მსოფლიოში ყველაზე დიდი ერბოკვერცხი შეწვა, თავის დამხმარეთა ხელშეწყობით, ნევადის შტატის ქალაქ ლას-ვეგასში მცხოვრებმა, მაიკლ მაკ-გავანმა, 1986 წლის 25 ოქტომბერს.

ამ კერძისთვის მან გამოიყენა 54763 კვერცხი და 240 კგ ყველი. ტაფის ფართი კი 9,1 მეტრი იყო.



მამა გია თოფჩიშვილი, დედა ლია კორძაძე, და შორენა თოფჩიშვილი, მამიდები, დეიდები, ბიძები, მამიდაშვილები, დეიდაშვილები, ბიძაშვილები, ნათესავები და მეგობრები მწუხარებით იუწყებიან, რომ ტრაგიკულად დაიღუპა

ზურამ გიას ძე თოფჩიშვილი

პანაშვიდი 21, 22 VII, 17 სთ. გამოსვენება 23 VII, 15 სთ. მის: მცხეთის რაიონი, სოფ. დიღომი.

შვილი თამაზ კუბლაშვილი, რძალი ნატო რობაქიძე, შვილიშვილები კოტე, პალიკო კუბლაშვილები, რძლები მარინე მესხი, თამარ აბუთიძე, შვილთაშვილები ანა-მარია, ნუცა, სანდრო კუბლაშვილები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ვენერა გიორგის ასული ბოჭორიშვილი-კუბლაშვილი

დაკრძალვა 23 VII, 14 სთ. მის: ქ. ტყიბული, ქუთაისის ქ. № 5.

საქართველოს უზენაესი სასამართლო თანაუგრძნობს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეს, ბატონ კონსტანტინე კუბლაშვილს ბებიის

ვენერა ბოჭორიშვილი-კუბლაშვილის

გარდაცვალების გამო.

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ვ. გულისაშვილის სახელობის სამთო მეტყევეობის ინსტიტუტის თანამშრომლები ღრმა მწუხარებით იუწყებიან ინსტიტუტის ლაბორატორიის გამგის მერაბ სვანიძის ძმის

ზურამ სვანიძის

გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებენ მის ოჯახს.

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორატი ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა თსუ სამეცნიერო ბიბლიოთეკის დირექტორი, ბატონი

შოთა აფაქიძე.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
იბეჭდება გამომცემლობა „კოლორის" სტამბაში, რკინიგზის ჩიხი, 20.

დამფუძნებლები – გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის" თანამშრომლები
გამომცემელი – შპს „თანადგომა-1"
დირექტორი თენგიზ კალანდაძე.

მთავარი რედაქტორი რუსლან რუსია.
მორიგე რედაქტორი ბონდო გულიაშვილი.

ინდექსი 66434,
მისამართი: 0108, თბილისი, მ. კოსტავას ქ. №14.
ტელ: 99-73-24.
სარეკლამო განყოფილება – ტელ: 93-28-13.

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. წერილებში მოყვანილი ფაქტების უტყუარობაზე პასუხს აგებენ ავტორები, რომელთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას.

ავტორებს ვთხოვთ, კომპიუტერზე ანაწყობ 2-2,5 ნაბეჭდ გვერდზე მეტი მოცულობის სტატიებს ნუ შემოგვთავაზებენ.

CYAN BLACK